

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

# არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

**XX**

2009 წლის 14-17 აპრილი

## მასალები

თბილისი  
2009

### მუშაობის გეგმა

14 აპრილი, 11 საათი

ლ. ე. ზ. უ. გ. ბ. ა. ი. ა., შესავალი სიტყვა

1. ვ. შ. ე. ნ. გ. ე. ლ. ი. ა., ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. XXIX-XXXVI
2. ი. ა. ს. ა. თ. ი. ა. ნ. ი., ბატონი არნოლდ ჩიქობავა, მეცნიერი, მოღვაწე, მოძღვარი — მისი მოწაფისათვის
3. თ. უ. თ. უ. რ. გ. ა. ი. დ. ე., **-ან** სუფიქსისათვის მედიუმთა ფორმებში
4. გ. გ. ო. გ. რ. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ზმნისწინი და დრო-კილოთა სისტემა (რამდენიმე ფაქტი და რამდენიმე კითხვა)
5. ა. ა. რ. ა. ბ. უ. ლ. ი., ლ. ბ. ი. ნ. ი. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ლ. ს. ო. ხ. ა. ძ. ე., სალექსიკონო სტატიის რედაქტირების რამდენიმე ასპექტისათვის (ერთი ზმნური ბუდის მაგალითზე)
6. მ. ქ. უ. რ. დ. ი. ა. ნ. ი., უძველესი ირანული სოციოლინგვისტური მოდელი და მისი მნიშვნელობა მეზობელი ქვეყნების ენობრივი პოლიტიკის ფორმირებაზე (საქართველოს მაგალითზე)
7. მ. ჩ. უ. ხ. უ. ა., პროტოკავკასიური ფუნქ-ენის ლექსიკური შედგენილობისათვის (დრო, ცა, მნათობები, ბუნების მოვლენები)
8. ლ. ს. ა. ნ. ი. კ. ი. ძ. ე., წ(წა), წა, ზ სეგმენტები ბაცბური (წოვა-თუშური) ენის რიცხვით სახელებში
9. ნ. მ. ა. ჭ. ა. ვ. ა. რ. ი. ა. ნ. ი., მწერთა აფხაზური სახელწოდებების სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი
10. ლ. ა. ზ. მ. ა. ი. ფ. ა. რ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ზოგ ნაცვალსახელურ ფორმათა შესახებ კახეთში მოსახლე ხუნდების მეტყველებაში (ყვარლის რ-ნის სოფ. თივის მეტყველების მიხედვით)
11. დ. ა. ხ. ვ. ლ. ე. დ. ი. ა. ნ. ი., სათაურებისა და სახელწოდებების მართლწერის შესახებ

## 15 აპრილი, 11 საათი

1. მ. ღ ლ ო ნ ტ ი, წუთის სემანტიკური ფუნქციისათვის ქართულში
2. პ. ც ხ ა დ ა ი ა, სამი კოლხური მიკროჰიდრონიმის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი (მიონჩურაფუ, დუდიშ ოწყვიტაფუ, საორგიო) 1. მიონჩურაფუ.
3. ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, საბრუნებელი სახელის ფუძის წარმოებისათვის ხუნძურ ენაში
4. ტ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე, ზოგი რამ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის შესახებ
5. ე. გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი, საშუალო სპარსული გეოგრაფიული ტერმინოლოგიის კვლევის საკითხებისათვის ქართულ წყაროებში
6. თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილისათვის საშუალ ქირთულში
7. კ. მ ი თ ა გ ვ ა რ ი ა, სახელური სიტყვაწარმოება ადილეურში. | რედუქციური
8. 6. ჯ ო რ ძ ე ნ ა ძ ე, „უურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“
9. 6. ხ ა რ ჩ ი ლ ა ვ ა, ქალის ქონების აღმნიშვნელი ერთი ტერმინის შესახებ სამურჩაყანოში
10. 6. მ ა მ ი ს ე ი შ ვ ი ლ ი, სიზმარი და ოცნება ფუძეთა კავშირისათვის ქართულში
11. დ. ა ნ ფ ი მ ი ა დ ი, თანხმოვანთა ვოკალიზაციის შესახებ ქართულ მუსიკალურ ენაში

## 16 აპრილი, 11 საათი

1. ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ფ. ვ ა ნ ი ლ ი შ ი, ლაზურ ტიპონიმთა სისტემა „დიდი ნენაფონას“ მიხედვით
2. ც. ბ ა რ ა მ ი ძ ე, კილოს ფორმობრივი და ფუნქციური დატვირთვა და პიპოტაქსის ჩამოყალიბების გზები თაბასარანულ ენაში
3. ე. გ ა ზ დ ე ლ ი ა ნ ი, მრავლობითი რიცხვის -უ, -იშ-დუ სუფიქსების შესახებ სვანურში
4. ნ. ჭ კ ა ნ ე ლ ი ძ ე, მიმართვის ფორმები რ. ინანიშვილის ენაში
5. რ. ჭ კ ა დ უ ა, პ-პრეფიქსის ადგილისა და ფუნქციისათვის სვანური ენის ზმნურ ფორმებში
6. რ. შ ე რ ა ზ ი ა, „ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან“ II
7. მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, დენოტაცია-კონოტაციის დიალექტიკა და თანამედროვე ლექსიკოგრაფიის ტენდენციები
8. ც. ჯ ა ნ ჯ დ ა ვ ა, პირველი პირის სუბიექტის ორმაგი აღნიშვნა მეგრულში
9. ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი -ს უ ბ ა რ ი, სვანურის სპეციფიკური თურმეობითების აფიქსაციისათვის
10. ნ. ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, სოფელ წირქოლის ონომასტიკა
11. მ. ბ ა რ ი ხ ა შ ვ ი ლ ი, ნასესხები ლექსიკა უდიურ ენასა და ინგილოურ დიალექტში

## 17 აპრილი, 11 საათი

1. ნ. ქუთელია, დიაქტონიული ფონოტაქტიკა და სისტემის ელემენტთა ტრანსფორმაცია
2. ც. ახვლედიანი, კონსონანტურ ჯგუფთა შესწავლის პრინციპები /რომანულ ენათა მასალაზე/
3. თ. ვაშაკიძე, მარტივი წინადადების სინტაქსური მექანიზმისათვის თანამედროვე ქართულში
4. შ. გაბისკირია, „ვეფხიტყაოსნის“ ორი ანთროპონიმის წარმომავლობისათვის (როსანი, დულარდუხტი)
5. შ. ფუტარაძე, ზედსართავ სახელებთან დაკავშირებული თავისებურებანი იმერხელულში
6. მ. რობაჭია, „სიტყვის“ შინაარსობრივი ასპექტების შესახებ ძველ ქართულ და ძველ სომხურ ენებში
7. ქ. ჩიმეჯი, ოდნაობის სემანტიკის შე-ზმნისწინიან ფორმათა გადმოცემის საშუალებანი თურქულში
8. ნ. ბართაია, ნესტან-დარეგანის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით
9. რ. ლოლუა, ალბანური ლექციონარის ამოკითხვისათვის
10. ნ. ღოლიძე, გურული დიალექტი სხვადასხვა უანრის ტექსტებში
11. თ. პაპიაშვილი, სამშენებლო ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინები აფხაზურ ენაში

## ლევან აზმაიფარაშვილი

**ზოგ ნაცვალსახელურ ფორმათა შესახებ კანეთში  
მოსახლე ხუნძების მეტყველებაში**  
(ყვარლის რ-ნის სოფ. თივის მეტყველების მიხედვით)

ცნობილია, რომ სალიტერატურო ხუნძურში (resp. ჩრდილოურ ხუნძურში) არ გვხდება III პირის ნაცვალსახელთა ფორმები. მათ ფუნქციას აქ, როგორც წესი, ჩვენებითი ნაცვალსახელები ასრულებენ: **დო-ვ** (I კლ.), **დო-მ** (II კლ.), **დო-ბ** (III კლ.) „ის“, **დო-ლ** (მრ.რ.) „ისინი“.

სხვაგვარი ვითარებაა ამ მხრივ ანწუხურში; მაგალითად, სოფ. თივის მკვიდრ ანწუხელთა ტოხურ-ჭადაჭოლურ თქმაში III პირის ნაცვალსახელთა საკუთარი ფორმები მოიპოვება, ანუ პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები თგალსაჩინოდაა დიფერენცირებული. ანწუხურში III პირის ნაცვალსახელებად გვევლინებიან **დ-ა** (I კლ.), **დ-ე** (II კლ.), **დ-აბ** (III კლ.) „იგი“, **დ-ალ** (მრ. რ.) „ისინი“. მაგალითები: ღა ტვა „იგი (კაცი) წავიდა“, ღე ტვა „იგი (ქალი) წავიდა“, ღაბ ლად ჰუბუბონა? „ეს ვინ გააკეთა?“, ღალ ლაბ რუგუ „ისინი აქ არიან“...

ჩვენებითი ნაცვალსახელებია ანწუხურში **დ-ა** (I კლ.), **დ-ე** (II კლ.), **დ-აბ** (III კლ.), **დ-ალ** (მრ.რ.). მაგალითები: ღა მუჰამად ვულა „აი, ის მუჰამადი არის“, ღე ამინათ ვულა „აი, ის ამინათი არის“, ღაბ ჩუ ბულა „აი, ის ცხენი არის... სწორედ ამ ფორმებს შეესატყვისება ჩრდილოური ხუნძურის **დო-ვ**, **დო-მ**, **დო-ბ**, **დო-ლ** ჩვენებითი (ასევე III პირის) ნაცვალსახელები.

III პირის ნაცვალსახელთა ანწუხური ფორმების შესახებ ცნობები არ მოიპოვება ილ. ცერცაძის ნაშრომში („ანწუხური დიალექტი“. 1948), მათ საგანგებოდ არც შ. მიქაილოვი გამოყოფს, თუმცა მის მონოგრაფიაში („Очерки аварской диалектологии“, 1959) გვხდება ამ ნაცვალსახელთა შემცველი ცალკეული ფრაზები, მაგ., ასეთები: ღა ტვა დვახ „იგი (კაცი) წავიდა იქით“, ღე ტვა დეხ „იგი (ქალი) წავიდა იქით“... ამ ფრაზებსაც მკვლევარი სხვა საკითხებზე მსჯელობისას მოიხმობს საილუსტრაციოდ. ნაცვალსახელთა ეს ფორმები შეტანილი აქვთ თავის სიტყვათკრებულში ა. კიბრიკსა და ს. კოძასოვს

(„Сопоставительное изучение дагестанских языков. Имя. Фонетика”, 1990).

ანწუხურის **ღა** (I კლ.), **ღე** (II კლ.), **ღაბ** (III კლ.), **ღალ** (მრ. რ.) პირის ნაცვალსახელთა შესატყვისად ჩრდილოურ ხუნძურში გვევლინებიან ჩვენებითი ნაცვალსახელები **ღოვ** (I კლ.), **ღოვა** (II კლ.), **ღობ** (III კლ.), **ღოლ** (მრ. რ.). არნ. ჩიქობავასა და ილ. ცერცვაძის ვარაუდით, ჩრდილოური ხუნძურის **ო** ხმოვნიანი ვარიანტებისათვის სამხრულის **ა** ხმოვნიანი ვარიანტები უნდა იყოს ამოსავალი: **ღოვ** < **ღავ**, **ღოვ** < **ღაბ**. ანწუხურში I კლასისათვის რომ **ღა** გვაქვს, ხოლო II კლასისათვის **ღე**, ეს ფონეტიკური ცვლილებით არის გამოწვეული, კერძოდ, დიფთონგთა გამარტივების შედეგია, რაც სამხრულ ხუნძურ დიალექტებში გაგრცელებული მოვლენაა (შ. მიქაილოვი, არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე...): **ღა** < **ღავ** (**ა** < **ავ**), **ღე** < **ღაბ** (**ე** < **აბ**).

მთავარი კი ის არის, რომ ჩრდილოური ხუნძურის ჩვენებითი ნაცვალსახელი **ღოვ**, რომელიც ფონეტიკურად კანონზომიერად შეესატყვისება ანწუხურის **ღა** პირის ნაცვალსახელს, ამავე დროს მკვეთრად გამოირჩევა უკანასკნელისაგან ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით: ჩრდილოური ხუნძურის **ღოვ** (I კლ.), **ღოვა** (II კლ.), **ღობ** (III კლ.), **ღოლ** (მრ. რ.) ნაცვალსახელები მიუთითებენ დაბალ ადგილას მყოფ პირზე ან საგანზე, მაგ., გორაკზე მდგომი გორაკის ძირას მყოფის შესახებ ამბობს: **ღოვ** „ის, ვინც დაბლა იმყოფება (პ. უსლარი, არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე...); ანწუხურში კი **ღა** (I კლ.), **ღე** (II კლ.), **ღაბ** (III კლ.), **ღალ** (მრ. რ.) III პირის ნაცვალსახელებად გამოიყენებიან და სივრცესთან მიმართების თვალსაზრისით ნეიტრალური არიან. აღსანიშნავია, რომ სალიტერატურო ხუნძურში ადრე ყოფილა მცდელობა III პირის ნაცვალსახელებად ზოგადი მნიშვნელობით (სივრცისაგან განყენებულად) **სწორედ ღოვ**, **ღოვა**, **ღობ**, **ღოლ** ფორმათა შემოღებისა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

III პირის ნაცვალსახელები ანწუხურში თავისებურებას ავლენენ ბრუნების დროსაც:

<b>ღ-ა</b> (I კლ.)	<b>ღ-ე</b> (II კლ.)	<b>ღ-აბ</b> (III კლ.)	<b>ღ-ალ</b> (მრ. რ.)
ერგ. <b>ღ-ა-სა</b>	ერგ. <b>ღ-ა-ლ'</b>	ერგ. <b>ღ-ა-ზ'</b>	

მაგრამ სხვა ბრუნვებში გვექნება ასეთი სახის ფორმები:

ნათ. **უსა-უ-ლ**  
მიც. **უ-სა-უ-ბ-ე**

ნათ. **უ-ლ'-ს-უ-ლ**  
მიც. **უ-ლ'-ს-უ-ბ-ე**

ნათ. **უ-ზ-უ-ლ**  
მიც. **უ-ზ-უ-ბ-ე**

ერთი და იმავე პირის მეტყველებაში პარალელურად შეიძლება შეგვხდეს განსხვავებული ფორმები, მაგ., **უსა-უ-ლ** // **ღ-ა-სა-უ-ლ** „მისი“ და ა.შ. : ჭად უსაულ (//ღასაულ) როყ ყაღრი „ცეცხლმა მისი სახლი დაწვა“. ორივეანირად შეიძლებაო. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სოფ. თივის ანწუხურ მეტყველებაში იშვიათი არ არის პარალელურად ხმარება ერთი და იმავე სიტყვის რამდენადმე განსხვავებული ვარიანტებისა, ხოლო ეს ვითარება ვერ აიხსნება მარტოოდენ შიდა პროცესების გავლენით. გასათვალისწინებელია, რომ ხუნძები თივში ანწუხის თემის სხვადასხვა სოფლებიდან არიან ჩამოსახლებულნი და, შესაბამისად, ადგილი აქვს სხვადასხვა თქმებისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ, მორფოლოგიურ თუ ლექსიკურ მოვლენათა შერევას, რაც თავს იჩენს ხოლმე იდიოლექტის დონეზეც, პარალელურ ფორმათა არსებობის სახით.

აქვე აღვიშნავ სხვა ნაცვალსახელურ ფორმათა თავისებურებების შესახებაც.

სოფ. თივის მეტყველებაში კითხვითი ნაცვალსახელი **სა-ბ** („რა“) არც თუ იშვიათად შეიძლება იხმარებოდეს III კლასის **-ბ** სუფიქსის გარეშე, მაგ., სი ღულ' ბიშ? „რა თქვი?“, სი ღუ ბატმონ? „რა გინდა?“, სი უ ჰაბ? „რა არის ეს?“ და სხვა.

დასტურდება განუსაზღვრელ ნაცვალსახელთა ერთობ თავისებური კომპოზიტური ფორმები: **სოშაგინი** // **სოშაგინი** „ვინმე“, **სოშაგიფი** // **სოშაგიფი** „რამე“. მაგალითები:

სოშაგინი საოლვონსა ღუახ? „ვინმე მოვიდა აქ?“, ბოსუნ სოშაგიფ! „აიღე რამე!“...

სალიტერატურო ხუნძურისათვის ასეთი ფორმები უცხოა.

ამ ფორმებში წარმოდგენილია რიცხვითი სახელი **სო** „ერთა“ (ჭადაქოლოური წარმოთქმით: **შო**). **-შაგი-** // **-შამ-** ელემენტი, რომლის წარმომავლობაც გაურკვეველია, როგორც ჩანს, განუსაზღვრელობის მნიშვნელობას უნდა სქენდეს სიტყვა **სო**.

**შაგი** (ანდა **შო-შაგი** ჭიდაქოლოური წარმოთქმით) გვხვდება აგრეთვე შედგენილ ზმინისართში **სოშაგი მეხა** (ჭიდ. **შოშაგი მეხა**) „ოდესლაც“ (**მეხა „დრო“**).

ზმინის უარყოფით ფორმებთან ესენი უარყოფითი ნაცვალსახელის მნიშვნელობას იძენენ: დიდა სოშაგიჩი ვებ-ეჭუ „მე ვერავინ ვნახე“, ტოკულო ჰებ ტებ სოშიჩიძსას „არ მისცე ეს წიგნი არავის!“, დიდა სოშამურ ბიწბოპ-ნარუ „მე არაფერი მესმის“...

იმ ფორმათა დაბოლოებებში სულ იოლად გამოიყოფა სიტყვები **ჩი „კაცი, ადამიანი“** (სოშაგი-ჩი) და **უო „ნივთი, საგანი“** (სოშაგი-უო).

გვხვდება ამგვარადვე შედგენილი კიდევ ერთი განუსაზღვრელი ნაცვალსახელი, რომელიც უფრო კონკრეტული მნიშვნელობით გამოიყენება და. ასე ვთქვათ, „ვინმე ქალს“ გულისხმობს: **სო-შაგ-შადაბ „ქალი ვინმე“** (შადაბ „ქალი“): სოშაიშადამალს ჰუბურისა ჰაბჰალტი? „ვინმემ (იგულისხმება ქალი) გააკეთა ეს საქმე?“ და სხვა.

## დ ი ა ნ ა ა ნ ფ ი მ ი ა დ ი

### თანხმოვანთა ვოკალიზაციის შესახებ ქართულ მუსიკალურ ენაში

მუსიკალური ენა, ისევე როგორც სამეტყველო ენა, ნიშანთა სისტემას წარმოადგენს და აღმიშვნელისა და აღსანიშნის ურთიერთმიმართების პრინციპებს ექვედებარება,

ამ შემთხვევაში აღსანიშნს წარმოადგენს მუსიკალური ფრაზის, თუ მთლიანი ნაწარმოების მელოდიური არსი — მელოდიკური სტრუქტურა, ხოლო მისი კონკრეტული განხორციელება კონკრეტული ჰარმონიის გამოყენებით, აღმნიშვნელი იქნება.

ყოველი მუსიკალური ენა მჭიდრო კაგშირშია სამეტყველო ენასთან.

სამეტყველო ენის ვოკალურობა თუ კონსონანტიზმი, რიტმი, მელოდიკური სტრუქტურა, მეტყველების ტემპი, მნიშვნელოვან გა-

ვლენას ახდენს მუსიკალურ ენაზე, მეტიც, გავლენა ხორციელდება დიალექტურ დონეზეც.

ეს გავლენა უფრო თვალში საცემია თუ საქმე გვაქვს ვოკალურ მუსიკასთან ანუ ისეთ მუსიკალურ ფენომენთან, რომელიც ტექსტისა (ენობრივი ნარატივის) და მუსიკალური ფრაზის კომბინაციის შედეგად იქნება.

ასეთ შემთხვევაში ურთიერთგავლენა უფრო ცხადი და ადვილად დასანახია.

ქართულ ხალხურ სიმღერებსა და საექლესიო საგალობლებში თანხმოვნებს ვოკალიზაციისა და ცალკე მუსიკალური მარცვლის შექმნის უნარი აქვთ:

თანხმოვანს ერთვის ე.წ. ნახევარხმოვანი, შედეგად წარმოიქმნება დამოუკიდებელი მუსიკალური მარცვალი.

ის ფაქტი, რომ ყველაზე ხშირად ასეთი უნარით სონორები გამოირჩევიან, გვავრაუდებინებს, რომ აქაც ისეთივე პრინციპი მოქმედებს, როგორც საერთოქართველურ ენაში, სადაც, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისის შესაბამისად, სონანტებს ხმოვნის ფუნქცია და მარცვლის შექმნის უნარი ჰქონდათ.

ასეთი ფონეტიკური მოვლენა დასტურდება, როგორც ქართულ ხალხურ სიმღერებსა და გლოსოლალიებში, აგრეთვე ქართულ ლიტურგიკაში, კერძოდ გალობაში.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. „გამშვენებულ“ გალობაში, სადაც მუსიკალური ფრაზის გამდიდრება ზედმეტი ხმოვნების ჩარჩზე ხდება, თანხმოვნები მაინც ცალკე მუსიკალურ მარცვალს ქმნიან.

ეს ფაქტი, საერთოქართველური მოვლენაა და ქართული მუსიკალური ენის საინტერესო თავისებურებას წარმოადგენს.

ავთანდილ არაბული, ლალი ბინიაშვილი,  
ლიდა სოხაძე

## სალექსიკონო სტატიის რედაქტირების რამდენიმე ასპექტისათვის (ერთი ზმნური ბუღის მაგალითზე)

რომელიმე ლექსიკური ერთეულის სრული სალექსიკონო გაფორმება რომ სიტყვის ფორმაწარმოებითი და სემანტიკური მიმართებების, მისი ფუნქციონალური შესაძლებლობების კომპლექსურ, მრავალასპექტურ გათვალისწინებას მოითხოვს, ეს, ზოგადად, ყველა-სათვის ნათელია. მაგრამ რამდენად მრავალწახნავოვანია ამ ასპექტთა ურთიერთგადაკვეთის შესაძლებლობანი, ეს მხოლოდ კონკრეტული ნიმუშის სალექსიკონო „მონტაჟისა“ ხდება ხელშესახები. აქ, წესისამებრ, თავს იყრის როგორც ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის, ისე გრამატიკული პარალიგმატიკისა და სინტაქმატიკის საკვანძო პრობლემები და, ჩვეულებრივი კვლევისაგან განსხვავებით, თავად ანალიზის, კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პროცესი ლაბორატორიული „სინთეზური რედუქციის“ დონეზე ჩატარდა...

ამ რიგის ზოგი პრობლემის წარმოსაჩენად შეიძლება ავილოთ ერთი ზმნური ბუღის („რბის“) სტატიების რედაქტირების სურათი ქვევლის // ტომიდან. ძირითადი სტატია (ძველი რედაქციისა):

**გარბი-ს** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წევბაში) გრლუ. სტატ. სირბილით მიღის, — მირბის. ქატო ხარხარით გარბოდა ქვემოთქნ (6. ლომ.). [ჰატარა ბიჭუნა] კისრისტებით გარბოდა (ა. ბელ.). || გადატ. სწრაფად მიღის, მიიწევს. — სახლიდან გარბის. — ძაღლი შინ არ გარბოდა, სანადიროდ გარბოდათ (ანდაზა). ბეჭრი შეშის დამწევლი მაღიმალ ტექში გარბოდათ (ანდაზა).

ეს სტატია, თუ განმარტებითი ლექსიკონი ილუსტრირებული არ არის, ძირითადად აკმაყოფილებს ლექსიკოგრაფიულ მოთხოვნებს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ გრამატიკული კვალიფიკაციის საკითხს). მაგრამ ემპირიული მონაცემების აღნიშნული ძირითადი ასპექტებით სისტემატიზაციამ სტატიის სრულიად ახალი რედაქცია მოითხოვა:

**გარბი-ს** გრლუ. 1. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წევბაში) დარბის; მირბის. ბეჭრი შეშის დამწევლი მაღიმალ ტექში გარბოდათ (ანდაზა). დათვი უფრო მაგრა გარბის თუ შეღის უფრო გრმელი კუდი აქვს? (ლეორუბ. გოგე“). არის ერთი გაი-უშველებელი, გარბიან და გამორბიან ქტონები და ქიმები („კარავი“). ებენებოდა, რომ აუგავებულ დეკიანში გარბიან ისა და ქადა (გ. ჩოხ.). ბეჭრი ლაბაბრავი უეჭრო, ან გიღებ სულ საღდაც გარბიან და მაინც ვერაფერს ასწრებენ („ქართ. საფიხ.“). ფიგურ. გარბიან, ერთმანეთს შეიძებიან გზისპირა ბალახები (რ. ინან.). 2. (იყნ. გაირბინა, გაურბენია) სირბილით გაივლის რაიმე მონაკვეთს, გადის რაიმე მანძილს. ხშირს შემთხვევაში დათვი გარბის გაი დიდ მანძილს დატრილი („თბილ. ფორ.“). მონაწილეზი რიგრიგობით აეტებენ გადაცემებს, რის შემდეგ მონაწილე გარბის ჯგუფის ბოლომდე მარჯვნა მსრიდან და დგება ბოლოში („ლეგ.“). ◊ **დრო (თვე, წელიწადი)** გარბის დრო სწრაფად მიღის. გარბოდა დრო და დღეს დაქვდა (გ. აბაშ.). წელიწადიც მაღე გარბოდა (თ. ნატრ.). 3. (ივ. გაიქცა, გაქცეულა) სირბილით მიღის, — მირბის (სადღაც). ქატო ხარხარით გარბოდა ქვემოთქნ (6. ლომ.). ორღობები... სახლიდან ჟრანგის ამარა გამოვარდნილი ბიჭუნა გარბის (გ. მაღულ). მამა წამოტებოდა ლოგინიდან, შირის დასაბანად გარბოდა (თ. ნატრ.). ◊ **კისრისტებით გარბის ძალიან სწრაფად მირბის.** [ჰატარა ბიჭუნა] კისრისტებით გარბოდა (ა. ბელ.). ორგორც კი დედ-მამა (= დინოზაგრი) სანადიროდ წავიდოდა, ორივე კისრისტებით გარბოდა ჭალისაგნ (ი. მაღაც.). ◊ **თავქუდმოგლევილი გარბის იგივეა,** რაც კი ს რ ი ს -ტ ე ხ ი თ გ ა რ ბ ი ს. თავქუდმოგლევილი გარბოდა თვითონ მთავარხარდადი შაჟერდ სულთან ზიად-ოდღილი (ლ. სანიკ.). ხმაურს გავიგბდილ და გორჩუ-სებიდან თავქუდმოგლევილი გაერბოდით („კვ. ჰალიტ.“). 4. გადატ. საიდანმე მიღის; (სწრაფად) ტოვდს, სცილდება რაიმე ადგილს. მაღლი შინ არ ვარგოდათ, სანადიროდ გარბოდათ (ანდაზა). დიდ და ჰატარა ფოთისაგნ გარბოდა (გ. წერეთ). შენ ეხლა გარბისარ ჩემგან (მემ. აბაშ.). [სანორტშემნები] ხალიჩიდან დათხილნი გარბოდნენ (რ. ჭეაშვ).

წარმოდგენილი ზმნური სალექსიკონო ერთეულის სემანტიკურ-ფუნქციონალურმა ანალიზმა პირველ რიგში წარმოაჩინა, რომ ზმნური ფორმა **გარბი-ს** სამი სხვადასხვა პარადიგმის წევრია (resp. საწყისი ერთეულია). პირველი ნაკლული პარადიგმა, ხოლო ორი დანარჩენი, სემანტიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ორგვარად არის ჩანაცვლებული (შევსებული) სხვა ფუძით — იმავე ძირის მასდარის ფუძით (**რბი-რბინ-**) და სუპლეტური ფუძით (**ქცევ-**). პირველ პარადიგმას განამტკიცებს ამავე ძირის შემდეგი ფუძეები: **რბი-ს**,

**დარბი-ს** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში); მეორეს: **გადარბი-ს**, **გადმორბი-ს** (გადაირბინ-ა...); ხოლო მესამეს — **გაურბი-ს**, **გამოურბი-ს** (გაექც-ა...).

## ნოდარ არდოტელი

### საბრუნებელი სახელის ფუძის წარმოებისათვის ხუნძურ ენაში

1. ხუნძურ ენაში სახელთა ბრუნებისას უნდა გაირჩეს ოთხი სახის ფუძე: ა) ბაზისური (*resp.* არამარკირებული, წმინდა) ფუძე, რომელიც სახელობითი ბრუნვის ფორმას ეტოლება; ბ) „ირიბ“ ბრუნვათა (*resp.* მარკირებული) ფუძე; გ) მრავლობითი რიცხვის ბაზისური ფუძე; დ) მრავლობითი რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძე.

სახელობითი ბრუნვის მზამზარეული ფორმა ფუძედ მიიჩნევა იმის გამო, რომ ნულოვანი მორთვემით არის წარმოდგენილი და ორ-ფუძიანი ბრუნებისას საყრდენი ოდენობაა ირიბი ფუძის საწარმოებლად, მაგალითად: სახ. **ბაწ „მგელი“** — ერგ. **ბაწ-ი-ცა** (*ირ.* ფუძ. **ბაწ-ი-**), სახ. **იც „წყარო“** — ერგ. **იც-უ-ცა** (*ირ.* ფუძ. **იც-უ-**), სახ. **ნა „ფუტკარი“** — ერგ. **ნა-ე-ი-ცა** (*ირ.* ფუძ. **ნა-ე-ი-**) და სხვ.

სახელობითში გვხვდება როგორც თანხმოვანფუძიანი (*მეტშილად*), ისე ხმოვანფუძიანი (*ნაკლებად*) სახელი. მასთან, ხმოვანფუძიანად მიჩნეული სახელობითში მდგარი ზოგი სახელი ცვეთის გამო შეიძლება თანხმოვანფუძიანი აღმოჩნდეს (*წა „ცეცხლი“* — ერგ. **წად-უ-ცა** — *ირ.* ფუძ. **წად-უ-...**).

2. ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა საწარმოებელი ფუძის ფონემატური სტრუქტურა ამგვარია: წმინდა ფუძე (*resp.* სახელობითის ფორმა)<sup>1</sup> + ფუძის ფორმანტი („დამაკავშირებელი ხმოვანი“, „ფუძის

საგრცობი“...) + ბრუნვის ნიშანი, მაგ.: სახ. რაკ — ერგ. რეკ-ე-ცა (*ირ.* ფუძ. რეკ-ე-), მიც. რეკ-ე-მ-ე, ნათ. რეკ-ე-ლ, სახ. მოწა „მთვარე“ — ერგ. მოწა-რო-ცა (*ირ.* ფუძ. მოწა-რო-), მიც. მოწა-რო-გ-ე, ნათ. მოწა-რო-ლ და მრ. სხვ. სხვ.

ირიბ ბრუნვათა საწარმოებელ სუფიქსად ყველა ხმოვანი გამოიყენება, თუმცა -ე- ძალიან იშვიათად შეინიშნება. გარდა ხმოვნითი ელემენტებისა, ფუძის მარკერად გვხვდება -VC, -CV სტრუქტურის მარცვლოვანი ელემენტები. ამგვარი ელემენტების ბრუნვის ნიშანთათვის მიკუთვნება [მეგრელიძე 1940: 133; თოფურია 1987: 193] გაუმართლებელია, ვინაიდან ხდება სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის, სხვადასხვა გენეზისისა და ფუნქციის ელემენტების ერთი მორფოლოგიური აფიქსისადმი დაქვემდებარება. ოდინდელი კლასიფიკატორები, რომლებიც რეინტერპრეტირდნენ ბრუნვის ნიშნებად, მთლიანად დაიცალნენ კლას-ნიშნის გაეცისაგან და ე. წ. თანმხლებ ხმოვნებსაც აღარ თხოულობენ. ამის გათვალისწინებით, არ არის აუცილებელი ბრუნვის ნიშანი იყოს -VC (-CV) სტრუქტურისა, როცა ისინი მეტშილად ცალთანხმოვნიანია. გარდა ამისა, ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში ხმოვნითი ელემენტი უცვლელია, რაც დამატებითი არგუმენტია, რომ ამ რიგის ხმოვნები (*სახ. ყედ „კედელი“* — ერგ. ყად-ა-ცა...) ბრუნვის ნიშანთა კუთვნილებად არ მივიჩნიოთ.

3. ატრიბუტული ბრუნების დროს ერგატივსა და ირიბ ბრუნვათა ფუძეში დაჩნდება -სა, -ლა ელემენტები, რომლებიც წინ -ა-ს დაირთავენ და სხვადასხვა სპეციალისტთა მიერ განსხვავებულად განიმარტებიან [*იხ. ა. ბოკარევი 1949: 38; ალექსეევი 1988: 13; შდრ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 218-220; ისაევი 1987: 176...*].

ჩვენი აზრით, ამგვარი ელემენტები, რომელთა ექვივალენტები (-ჭა, -ლა სახით) ანდიურ ენებში გახმოვანების გარეშე არიან წარმოდგენილი, შეიძლება მივიჩნიოთ ირიბ ბრუნვათა ფუძისულ კლასიფიკატორებად. ისტორიულად ეს კლასიფიკატორები, პირდაპირი (*წმინდა*) ფუძის კლასიფიკატორებისაგან განსხვავებით, ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში ახდენდნენ სახელთა კლასიფიკაციას კლას-კატეგორიის მიხედვით.

ამას მიგვანიშნებს მათი დისტრიბუცია: -სა გამოიყენება | კლ. სახელებთან, ხოლო -ლა კი — II-III კლასის სახელებთან. ამ ფორმულების მიხედვით.

<sup>1</sup> სახელობითის ფორმა და წმინდა (*არამარკირებული*) ფუძე გაირჩევა იმ თვალსაზრისით, რომ წმინდა ფუძე ფონეტიკურად შეიძლება მოდიფიცირებული იყოს, მაგ.: სახ. ქერენ „მეტრი“ — წმინდა ფუძე ქარან-, სახ. ზანი „კორლანი“ — წმინდა ფუძე. ზონ- და ა. შ.

მანტთა კორელაცია მყაფიოდ არის გამოხატული და მათი აღრევა არ ხდება (რა თქმა უნდა, თუ არ გვაქვს ორაზროვანი სახელები: ჰობოლ „სტუმარი“, მადოპალ „მეზობელი“...).

4. მიაჩნიათ, რომ **-ასა**, **-ალა** (მრ. რ. **-აში**) ნაცვალსახელური წარმომანარებია, რომლებიც ერგატიული ბრუნვის ნიშნებად გვევლინებიან [კიკვიძე 1961: 350-356; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 218-220; გუდავა 1962: 266-271...].

ჩვენი აზრით, I და II ტიპის ბრუნებაში, რომელიც ატრიბუტივებიდან მომდინარეობს, **-სა** (I კლ.) და **-ლა** (II-III კლ.) ისტორიულად არ ასრულებდნენ ერგატივის ნიშნის ფუნქციას. მართალია, ეს ელემენტები უკავშირდებიან ჩვენებით ნაცვალსახელებში თავშენილ ეკვივალენტებს, მაგრამ მათგან არ უნდა მომდინარეობდნენ. ჩვენებით ნაცვალსახელებშიც, როგორც მსაზღვრელებში, იმავე ფუნქციას ასრულებდნენ, რასაც ზედსართავებში — ახდენდნენ სათანადო სახელთა დეტერმინაციას კლას-კატეგორიის მიხედვით. მძღვანელ, სუბსტანტივებსა და ჩვენებით ნაცვალსახელებში ეს ელემენტები საერთო ოდენობანია.

რაც შეეხება ხმოვნით ელემენტს, **-ა**- სახელობითის ფორმიდან უნდა იყოს ფუნქცია გადმოყოლილი, მაგ.: სახ. **ლაპა-უ** „კარგი“ — ერგ. **ლაპა-სა** (**\*ლაპა-ა-სა-უ-** < **\*ლაპა-სა-უ-დ**, შდრ. ყარახ. ჰა-სა-უ-დ „მათ“...).

მეტად საინტერესო ჩვენებას იძლევა ბაგვალური ენის რიცხვით სახელთა ბრუნება, რომელშიც სახელის ფუნქცია და ირიბ ბრუნვათა ფორმანტი -**შაუ**- ერთმანეთისაგან კლას-კატეგორიის ექსპონენტით არის გათიშვლი: სახ. **ცე-უ** (I კლ.) — ერგ. **ცე-უ-შაუ-რ** (ირ. ფუნ. ცეუშაუ-).

5. რაც შეეხება მრავლობითის საბრუნებელ ფუნქციას, სუბსტანტივთა მრავლობითობა სპეციალური ნიშნებით (**-აბი**, **-ზაბი**, **-ზალ**, **-ალ**, **-ულ**, **-დულ**; **-ბი**, **-ი**) გამოიხატება, ხოლო ატრიბუტულ სახელთა მრავლობითობას კლასიფიკატორები გადმოსცემენ.

ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ფუნქცია მრავლობითშიც განსხვავებულია სახელობითისაგან. ირიბ ფუნქცია არ გადაჰყვება **-ულ** ფორმანტი და აუსლაუტის ხმოვნითი ელემენტი **-ი**. **-ალ** სუფიქსი შეიძლება სპორადულად გადაჰყვეს ირიბ ფუნქციას (**ლიმ-ალ** „ბავშვები“ — ერგ. **ლიმ-ალ-აზ**...).

ამრიგად, ხუნძურში გვაქვს არა ერგატივის მზამზარეულ ფორ-

მაზე დამყარებული ორფუძიანი ბრუნება, არამედ ირიბ ბრუნვათა ფორმანტით ნაწარმოებ ფუნქციები („ფუძის ორფუძიანობაზე“) დამყარებული ბრუნება [გუდავა 1961: 347; თოფურია 1995: 87].

## დიანა ახვლე დიანი

### სათაურებისა და სახელწოდებების მართლწერის შესახებ

მხატვრულ ნაწარმოებთა სათაურების, სხვადასხვა სახელწოდებათა (ფილმის, უურნალის, გაზეთის... ფონდის, ორგანიზაციის, პარტიის...) მართლწერის საკითხი ქართული სალიტერატურო ენის მოსაგვარებელ (საჭირბოროტო) საკითხად რჩება. ჩვენი მასალის მიხედვით განსახილველია ძირითადად შემდეგი შესიტყვებები: — მსაზღვრელი და საზღვრული (სათაური ან სახელწოდება). ეს შესიტყვებები შეიძლება ორ გვუფად დაიყოს. როდესაც:

ა) სათაური ან სახელწოდება ერთსიტყვიანია, მაგ. ლექსი „უკვდავება“, გაზეთი „რეზონანსი“, უურნალი „ცისკარი“, ფილმი „მონანიება“;

ბ) სათაური ან სახელწოდება ორსიტყვიანია, მაგრამ ბრუნებადი, მაგ. მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“, რომანი „ჯაყოს ხიზნები“, ფილმი „პირველი მერცხალი“ და სხვ.

2. თუ სათაურის ან სახელწოდების შემცველი შესიტყვება ორზე მეტწევრიანი ფრაზაა, ან მსაზღვრელ სახელს ახლავს თავისი მსაზღვრელები (ატრიბუტული ან მართული), მაშინ სათაური ან სახელწოდება განკერძოვდება თავისი მსაზღვრელისაგან და ვიღებთ განკერძოებულ დანართს. ასეთ შემთხვევაში რთულდება და დაზუსტებას მოითხოვს სათაურისა და მისი მსაზღვრელის ერთად ბრუნების წესი. ცხადია, ასეთი მსაზღვრელ-საზღვრული გაჰყვება დანართიანი სახელების ბრუნების წესს.

საგაზეთო ან მხატვრული ლიტერატურის ტექსტებში გვხვდება სამგვარი შემთხვევა:

1. იბრუნვის როგორც სათაური, ისე მისი მსაზღვრელიც. ოლონდ მნიშვნელობა აქვს იმას თანხმოვანფუძიანია იგი თუ ხმოვანფუძიანი

2. ასეთი შესიტყვებების ბრუნება უფრო რთულდება, თუ სა-  
თაური ან სახელწოდება უბრუნველია. სურათი არაერთგვაროვანია

ა) გვაქვს **და** კავშირიანი შესიტყვება (გაზეთი „სიტყვა და სა-  
ქმე“, ფილმი „ხარება და გოგია“)

ბ) ზმნური შესიტყვება (მოთხოვის „ყბაჩამ დაიგვიანა“, ფილმი  
„ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“)

გ) სათაური არის რომელიმე სხვა ბრუნვაში (ლექსი „ჩემს დას  
ეფემიას“, „ყვარლის მთებს“)

3. მიუხედავად იმისა, რომ სათაური ბრუნებადია, იგი რჩება  
უცვლელი. იბრუნება მხოლოდ მსაზღვრელი. სათაურის უბრუნველო-  
ბა თანამედროვე სალიტერატურო ენის, განსაკუთრებით პრესისა და  
ტელევიზიის ენის დამახასიათებელი ტენდენციაა.

თვითონ სათაურების ბრუნების წესის დადგენაში გვეხმარება  
სათაურებისა და სახელწოდებების აგებულება.

## ც ი უ რ ი ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი

### კონსონანტურ ჯგუფთა შესწავლის პრიცეპები (რომანულ ენათა მასალაზე)

გაბმულ მეტყველებაში ბერებით შეერთების კანონები დიდი  
ხანია იპყრობს ლინგვისტთა ყურადღებას. ტრადიციულ ფონეტიკაში  
განიხილებოდა პროცესები, რომლებიც ხდებოდა კონტაქტურად,  
ზოგჯერ კი დისტანციურად განლაგებულ ბერებს შორის; მაგრამ ეს  
მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლებელი ასპექტთაგანია ბერებითი კომპლექ-  
სების ანალიზისა. ფონოლოგიის გამოჩენამ განაპირობა მეორე ასპექ-  
ტიც — ცალკეულ ფონემათა ჯგუფურად შეერთების წესების შესწავ-  
ლა თითოეული მოცემული ენისათვის. მესამე ასპექტი კი არის —  
ფონემათა ჯგუფების, კერძოდ თანხმოვნების წარმოდგენა განსაკუთ-

რებულ სისტემად, არანაკლებ მნიშვნელოვნად, ვიდრე ფონემათა სის-  
ტემაა. ეს ასპექტი არსებითია ენათა ტიპოლოგიისათვის.

დიაქრონიული ფონოტაქტიკა იკვლევს კონსონანტური ჯგუფე-  
ბის სისტემის ევოლუციას, სისტემის ცვლილების კანონზომიერებებს  
მთლიანობაში, ადგენს კონსტანტური და ვარიაციული ელემენტების  
არსებობას. თუმცა, ჩვენი აზრით, არ შეიძლება მხოლოდ ამ ასპექ-  
ტით შემოიფარგლოს ფონოტაქტიკური კვლევა. ჩვენი კვლევა წარმო-  
ებს სიტყვის როგორც ერთიანი მთლიანობის (რომლის განუყოფელ  
ნაწილს წარმოადგენს ფონეტიკური სტრუქტურა) გაგების პოზიციი-  
დან. ამ მიღვიმით შეიძლება უფრო ფართო განსაზღვრა მიეცეს ფო-  
ნოტაქტიკას, როგორც ფონეტიკური მეცნიერების ნაწილს, რომელიც  
შეისწავლის სიტყვის ფონეტიკურ სტრუქტურას. ამ სტრუქტურის  
კერძო შემთხვევას წარმოადგენს კონსონანტური კომპლექსების შე-  
სწავლა სიტყვის შემადგენლობაში. ვფიქრობთ, რომ ფონოტაქტიკა  
არის ის ხიდი, რამელიც აერთებს ფონეტიკასა და ფონოლოგიას.

არსებობს თანხმოვანთა ჯგუფების ამა თუ იმ ხარისხით გამარ-  
ტივებისა და გართულების პროცესები; გამარტივების ნიმუშებია:  
ლათ. cor<cord, ლათ. lac<lact და სხვ. გართულების ნიმუშებია:  
ფრანგ. chambre <ლათ. camera ლათ. homine >ესპ. hombre  
და სხვ. კონსონანტური ჯგუფის როგორც **ერთი მთლიანობის** კვლევა  
ვარაუდობს ორი პროცესის კვლევას: კონსონანტური ჯგუფის მუტაცი-  
ისას და კონსონანტური ჯგუფის კონსერვაციისას. მივიჩნევთ, რომ  
კონსონანტურ ჯგუფთა ისტორია რომანულ ენებში უნდა გაანალიზ-  
დეს იმ თეორიული პოზიციებიდან, რომლებიც ითვალისწინებენ: 1)  
კონსონანტური ჯგუფის ჩართვას ფონოლოგიურ სისტემაში; 2) კონ-  
სონანტური ჯგუფის ჩართვას ბერებით ცვლილებათა სისტემურ პრო-  
ცესებში; 3) კონსონანტური ჯგუფის ჩართვას სიტყვის ბერებით  
სტრუქტურაში. გამოთქმული დებულებები კონსონანტური ჯგუფების  
კომპლექსური განხილვის საშუალებას იძლევა, ფონოლოგიის, ფონე-  
ტიკისა და ფონოტაქტიკის, ანუ ერთიანი ფონეტიკური მეცნიერების  
პოზიციებიდან.

ბერებით ელემენტთა სტატიკისა და დინამიკის პრობლემატიკის  
შესწავლამ, ფონოტაქტიკის ჩარჩოებში, მოითხოვა ენათმეცნიერების  
ამ დარგის კატეგორიალური აპარატის შემდგომი დამუშავება; შემო-

ვიტანეთ ახალი სამეცნიერო ცნებები, როგორებიცაა ფონოტაქტიკური პოტენციალი, კონსონანტური კომპლექსების ელემენტთა პროდუქტიულობის ხარისხი მათი პოზიციისადა მიხედვით, საერთო ფონოტაქტიკური ფონდი და სხვა, რაც აფართოებს ფონოტაქტიკური ორიის აქამდე ცნობილ დებულებებს და ამასთანავე ხელს უწყობს ფონოტაქტიკის შემდგომ განვითარებას.

## ცირა ბარამიძე

### კილოს ფორმობრივი და ფუნქციური დატვირთვა და ჰიპოტაქსის ჩამოყალიბების გზები თაბასარანულ ენაში

თაბასარანულ ენაში მოდალური კატეგორია კილო მორფოსინტაქსურ იდენტური ჩამოყალიბდა. სემანტიკურადაც და სინტაქსურადაც ასეთი წინადადების კონსტრუქცია მოვაგონებს სტანდარტულ ქვეწყობილ წინადადებას. ერთი მხრივ, კილოს გამომხატველი ზმები სრულ მორფოლოგიზაციას განიცდიან, თუმცა, მეორე მხრივ, ინარჩუნებენ სინტაქსურ თვისებებს.

ცნობილია, რომ თაბასარანულ ენაში არ გვაქვს მიმართებითი ნაცვალსახელები, არც მაქვედებარებელი კავშირები განვითარებულა. რთული ქვეწყობილი წინადადება ჩვეულებრივ გადმოიცემა წინადადებით, რომლებშიც წარმოდგენილია მიმღებები, აბსოლუტივები, ინფინიტიური, მასდარული და გარემოებითი ფორმები. მაგალითად, მიზნის გარემოებითი კონსტრუქცია რომ გადმოეცა, გამოიყენა: პაზკააფიშ — „ზედმიწევნით, „რატომ, თუ იტყვი“ წინადადებაში იგი ასრულებს გარემოებითი წინადადების კავშირის როლს და აღნიშნავს „იმიტომ, რომ“.

ცხადია, ჰიპოტაქსი თაბასარანულში, ისევე, როგორც დაღესტანურ ენებში, საზოგადოდ, დგას ჩამოყალიბების რთულ გზაზე. ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებს კილო, რომელიც შეიცავს ათეულობით ფორმებს, მიმართავს ანალიზურ წარმოებას და გადმოგვცემს სხვასხვა მოდალურ კონსტრუქციას, ზოგჯერ გაურკვევე-

## ლი სტრუქტურითაც კი.

ამგვარი ზმნური ფორმების სრული აღწერა ძალზე ძნელია, განსაკუთრებით კი — სემანტიკური აღწერა. სირთულეს წარმოადგენს აგრეთვე ყველა ზმნური ფორმისა და კონსტრუქციის ინვენტარიზაცია. ზოგიერთი მათგანი ძალიან იშვიათად თუ გამოიყენება და შეიძლება მკვლევარს მხედველობიდანაც კი გამორჩეს, ხოლო ზოგის დამახასიათებელია გრამატიკალიზაციის უმნიშვნელო ხარისხი. ამიტომ შეიძლება მნიშვნელოვან ფორმადაც არ ჩავთვალოთ.

მოხსენებაში მოცემულია ცდა, ჩამოყალიბდეს კილოს უჩვეულო სტრუქტურის თავისებურებანი, ამ ფორმების სემანტიკური მრავალფეროვნება, მოხდეს ფუნქციათა განსაზღვრა, და ბოლოს, გაირკვეს მორფოლოგიაში შემავალი სინტაქსური ოდენბის — ჰიპოტაქსის ფორმირების გზები. კილოს სიტუაციის შემცველ წინადადებაში გვაქვს მართვის თავისებური მოდელი — მთავარი წინადადების ზმნასთან სუბიექტი უმეტესად ერგატივშია, ხოლო სიტუაცია, რომელიც კილოს მოდალობას შეიცავს, გადმოიცემა ზმნით — სიტყვა-ფორმით და იგი წინა — მთავარი წინადადების ზმნაზე დამოკიდებული. კილოს სიტუაციის გამომხატველი ზმნა კი შეიძლება იყოს როგორც ერთვალენტიანი გარდაუვალი, ორვალენტიანი გარდამავალი და, აგრეთვე, დატიური კონსტრუქციის მქონე აფექტური ზმნა. დაქვემდებარებულ წინადადებაში, რომელიც ყოველთვის დამოკიდებულია მთავარ ზმნაზე, აქტანტების ბრუნვათა გაფორმება სრულადაა შენარჩუნებული.

## ნომადი ბართავია

### ნესტან-დარეკანის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით

ქართული წერილობითი ძეგლებიდან საკუთარი სახელი **ნესტან-დარეკანი** პირველად „ვეფხისტყაოსანშია“ დაფიქსირებული.

ამ სახელის ეტიმოლოგიის შესახებ პირველად თეიმურაზ ბაგრატიონმა (1782—1846) გამოხატა თავისი მოსაზრება „წიგნი ლექ-

سیزئوننში“ შემდეგი სახით: „**ნესტან-დარჩან**. ნეინ — ლერწამი. ნე-ისთან — საუნჯე ლერწამთა. დარჩან სულსა შინა, ანუ სიცოცხლესა შინა — არაბულად ამას ნიშნავს ჭან — სიცოცხლე, ანუ სული. დარ — ესე სპარსული ლექსი არს, რომელიცა ნიშნავს შინა ანუ თანა-მი-სთანა. ტან ანუ თან ტანი კაცისა; რომ დაჰყო მარცვლებად **ნესტან-დარჩან** მრავალი სხვადასხვა სახელი გამოვა. დარაჭა ხარისხიც არის. დარაჭა მხმილავიც არის, ესე იგი ჭარაული“ (თ. ბაგრატიონი 1979).

ამავე ლექსიკონში ცალკეა განმარტებული **ნას-ტან-ჭარ**-ი ამგა-რად — „ესე სპარსულის ლექსით რომ განიმარტოს: ნას ანუ ნეს — ნაზი, ჭართულად — წყნარი, შესაბამიერი და ანუ წყნარის მშვენიე-რებით შემკობილი, ანუ მშვენიერი სიწყნარის თვისებისა. ტან არის სპარსულად თან — ესე იგი **მორცი** ანუ **ნაკვთი**. ჭარ — კეთილწესი-ერებით განკარგული, ანუ განმშვენიერებული. მითითებულია, რომ ნახონ **ნესტან-დარჩანი**.

აქ საყურადღებო მხოლოდ პრობლემით დაინტერესებაა და არა მისი მეცნიერული ანალიზი.

მეცნიერულად კი ამ საკითხს პირველად ნიკო მარი შეეხო, რომელმაც ერთი რიგის წარმომავლობის საკუთარი სახელები: **სე-ფედავლედარისბანი**, ამირანდარეჭანიძე და მათთან ერთად **ნესტან-დარჩანი** ასე დაშალა და ახსნა:

**სეფედავლედარისბანი** — **სეფ ე დავლე დარ ისბან**, სადაც **სეფ** ( $\leftarrow$  **سیف** / **سادهف** /) არის — **ხმალი**; **ე** — იზაფეტის მაწარმოებე-ლი, **დავლა** ( $\leftarrow$  **دولا** / **დავლა** /) — ქვეყანა; **დარ** ( $\leftarrow$  **در** / **დარ** /) — თანდ. — ში) და **ისბან** ( $\leftarrow$  **اصفهان** / **ესֆაჰან** /) — **ისფაჰანი**. მთლია-ნობაში — **دولا** **فیس دولا** (**سادهف ე დავლე დარ ესფاჰაن**) — **სახელ-მწიფო ხმალი ისფაჰანში** (**الدولي، مادهافن...**).

**ამირანდარეჭანიძე** — **ამირ ანდარ(ე)** ჭან, სადაც **ამირ** ( $\leftarrow$  **امیر** / **امير** /) არის — **ემირი**; **ანდარ(ე)** ( $\leftarrow$  **اندر** / **ანდარ** /) — თანდ. — ში და ჭან ( $\leftarrow$  **چهان ჭეჰان** /) — ქვეყანა. მთლიანობაში — **امیر اندر چهان** (**امير اندر چهان(ე)** ჭეჰან) — **ემირი ქვეუნისა** (**کیمیونیس მეთაური**, **სწო-რუბოვარი**, **მამაცი...**).

**ნესტან-დარეჭანი**, სადაც **ნესტ** — ( $\leftarrow$  **نیست** / **نیست** / **نیست** / **نیست** / **نیست** /) ნიშნავს — **არ არის, ანდარ(ე)** — ( $\leftarrow$  **اندر** / **اندادار** /) არის

თანდ. — **ში და ჭან** — ( $\leftarrow$  **جهان / چهان** /) — ქვეყანა. მთლიანობაში — **ნესტ ანდარ(ე) ჭეჰან**, რომელსაც მეცნიერი ასე იაზ-რებს — „**არ არის ქვეყანაზე (მსგავსი)**“ („Нет в мире (подобной)“) და სამივეს განიხილავს როგორც ეპითეტურ სახელებს (ნ. მარი 1964: 83).

**ნესტან-დარეჭანის** ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერა-ტურა ახალი მასალებით გაამდიდრა ალექსანდრე ჭულუხაძემ. მან მოიყვანა მეტად მნიშვნელოვანი მაგალითი არაბული წყაროდან — ემად ედ-დინ ისფაჰანის „**سےلہبھتہ اسٹوრیا**“ (XIIს.), სადაც პირ-დაპირ არის მითითებული, რომ **ნესტ ანდარ(ე) ჭეჰან**-ი არის საკუ-თარი სახელი: — „**ماسعدهاں ڈےڈا، چالاں ڈیورٹھاںی کے توپیلہ شہابیلہ، ساکھے لاد نیست اندر جهان (نیست ანდარ(ე) ჭეჰაن)-ი یعنی**“ (ა. ჭულუხაძე 2008: 217).

დავუბრუნდეთ ისევ ნიკო მარს, რომლის ინტერპრეტაციით **ნესტ ანდარ(ე) ჭეჰან**-ის მნიშვნელობაა — **არ არის ქვეყანაზე (მსგავსი)**.

ჩვენ არაფერი გვაქს საკამათო ამ ახსნასთან დაკავშირებით, მხოლოდ დავუმატებდით, რომ — **نیست اندر جهان (ნესტ ანდარ(ე) ჭე-ჰან)**-ი შეიძლება შემდეგი სემანტიკური დატვირთვის მატარებელიც იყოს — **არ არის ამქვეყანაზე ანუ — არაამქვეყნიური** და მასში გა-ვიაზროთ **არამატერიალური** სამყაროს მკვიდრის საკუთარი სახე-ლიც.

საკითხს თუ ამ კუთხით შევხედავთ, საინტერესო ჩანს გ. წე-რეთლის მიერ შუა აზიის ფოლკლორში დაღასტურებული ქალის სა-კუთარი სახელი — „**ნესტარ-ჭეჰან ფარიზოდა**“ (გ. წერეთელი 1938: 1-2), სადაც **ნესტარ-ჭეჰან** არის ფონეტიკური ვარიანტი **ნისტ ან-დარ(ე) ჭეჰანისა**, ხოლო **ფარიზოდა** დაიშლება ასე — **ფარი ზოდა**, რომელიც სპარსულ-ტაჯიკურად ნიშნავს — ფერის ანუ **არამატე-რიალური** არსების ასულს (**یزد სპاრს. ფاری، ტაج. ფاრი**) — **ფე-რია, დაز** (**სპარს. ზۆდე, ტაج. ზოდა**) — **დაზ (ზოდა)** **შობა ზმის** ნამყო ღროის მიმღება — შობილი. ტაჯიკურად გამოითქმის **ფარი-ზოდა** (**رۇپىنىڭىزى**, 1983; **ტაջىკური ლەكىسىقىنى**, 1969).

ამგვარად, შესაძლებელია, **نیست (نیست) اندر جهان (نیست) نیست** / **ან-დარ(ე) ჭეჰან**-ში ვიგულისხმოთ როგორც **მატერიალური**, ისე არა-

**პატერიალური** სამყაროს მკვიდრის სახელი.

**ნესტან-დარეგანი** „ვეფხისტყაოსნის“ გავლენით, როგორც ლა-მაზი და ჭკვიანი ქალის სახელი, შესულია ქართულ ფოლკლორშიც (ლ. კოტაშვილი 1985: 35).

„ვეფხისტყაოსანში“ **ნესტან-დარეგანი** გვხვდება შემოკლებული ფორმითაც — **ნესტანჯარი** (შ. რუსთაველი 1966, სტრ. 1549).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართულში **ნესტან-დარეგან-იდან** მიღებულია ორი საკუთარი სახელი — **ნესტანი** და **დარეგანი**. ეს უკანასკნელი „ვეფხისტყაოსანში“ ზოგჯერ ენაცვლება კიდეც **ნესტან-დარეგანს** (შ. რუსთაველი სრტ. 1549).

## მ ა ი დ ბ ა რ ი ხ ა შ ვ ი ლ ი

### ნასესხები ლექსიკა უდიურ ენასა და ინგილოურ დიალექტში

საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა ქართული ენის ინგილოური დიალექტისა და უდიური ენის ურთიერთობა აზერბაიჯანულ ენასთან.

აღნიშნულ ენასთან კონტაქტმა დიდი გავლენა მოახდინა ინგილოური დიალექტისა და უდიური ენის ფონეტიკაზე, მორფოლოგიაზე, ლექსიკასა და სინტაქსზე.

მოხსენებაში წარმოდგენილია უდიურ და ინგილოურ ტექსტებში მოძებული საერთო ლექსიკური ერთეულები. კერძოდ, არსებითი სახელები, რომლებიც უცვლელად ან გარკვეული ფონეტიკური ცვლილებით აზერბაიჯანული ენიდან არის ნასესხები. ასეთებია, მაგალითად:

ინგ. ბიღ, უდ. ბიღ „ულვაში“ (შდრ. აზერ. biy - ულვაში)

ინგ. ელუ — მიცვალებული, უდ. ელ(მუღ) — სამშვინველი (შდრ. აზერ. elu — მიცვალებული)

ინგ. ყუშ — ჩიტი, უდ. ყუშ — არწივი (შდრ. აზერ. qus — ჩიტი)

ინგ. ქოთუქ, უდ. ქოთიკ „მორი“ (შდრ. აზერ. qotük მორი)

კვლევის შედეგები, თვალსაჩინოებასთან ერთად, წარმოდგენილია მოხსენებაში.

## თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

### მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილისათვის საშუალ ქართულში

1. წინადადებაში განსაზღვრება დამოკიდებული წევრია. იგი ყოველთვის ექვმდებარება საზღვრულს და გადმოსცემს მის რაიმე ნიშანს ან თვისებას. განსაზღვრების სინტაქსურ ბუნებას აპირობებს საზღვრულ სიტყვასთან დამოკიდებულება. მსაზღვრელ-საზღვრულის აღგილი წინადადებაში სხვადასხვაა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ძევლ ქართულში პრეპოზიციული წყობა ჭარბობს ორიგინალურ ძეგლებში, პოსტპოზიციური — ნათარგმნ ძეგლებში. ასევეა თანამედროვე ქართულშიც.

2. ამ თვალსაზრისით ძნელია თქმა, თუ რომელი წყობა ჭარბობს საშუალი ქართულის ენაში. წერილობით ძეგლებში ისეთივე ხშირია პოსტპოზიციური წყობა, როგორც პრეპოზიციული. როგორც ჩანს, ამ დროის ლიტერატურული ენა სინტაქსური ურთიერთობების თვალსაზრისით უფრო თავისუფალია. დღევანდელ სამწერლობო ენაში მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობა უმეტესად პოეზიაში გამოიყენება, საშუალ ქართულში კი პროზაშიც ხშირია.

3. ამ პერიოდის ქართულის წერილობით ძეგლებში ინტენსიურად გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის ე.წ. გათიშული, დისტანციური წყობაც.: „ჩა კარი გაიღო ციხისა, მოაბადს ქალი ხელთა მისცა“ (ვისრ., გვ. 36); „თუცა ვისი ესეთი ნახა ნაცარსა ზედა მკდო-მი, პირდახოჭილი, თმადაგლეჭილი, ნიადაგ მტირალი“ (ვისრ., გვ. 44); „მინდორი ერთი დაგვხდა მეტად დიდი და უზომი“ (ამირან-დარ., გვ. 8); „საქონელსა ჰეგანდა დამალულსა ნაოხარსა შიგან ვი-სი...“ (ვისრ., გვ. 95); „ეგე თქვენი წესი არის საძაგელი და მოსაყივ-

**ნებელი...“** (ვისრ., გვ. 18); „განახვნა პაპა-მამურნი საუნჯენი..., ამ-ცნებდა, რათა **ორსა კეცა** მისცემდნენ გაჩენილისასა“ (ცხ. მეფ.-მეფ. თამ., გვ. 396)

ასეთი სინტაქსური წყობა ძველსა და ახლა ქართულში იშვიათად გვხვდება, არაა ღამახასიათებელი ასევე ზეპირი მეტყველებისათვის. საშუალი ქართულის ენა კი ამის თავისუფალ საშუალებას იძლევა.

უკანასკნელში დილ („გული“) და არასთან („დამშვენება“) ზმნის აწმყო დროის ფორმა არა შეიცნობა, ხოლო ერთად **დილარა** „შეყვარებულს“ ნიშნავს. ამგვარად დილარ(ა)დუხტს, შესაძლოა, დულარდუხტი მოეცა. დულარდუხტში, ისევე როგორც სხვა ამ ტიპის სახელებში, დუხტ მამა-კაცის სახელზეა დართული. ამ თვალსაზრისით ის გარემოებაცა აღსა-ნიშნავი, რომ სახელ დილარას დღესაც ატარებენ მამაკაცები ირანში.

## შ ა ლ ვ ა გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა

### „გეფეიტყაოსნის“ ორი ანთროპონიმის წარმომავლობისათვის (ორსანი, დულარდუხტი)

ქართულში დადასტურებული ისლამამდელი პერიოდის ირანული ანთროპონიმების შესწავლას, რომელთა შორის მოხსენებაში წარმოდგენილი სახელებიც არის, დიდი მნიშვნელობა აქვს ირანული ონომასტიკინის ისტორიის თვალსაზრისითაც.

1. ქაჯეთის მეფის ძის სახელი **როსანი** „ნათლის“ აღმნიშვნელ ირანულ ზედასართავს უნდა უკავშირდებოდეს, რომელიც ფონეტიკურად უფრო ახლოსაა ფალაურსა და კლასიკურ სპარსულში ცნობილ როშან ფორმათან. მისი გვიანდელი ვარიანტი როუშან როგორც მამაკაცის, ასევე ქალის სახელად’ ცნობილია თანამედროვე ირანულ ენებსა და აქედან თურქული მოდგმის ხალხთა ანთროპონომიკონში.

„გეფეიტყაოსნის“ **როშან-ის** ნაცვლად **როსან** ფორმის პოვნიერება ძველ ქართულში პირის სახელთა პარალელური ფორმების გამოყენებით შეიძლება აიხსნას. მაგ.: ბიბლიის უძველეს ქართულ თარგმანში დამოწმებული მამაკაცის სახელი დარიელი, მაგრამ რუსთველთან ტარიელი.

2. ქაჯეთის მეფის ძის სახელ **დულარდუხტ-ში** ანალოგიური წარმოების ანთროპონიმების (გურანდუხტი, მირანდუხტი, საგდუხტი, ბალენდუხტი და სხვ.) მსგავსად **დუხტ** („ქალიშვილი“) გამოიყოფა. კომპოზიტის პირველ ნაწილში პირის სახელი დილარა (ეტიმოლოგიურად „შეყვარებული“, „მომხიბლავი“, „ლამაზი“) არის სავარაუდებელი. ამ

## ე ლ ი ს ა ბ ე დ გ ა ზ დ ე ლ ი ა ნ ი

### მრავლობითი რიცხვის -უ, -იშდუ სუფიქსების შესახებ სვანურში

სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სხვადასხვა ნიშანთა შორის გამოყოფილია **-უ** და **-იშდუ** სუფიქსები (თ. შარაძენიძე).

**-უ** მრ. რიცხვის ნიშანი სახელებში, სხვა ნიშნებთან შედარებით იშვიათად იხმარება, მაგრამ მეტ-ნაკლები სიხშირით დადასტურდა ყველა დიალექტში.

**-უ** მრ. რიცხვის ნიშანდ დაერთვის მატრივფუძიან სახელებს: **პატრონ** „პატრონ-უ“, „პატრონები“; **ნადალ** „ნათესავი“; **ნადალ-უ** „ნათესავები“; **მერდე** „მყოფი“; **მერდე-უ** „მყოფები“.

მრ. რიცხვის **-უ** ნიშანი უფრო ხშირად გვხვდება ზედსართავებსა და მიმღებებში, რომლებიც ბოლოკიდურ პოზიციაში შეიცავენ **რ**, **-ლ** სონანტებს წინამავალი სხვადასხვა ხმოვნით. ეს ელემენტები შეიძლება იყოს:

ა) ფუძის კუთვნილება **ლგპრ** „ცოცხალი“ **ლგარ-უ** „ცოცხლები“; **ლგდგპრ** „მიცვალებული“ **ლგდგარ-უ** „მიცვალებულები“; **ლგფპლ** „ქალბატონი“ **ლგფპლ-უ** „ქალბატონები“...

ბ) მრავლობითი რიცხვის ნიშანი ბზ. **დი** „დედა“, **დილ-არ-უ** „დედები“; **ქუნ** „სულიი“ **ქუნ-პრ**, **ქუნ-არ-უ** „სულები“. ბქ. **მეჩხვე** „გამზღარი“, **მეჩხ-ოლ**, **მეჩხე-ოლ-უ** „გამზღრები“ **ხოშა** „უფროსი“ **ხოშ-ელ**, **ხოშ-ელ-უ** უფროსები.

გ) მქონებლობის აღმნიშვნელი სუფიქსები: **ჰაფეშ** „დაღლილობა“ **ჰაფშ-პრ** „დაღლილი“, **ჰაფშ-პრ-უ** „დაღლილები“; **შიძდ**, **შიძმილი**“ **შიძდ-პრ** „მშიერი“, **შიძდ-პრ-უ** „მშიგრები“; **ცუყუში** „ჩიყვი“ **ცუყუშ-პრ** „ჩიყვიანი“, **ცუყუშ-პრ-უ** „ჩიყვიანები“...

-უ’ს დაირთავს -ჟ დაბოლოების მქონე ზედსართავი სახელები ბალსზემოურში: **ჰეფ-ჟ** „კბენია“ **ჰეფ-ა-უ** „კბენიები“, **კუაჩი-ჟ** კოჭლი კუაჩი-ა-უ „კოჭლები“, **გაგდ-ჟ** „კბედი“ **გაგდ-ა-უ** „კბედები“ ზს. -უ’ს გამოავლენს -იან სუფიქსიანი სახელებიც: **ცოდრ-იან** „ცოდვილი“ **ცოდრ-იან-უ** „ცოდვილები“; **ბილწიან** „ბილწი“ **ბილწ-იან-უ** „ბილწები“.

ბალსზემოურში არსებული ძალიან იშვიათად ხმარებული მრ. რიცხვის -იჯდუ ნიშანი, ქვემოსვანურ დიალექტებშიც დადასტურდა. ლშ. -იედუ ლნტ. -იედუ ფორმით. ორიოდე სახელთან ბალსქვემოურში -ედუ ვარიანტიც შეგვხვდა. ბქ. **მგეთ** „მოკეთე“, **მგეთ-ედუ** „მოკეთები“; ლშ. **ნაღალ** „ნათესავი“ **ნაღლ-იედუ** „ნათესავები“, **ბიღ** „ნაპირი, ტუჩი“ **ბიღ-იედუ** „ნაპირები“; ლნტ. **ვეზირ** „ვეზირი“ **ვეზირ-იედუ** „ვეზირები“.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ღიად რჩება -უ’სი და -უ’თი წარმოებული მრავლობითი რიცხვის საკითხი“ (თ. შარაძენიქე).

ვფიქრობთ დასაშვებია -უ მრ. რიცხვის ნიშანი დავუკავშიროთ იგივე მნიშვნელობის მქონე -იჯდუ, იედუ სუფიქსს, რომლის გამარტივებით მივიღეთ -უ (იედუ > იჯდუ > ედუ > უ).

## ე ლ ე ნ ე გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი

### საშუალო სპარსული გეოგრაფიული ტერმინოლოგიის კვლევის საკითხებისათვის ქართულ წევაროებში

ისლამამდელი ირანისა და ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს.

ეს მიმართებები განსაკუთრებით მრავალმხრივი და მნიშვნელოვანი ხდება სასანელთა მმართველობის ხანაში (III-VII სს. ჩვ.წ.). სასანური ირანის ღრმა გავლენამ ქართულ ცივილიზაციაზე სათანადო ასახვა ჰქონდა იმ ღროის (ისევე როგორც გვიანდელი პერიოდის) ქართულ სულიერსა და მატერიალურ კულტურაში.

ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია სასანელთა იმპერიის ოფიციალური, რელიგიური და სალიტერატურო ენის-საშუალო სპარსულის ფენომენი საქართველოში (იხ. J.Gippert, Zum Status des Mittelpersischen im südlich Kaukasus, *Proceedings of the conference “Bilingualism in Iranian Cultures”*, Bamberg 1992).

ქართულ წერილობით ძეგლებში გამოვლენილია საშუალო სპარსული ლექსიკის მრავალრიცხვოვანი და მრავალფეროვანი ნიმუშები, რომლებიც შეთვისებული იყო ირანელებთან უშუალო და ინტენსიური კონტაქტების შედეგად, წიგნური ან ზეპირი გზით. მათ სისტემურ გამოვლენას მიეძღვნა ჭერ მ. ანდრონიკაშვილის მონოგრაფიის ერთ-ერთი თავი („ნარკვევევი ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“, 1966, გვ. 279-417), ხოლო შემდეგ — ი. გიბერტის მთელი ნაშრომი (*Iranica Armeno-Iberica. Studien zu den iranischen Lehnwörtern im Armenischen und Georgischen*, Wien, 1993).

საშუალო სპარსულ-ქართული ენობრივი ინტერფერენციისა და ზოგადად, ირან-საქართველოს კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა ღრმა კვლევისათვის, არსებითია ირანული ონომასტიკის (საკუთრივ ტოპონიმიკის) საფუძვლიანი შესწავლა. ძველ ქართულ იგიოგრაფიულ ძეგლებსა და ქართულ ისტორიულ წყაროებში დასტურდება საშუალო სპარსული გეოგრაფიული ტერმინების საინტერესო ნიმუშები. ზოგიერთი მათგანი განხილული იყო მ. ანდრონიკაშვილის ერთ-ერთ აღრინდელ პუბლიკაციაში.

ირანულ ენათა ისტორიული გრამატიკისა და დიალექტოლოგიის, ასევე ქართველოლოგიური კვლევების თანამედროვე დონე ამ საკითხების ახლებური გააზრებისა და განსხვავებული ინტერპრეტაციის სათანადო საფუძველს ქმნის.

მოხსენებაში წარმოდგენილია რამდენიმე საშუალო სპარსული გეოგრაფიული ტერმინის (როგორიცაა, **არშაკეთი**, **განძაკი**, **დარუბანი**, **დარიალანი**, **გურგენი**, **იალბუზი**, **საბასტანი**) დისტრიბუციული, სემანტიკური და ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზი.

## გიორგი გოგოლაშვილი

### ზმინისწინი და დრო-კილოთა სისტემა (რამდენიმე ფაქტი და რამდენიმე კითხვა)

\*\*\*

აკაკი შანიძემ გამოყო მყოფადის წრე, რომელშიც სამი მწკრივი შევიდა (მყოფადი, ხოლმეობითი და მყოფადის კავშირებითი). მყოფადის წრის მწკრივებს აწმყოს წრის მწკრივებისაგან ძირითადად ზმინისწინი განასხვავებს. მყოფადის წრის მწკრივთა ნიშნად ამ შემთხვევაში ზმინისწინი ცხადდება. მყოფადისა და აწმყოს შემთხვევაში ზმინისწინი (ძირითადად) დროს განასხვავებს:

**წერ-ს** (აწმყო დრო) — **და-წერ-ს** (მომავალი დრო).

რა ფუნქცია აკისრია ზმინისწინს სხვა მწკრივთა დაპირისპირებისას?:

**წერდა** — **და-წერდა**,

**წერდე-ს** — **და-წერდე-ს...** ამ შემთხვევებში სხვაობს ასპექტი; ასპექტი კი არ არის „მწკრივის კატეგორია“. ასეთ შემთხვევაში ან მწკრივთა შედგენილობაში უნდა შევიტანოთ კორექტივი, ან მწკრივის განსაზღვრაში (მხედველობაში გვაქვს ა. შანიძის მოძღვრება)...

\*\*\*

თუ წარმოდგენილ ორ წყვილ მწკრივს შორის სხვაობას ქმნის ზმინისწინი, ზუსტად ისეთივე სხვაობის მქონე || და III სერიის ზმინისწინიანი და უზმინისწინო ფორმები რატომ არ არის დამოუკიდებელი მწკრივები? — ამ კითხვაზე პასუხი არ ჩანს.

\*\*\*

ქმნის თუ არა პრობლემას ის, რომ ერთსა და იმავე ზმნასთან მყოფადის წრეში გამოიყენება რამდენიმე ზმინისწინი? ვთქვათ **წერ** ზმინის „მყოფადის „ნიშანია“ ა, აღ, და, ჩა, ამო, გადა, გამო, გა, გაღმო, გარდა, მი, მო, შე, შემო, ჩამო, წა; **თეს** ზმინისა გამო, გან, შე, და, ჩა, მო... ეს ვარიანტები ალომორფებია? — ვერ ვხედავთ ლოგიკას...

\*\*\*

აწმყოს მნიშვნელობა რომ აქვს ზმინისწინიან ფორმებს (**ალწერს, წარადგენს...**), ამ შემთხვევაში ზმინისწინი აღარ არის მყოფადის ნიშანი? რომელი მწკრივის ფორმებია? ალოგიური გვეჩვენება მსჯელობა: თუ ზმინისწინიანი ვარიანტი დროის მიხედვით აწმყოს, აწმყოს მწკრივის ფორმად უნდა მივიჩნიოთ, თუ მომავალი დროის მნიშვნელობა აქვს, მყოფადის მწკრივის ფორმააო. ასეთივე კვალიფიკაცია უნდა მიეცეს მაშინ უზმინისწინო ფორმებს, თუ მას ერთ შემთხვევაში ახლანდელი დროის გაგება აქვს (ზის და **ჭამს**), სხვა შემთხვევაში — მომავალი დროისა (მოვა და **ჭამს**). რა გამოვიდა:

აწმყოს მწკრივი

**ალწერს**

**ჭამს**

ეს აღარაა მორფოლოგია...

\*\*\*

ღიალექტოლოგიურ ლიტერატურაში საუბარია მთის ღიალეტებში | ხოლმეობითზე (**აკეთებდის...**). თუ | სერიაში თანამედროვე ქართულში ორი წრეა, რატომ არ გამოყოფენ ორ მწკრივს ამ ღიალექტებში — **აკეთებდის-გააკეთებდის?** ზმინისწინიან და უზმინისწინო ფორმათა ერთი მწკრივისანებად მიჩნევა ხომ არღვევს სისტემას?

\*\*\*

აწმყო-მყოფადის დაპირისპირება (**წერს — დაწერს**) თუ მწკრივთა დაპირისპირებაა მორფოლოგიურად და ზმინისწინიან მწკრივის ნიშანი, რა ხდება საშუალი გვარის ზმნებში? თამაშობს — ითამაშებს, დარაჭობს — უდარაჯებს, დგას — იდგება, ღირს — ეღირება და მისთანანი მორფოლოგიურად ერთი პარადიგმის წევრები არიან? „მწკრივის ნიშნებად რა უნდა მივიჩნიოთ?

\*\*\*

არსებული მოძღვრებებით (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა) აწმყოს მიმართება მყოფადთან ისეთივეა (მწკრივისა მწკრივთან), როგორც აწმყოსი უწყვეტელთან (ან | კავშირებითთან) (ერთი პარადიგმის წევრები არიან):

**აკეთებ-ს — გა-აკეთებ-ს (შე-აკეთებ-ს, გადა-აკეთებ-ს...);**

**აკეთებ-დ-ა;**

**აკეთებ-დ-ე-ს.**

**აკეთებს, გააკეთებს, შეაკეთებს, გადააკეთებს** და მისთანანი ითვლება დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულებად. **აკეთებს, აკეთებდა, აკეთებდეს** — არ ითვლება სხვადასხვა სალექსიკონო ერთეულებად; რატომ? თუ სხვადასხვა სალექსიკონო ერთეულებია, რატომ ითვლება ერთი და იმავე ზმნის სხვადასხვა მწკრივის ფორმებად.

\*\*\*

რა მნიშვნელობასაც ანიჭებს ზმნისწინი ზმნას ხოლმეობითსა თუ მყოფადის კავშირებითში, იგივე მნიშვნელობა აქვს მას სახელზმნურ ფორმებშიც. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ზმნისწინი არ შეიძლება ჩაითვალოს მწკრივის ნიშნად?

ჩვენი აზრით, ყველა კითხვაზე პასუხი ერთია: **გადასასინჯია მწკრივთა რაოდენობის საკითხი.**

## ტარიელ გურგენიძე

### ზოგი რამ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის შესახებ

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის წარმოშობის და რიცხვის კატეგორიასთან მისი მიმართების შესახებ განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს.

ქ. ლომთათიძე ვარაუდობს, რომ in/ex-ის გარჩევა სვანური ზმნის სისტემაში დაკავშირებული უნდა იყოს საურთიერთო კატეგორიასთან (კერძოდ, მის სათანაო შინაარსთან) (ლომთათიძე 1961:212). ანალოგიური მოსაზრება in/ex-ის და საურთიერთო კატეგორიების მიმართ ზოგადად გამოთქმული აქვს პ. ფორხპაიმერს (ფორხპაიმერი 1953: 132-135).

გ. კლიმოვი თვლის, რომ in/ex-ის კატეგორია პრინციპულად განსხვავდება რიცხვის კატეგორიისაგან. ამ დებულებას ავტორი ასე ასაბუთებს: ჭერ ერთი, in/ex-ის კატეგორია ახდენს რიცხვის კატეგორიის მიმართ დიფერენცირებულ ფორმათა კონკრეტზაციას სპეციალურ პლანში (ეს იქიდან გამომდინარებს, რომ in/ex-ის კატეგორია

განირჩევა არა მარტო მრავლობით რიცხვში, არამედ ორობით და სამობით რიცხვშიც); მეორეც ის, რომ in/ex-ის კატეგორია სახეზეა იმ ენებში, რომლებსაც არ გააჩნიათ რიცხვის მორფოლოგიური კატეგორია (კლიმოვი 1981:30). ჩვენთვის მიუღებელია ამ დებულების დასაბუთების ორივე არგუმენტი.

განსხვავებულ კატეგორიებად მიიჩნევენ in/ex-ს და რიცხვს სხვა ავტორებიც: ვ. თოფურია (თოფურია 1967), ა. ონიანი (ონიანი 1978: 96), დ. მელიქიშვილი (მელიქიშვილი 1977).

არნ. ჩიქობავას ვარაუდით in/ex-ისა და მრავლობითობის კატეგორია ერთია (ჩიქობავა 1946: 100). ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას.

ე. ბენვენისტს მიაჩნია, რომ არ არის საკმარისი ვუწოდოთ პირველი პირის მრავლობითი რიცხვის განსხვავებულ ფორმებს „ინკლუზიური“ და „ექსკლუზიური“. ტერმინი გულისხმობს „თქვენ“ ელემენტის ჩართვას ან გამორიცხვას, მაგრამ „ისინი“ ელემენტის მიმართ აღნიშვნა სწორედ რომ შებრუნებული იქნებოდა, თუმცა ძნელია მოიქციოს უფრო შესაფერისი ტერმინით (ბენვენისტი 1974: 267). ვფიქრობთ, რომ თავისთავად საინტერესო მოსაზრებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში შეუძლებელია ორწევრაელემენტებიანი „ინკლუზიური“ და „ექსკლუზიური“ ფორმების მიღება. თუ ბენვენისტის მსჯელობაში „თქვენ“ და „ისინი“ ელემენტებს ჩავანაცვლებთ შესაბამისად „შენ“ და „ის“ ელემენტებით, მაშინ ორწევრაელემენტებიანი სიმრავლის შემთხვევაში ბენვენისტის მსჯელობა ძალაში დარჩება, მაგრამ სამწევრაელემენტებიანი სიმრავლის შემთხვევაში იგი წინააღმდეგობაში მოვარეობის გრძელებაში მონაცემებთან.

გონ ლაიონზი შესაძლებლად მიიჩნევს გამიჯნოს ერთმანეთისაგან „ინკლუზიური“ და „ექსკლუზიური“ ხმარება მეორე პირის მრავლობითი რიცხვისა (ავტორისავე სიტყვებით, „ინკლუზიური“ vs. „ექსკლუზიური“ ტერმინების რამდენადმე განსხვავებული აზრით, ვიდრე ეს გვაქვს „პირველი პირის მრავლობით რიცხვთაბ“. „ექსკლუზიური“ განეკუთვნება მხოლოდ მსმენელს ან მსმენელებს, ხოლო „ინკლუზიური“ მიემართება ერთდროულად მსმენელს ან მსმენელებს სხვა პირთან ან პირებთან ერთიანობაში (ლაიონზი 1978: 293-4). აქ საჭიროა მის დაზუსტება, რომ ეს სხვა პირი (ან პირები) არ შეიძლება იყოს

პირველი (ანუ, მოლაპარაკე) პირი, არამედ მხოლოდ მესამე პირს (ან პირებს) შეუძლია მოგვევლინოს ამ როლში.

6. სოკოლოვსკაიასთან გამოყენებულია ტერმინი „ინკლუზიური თქვენ“ (შენ & ის)<sup>x2</sup> (თუმცა ამის საპირისპიროდ აქვე არ გვხვდება ტერმინი „ექსკლუზიური თქვენ“). იმავე ავტორთან გვხვდება ტერმინი „სუპერინკლუზიური ჩვენ“ (მე & შენ & ის)<sup>x3</sup>, რომელსაც უპირისპირდება ტერმინები „ინკლუზიური ჩვენ“ (მე & შენ)<sup>x2</sup> და „ექსკლუზიური ჩვენ“ (მე & ის)<sup>x2</sup> (სოკოლოვსკაია 1980: 92-94). x2 ნიშნავს, რომ გვაქვს მინიმუმ ორწევრაელემენტებიანი სიმრავლე, ხოლო x3 ნიშნავს, რომ გვაქვს მინიმუმ სამწევრაელემენტებიანი სიმრავლე.

უ. ჩეიფის განსაზღვრით, მეორე პირი არის ერთი ან უფრო მეტი პირისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც, სულ მცირე, მსმენელს მაინც შეიცავს, მაგრამ გამორიცხავს მოლაპარაკეს, ხოლო პირი არის ერთი ან უფრო მეტი პირისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც შეიცავს, სულ მცირე, მოლაპარაკეს მაინც. იმ ენებისათვის, რომლებშიც პირველი პირის მრავლობით რიცხვში განირჩევა ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები, უ. ჩეიფი პირველ პირს რამდენადმე განსხვავებულად განსაზღვრავს: პირველი პირი არის ერთი ან უფრო მეტი პირისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც, სულ მცირე, მოლაპარაკეს მაინც შეიცავს, მაგრამ გამორიცხავს მსმენელს. ეს თითქმის სარკისებური ანარეკლია მეორე პირის განსაზღვრისა, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი. ამ ტიპის ენებში არსებობს დამატებითი სემანტიკური ერთეული, რომელსაც უ. ჩეიფი უწოდებს ინკლუზიებს და მას ასე განსაზღვრავს: ინკლუზივი არის ორი ან უფრო მეტი პირისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც შეიცავს, სულ ცოტა, მოლაპარაკესა და მსმენელს მაინც (ჩეიფი 1975: 315). ავტორი არ იძლევა „ექსკლუზივის“ განსაზღვრას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მის მიერ პირველი პირის განსხვავებულ განსაზღვრას, მაშინ გამოდის, რომ პირველი პირი და „ექსკლუზივი“ ერთი და იგივეა, როცა გვაქვს მინიმუმ ორწევრაელემენტებიანი სიმრავლე.

ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონში უ. მარუზო ამ ტერმინებს ასე განმარტავს: ინკლუზიურია მრავლობით რიცხვში მდგარი პირველი პირი, რომელსაც ზოგ ენაში ისეთი განსაკუთრებული ფორმა გა-

აჩნია, რომლის არსებობის დროსაც „ჩვენ“ ტიპის კოლექტივი მოლაპარაკესთან ან მოლაპარაკეებთან ერთად გულისხმობს მას ან მათ, ვისაც მიმართავენ. მრავლობით რიცხვში მდგარ პირველ პირს ეწოდება ექსკლუზიური იმ ენებში, სადაც „ჩვენ“ ტიპის ნაცვალსახელით აღნიშნულ პირთა ჯგუფში არ არის ჩართული მიმართვის ადრესატი: „ჩვენ, თქვენი გამოკლებით“ (მარუზო 1960: 122, 342).

ო. ახმანოვა ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონში ამ ტერმინებისთვის ასეთ განსაზღვრას გვთავაზობს: ინკლუზიური პირი არის პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა, რომელიც აღნიშნავს როგორც მოლაპარაკეს (მოლაპარაკეებს), აგრეთვე იმათ, ვისაც მიმართავენ. ექსკლუზიური პირი არის პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ისეთი ფორმის გამოყენება, რომელიც აღნიშნავს მხოლოდ მოლაპარაკეებს (ე. ი. გამორიცხავს იმათ, ვისაც მიმართავენ (ახმანოვა 1966: 220-1, 173).

ამ ლექსიკონების ავტორები უშვებენ ერთზე მეტი მოლაპარაკე პირის (ანუ, მოლაპარაკეების) არსებობას, რაც მიუღებლად მიგვაჩნია, ვინაიდან „ნორმალურ“ სამეტყველო აქტში ერთზე მეტი მოლაპარაკე პირის არსებობა დაუშვებელია. ვთქმულობთ, ამან განაპირობა ის, რომ ო. ახმანოვა ექსკლუზიურ პირში მხოლოდ მოლაპარაკეებს გულისხმობს! ანდა, მოლაპარაკე (ანუ, პირველ) პირთან ერთად გაერთიანებული მესამე პირი (პირები) განიხილება როგორც მოლაპარაკე, რაც დაუშვებელია. ორივე ავტორის მიერ ინკლუზივის განსაზღვრაში არ ჩეირბა აღვილი კომბინაციებისათვის, რომლებშიც პირველ და მეორე პირთან შესაძლებელია მესამე პირიც იყოს გაერთიანებული.

ა. შანიძე შემდეგნაირად განმარტავს ამ ტერმინებს: „ჩვენ“ სიტყვის გაგება შეიძლება ორნაირი იყოს: ა) მოლაპარაკე ადამიანი ამით აღნიშნავს თავის თავს და აგრეთვე იმას ან იმათ, ვისთანაც საუბარი აქვს. ამ შემთხვევაში „ჩვენ“ სიტყვა მნიშვნელობით იგივეა, რაც „მე და შენ“, ან „მე და თქვენ“. ეს არის ინკლუზიური „ჩვენ“. ბ) მოლაპარაკე ადამიანი ამით აღნიშნავს თავის თავსა და სხვას (ან სხვებს) იმის გამოკლებით (ან იმათ გამოკლებით), ვისაც ესაუბრება. ამ შემთხვევაში „ჩვენ“ სიტყვა მნიშვნელობით იგივეა, რაც „მე და ის“, ან „მე და ისინი“. ეს არის ექსკლუზიური „ჩვენ“.

„ინკლუზივის“ ა. შანიძისეულ განსაზღვრაში არ რჩება ადგილი იმ კომბინაციებისთვის, რომლებშიც პირველ და მეორე პირთან შესაძლებელია მესამე პირიც იყოს გაერთიანებული. ამას აღასტურებს „თქვენ“ სიტყვის განსაზღვრა იმავე ავტორისა: „თქვენ“ ამ სიტყვით მოლაპარაკე ადამიანი ჩვეულებრივ აღნიშნავს ორ პირს ან მეტს, რომელთაც საუბრის დროს ყველას მიმართავს. თითოეული მათგანისთვის ცალ-ცალკე მიმართვისას „შენ“ სიტყვა უნდა იხმაროს (შანიძე 1973: 41-42). მოგვიანებით ა. შანიძე განმარტავს, რომ ინკლუზიურ ფორმაში ჩართულია მე-2 პირი და ამორთულია მე-3, ხოლო ექსკლუზიურში ჩართულია მე-3 პირი და ამორთულია მე-2 (შანიძე 1976: 65).

ჩ. ასათიანის აზრით ინკლუზივ-ექსკლუზივის გრამატიკული კატეგორიის არსებობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ გრამატიკულად განსხვავებულია სიმრავლე, სადაც მხოლოდ კომუნიკაციის აქტში მონაწილე „მეტყველი“ — „მსმენელი“ (resp. I/II) პირები ერთიანდებიან (ინკლუზივი), იმ სიმრავლისაგან, სადაც „მეტყველ“ პირთან ერთად გამორიცხულია, არ ერთიანდება მსმენელი (II პირი) (ექსკლუზივი) (ასათიანი 1994: 42). სიტყვა **მხოლოდ**, რომელიც ინკლუზივის ამ განმარტებაშია გამოყენებული, გამორიცხავს კომბინაციებს, რომლებშიც პირველ და მეორე პირთან შესაძლებელია მესამე პირიც იყოს გაერთიანებული.

არნ. ჩიქობავა ასე განმარტავს ამ ტერმინებს: თუ „ჩვენ“ გამორიცხავს მეორე პირს, მას ეწოდება **ექსკლუზივი** (ლათინ. „გამორიცხვითი“), თუ მეორე პირს არ გამორიცხავს, **ინკლუზივი** („ინკლუზივი“ — „ჩარიცხვითი“). მისივე აზრით „ინკლუზიური და ექსკლუზიური მრავლობითის არსებობა კვლავ იმ დებულებას ასაბუთებს, რომ მხოლობითიდან მრავლობითზე გადასვლა გაშუამავლებული იყო კონკრეტული სახის მრავლობითებით; ამ კონკრეტიზაციისაგან თავისუფალი მრავლობითი განვითარების შემდგომი საფეხურია (ჩიქობავა 1939: 140).

ი. მელჩუკის აზრით ექსკლუზიურობის კატეგორია შედგება ორი გრამეტებისაგან: ექსკლუზივი ~ ინკლუზივი. გამოიყენება მხოლოდ I (გაცილებით იშვიათად II) პირის მიმართ (მაგრამ არა მხოლოდ მრავლობით რიცხვში, რასაც ხშირად ამტკიცებენ) (მელჩუკი 1998: 204):

„მე ექსკლუზიური“ = „უბრალოდ მე“;  
 „მე ინკლუზიური“ = „მე და შენ, და არავინ სხვა“;  
 „ჩვენ ექსკლუზიური“ = „მე და ვიღაც სხვა, მაგრამ არა შენ/თქვენ“;  
 „ჩვენ ინკლუზიური“ = „ჩვენ და შენ/თქვენ“;  
 „შენ ექსკლუზიური“ = „შენ და ის“;  
 „თქვენ ექსკლუზიური“ = „თქვენ, ვისაც მივმართავ და არავინ სხვა ვინმე“;  
 „თქვენ ინკლუზიური“ = „თქვენ და სხვები“.  
 განსახილველ საკითხთან დაკავშირებული საკუთარი მოსაზრებები ძირითადად ორ ნაშრომში გვაქვს წარმოდგენილი: (გურგენიძე 1984: 114-129), (გურგენიძე 1999: 16-20).

## ნინო დოლიძე

### გურული დიალექტი სხვადასხვა უანრის ტექსტებში

გურულები არიან „ენა ტკბილ-მოუბარენი, უმეტეს წიგნის სიტყვით, მესხთა-ებრ, არამედ ქართვლისავე ენისანი და არა სხვისა“ (გახუშტი, „გეოგრაფიული აღწერა საქართველოისა“, გვ.420). მაშა-სადამე, გურულები მესხებივით სალიტერატურო ენით ლაპარაკობენ უმეტესადო, — ბრძანებდა ბატონიშვილი XVIII საუკუნეში. რა ხდება დღეს?

ტექსტების აღრინდელი პუბლიკაციებისა და ჩვენ მიერ აზურგეთის რაიონში ჩაწერილი მასალების მიხედვით, გურულები სულაც არ ლაპარაკობენ სალიტერატურო ენით, მით უმეტეს მესხებივთ. შედარებით მკვიდრად ამგვარი ქართული შემორჩენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან გავრცელებული ხალხური სიმღერებისა და ლოცვების ენაში, რომელებიც ინტერდიალექტური ხასიათისაა.

მაგალითად: „ჩვენ ვიყავით **საშნი ძმანი სამებისა ძალისანი**“ (ჟღერტი, 1936:218; ტექსტი ჩაწერილია ჩოხატაურში, სოფელ ხიდის-თავში).

დღეს არც ზემო და არც ქვემოგურულ ცოცხალ მეტყველებაში ნარიანი მრავლობითის ფორმები აღარსაღ იხმარება, მაგრამ ლექსთწყობის არქიტექტონიკამ ისინი აქამდე შემოგვინახა.

იგვე სიტუაციაა ემფატიკურ ხმოვნებთან დაკავშირებითაც: „ნურც მომჭრი თმასა ალისასა, ნურც მომტეხ წივსა ჭიქისასა“ (იქვე).

„უფშურის ლოცვაში“ ისეთი სალიტერატურო ქართულია ფიქსირებული, რომ საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელს შეშურდება:

„იმ დაწყევლილმა ეშმაქმა რა საქმე ქნა საძაგელი!  
ჯოჯოხეთი ააშენა, ძნელათ მოსაბრუნებელი“ (იქვე, გვ.186),

მაგრამ შემდეგ ამ სტრიქონებს მოსდევს გურული დიალექტისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების შემცვლელი ლექსიკა თუ გრამატიკული ფორმები: „**ესო** (ანლაუტური ფონემის დაკარგვა) ქრისტემ **შუუთვალა** (ხმოვანთა სრული ასიმილაცია), მეც მაქეთ ვარ **მოსახლელი** (ვ თანმოვნის დაკარგვა ინლაუტში), ისე გაგიხთი (**გა-ი-ხდ-ი**, დ თანხმოვნის დაყრუება **ხ-ს** მომდევნო პოზიციაში) ჯოჯოხეთს, აღარ ქონდეს (**ჰ-ქონ-დ-ე-ს**, ირიბი ობიექტური პირის **ჰ-** პრეფიქსის უგულვებელყოფა) საფუტველი“ (იქვე).

ზოგიერთი ლოცვის ტექსტი იმდენად ძველია, რომ იგი უცვლელად გადადის საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში ან ერთი თაობიდან-მომდევნო თაობებში. აქა-იქ თუ გამოჩნდება ადგილობრივი დიალექტისთვის დამახასიათებელი მორფონოლოგიური მონაცემები:

„გულო, გულის ალაგას! გულო, რამ შეგაშინა!  
გულო, დედამ შეგაშინა! გულო, მამამ შეგაშინა!  
გულო, შინაურმა შეგაშინა! **შუალამეზე შეგეშინა..**,  
(იქვე, „მაგნებლის ლოცვა“)

კიდევ უფრო არქაულია ისეთი ტექსტები, სადაც სრულიად უცხოა ამა თუ იმ ლექსების სემანტიკა თანამედროვე ქართველისათვის, რომლისთვისაც შეიძლება მხოლოდ ერთი ან ორი სიტყვის მნიშვნელობა იყოს გასაგები:

„აწი ვარი, თავით, სპადუ, შტერდი, ვერთა ვაცლი,  
აუბი, კატოლი, ცრიცი, რპოლი, ცრიცი, ზაპერი, სვა,  
დაცვა, ჩამა, თისა , ქეზებლუ, პერუ, აქლოუნი,მაწი,  
შოშკა, ცეხლი, ყპეზენი, პაკლანიკო.“

(იქვე, „მოჯადოებულის ლოცვა“).

ბუნებრივია, შემლოცველთა მცდელობა, რაც შეიძლება ბუნდოვანი ყოფილიყო ტექსტი მისი მაგიურობის ხარისხის ასამაღლებლად, რათა ჩვეულებრივ მოკვდავთაოვის იგი მიუწვდომელი (გაუგებარი) გამხდარიყო.

სპეციალური ლიტერატურიდან კარგა ხანია ცნობილია, რომ ხშირად თანამედროვე ცოცხალი მეტყველება უფრო მეტ სიძველეს წარმოგვიდგენს, ვიდრე რამდენიმე ათასი წლის მწერლობის მქონე ენები (ნიკო მარი). სწორედ ამ დებულების ილუსტრაციაა გურულ დიალექტზე ჩაწერილი სიმღერებისა და შელოცვების ენა.

## თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

### მარტივი წინადადების სინტაქსური მექანიზმისათვის თანამედროვე ქართულში

თანამედროვე ქართულში მარტივი წინადადების სინტაქსური მექანიზმის ახსნა საჭიროებს ორი უმთავრესი საკითხის ანალიზს: ა) როგორ იმართვის ზმნა სახელების (მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტების) მიერ და ბ) როგორ მართავს თავად ზმნა მასთან დაკავშირებულ სახელებს (მორ- ფოლოგიურ სუბიექტსა და მორფოლოგიურ ობიექტებს).

თანამედროვე ქართულში (ისევე როგორც ძველში) გამოიყოფა სახელისა და ზმნის შესიტყვებათა ექვსი ტიპი: 1. რელატიურ-გარდამაგალზმნიანი (როცა ზმნასთან დაკავშირებულია სამი სახელი: **უშენებს მამა შვილს სახლს...**); 2. რელატიურ-გარდამაგალზმნიანი (როცა ზმნასთან დაკავშირებულია ორი სახელი: **აშენებს კაცი სახლს...**); 3. რელატიურ-მედიოაქტივზმნიანი (**ჰპატრონობს მამა შვილს...**); 4.

რელატიურ-გარდაუგალზმნიანი (**ემალება შვილი მამას...**); 5. აბსოლუტურ-მედიოაქტივზმნიანი (**ცხოვრობს კაცი...**) და 6. აბსოლუტურ-გარდაუგალზმნიანი (**იმალება კაცი...**). ექვსივე შემთხვევაში ზმნა მართულია სახელების მიერ პირში და შეთანხმებულია მათთან რიცხვის მიხედვით (რეალურად ან პოტენციურად). რაც შეეხება ზმნის მიერ სახელთა მართვას, ამ მხრივ განსხვავებული ვითარება გვაქვს: პირველ შემთხვევაში (**უშენებს მამა შვილს სახლს...**) ზმნა მართვს მორფოლოგიურ სუბიქტსა და ბრუნვაცვალებად მორფოლოგიურ ობიექტს სხვადასხვა ბრუნვის ფორმით როგორც ერთი სერიის ფარგლებში (I სერია: MS — სახელობით ბრუნვაში, ხოლო MO — მიცემითში: **უშენებს მამა სახლს...**), ასევე — დრო-კილოთა ჯგუფების მიხედვით (შდრ. II სერია: MS ა მოთხრობითში, MO — სახელობითში: **აუშენა მამაშ სახლი...**), ბრუნვაუცვლელი მორ-ფოლოგიური ობიექტი კი ყველა შემთხვევაში მიცემითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი (I სერია: **უშენებს შვილს**, II სერია: **აუშენა შვილს...**); მეორე შემთხვევაში (**აშენებს კაცი სახლს...**) ზმნა ორივე სახელს (მორფოლოგიურ სუბიქტსა და მორფოლოგიურ ობიექტს) მართვს სხვადასხვა ბრუნვის ფორმით როგორც ერთი სერიის, ისე დრო-კილოთა ჯგუფების მიხედვით (I სერია: MS — სახელობითში, MO — მიცემითში: **აშენებს კაცი სახლს**; II სერია: MS — მოთხრობითში, MO — სახელობითში: **აშენა კაცმა სახლი...**); მესამე შემთხვევაში (**ჰპატრონობს მამა შვილს...**) მორფოლოგიური სუბიქტი ზმნისაგან მართულია დრო-კილოთა I სერიის მწკრივებში სახელობითი ბრუნვის ფორმით (**ჰპატრონობს მამა...**), ხოლო II სერიის ნაკვთებში — მოთხრობითით (**ჰპატრონა მამაშ...**), მორფოლოგიური ობიექტი კი ყველა შემთხვევაში მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოგვიღება (I სერია: **ჰპატრონობს შვილს...**, II სერია: **ჰპატრონა შვილს**); მეოთხე შემთხვევაში (**ემალება შვილი მამას...**) ზმნა მორფოლოგიურ სუბიქტს მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმით მართავს (I სერია: **ემალება შვილი...**, II სერია: **დაემალა შვილი...**), ხოლო მორფოლოგიურ ობიექტს — მიცემითით (I სერია: **ემალება შვილს...**, II სერია: **დაემალა შვილს...**); მეხუთე შემთხვევაში (**ცხოვრობს კაცი...**) მორფოლოგიური სუბიქტი ზმნისაგან მართულია დრო-კილოთა ჯგუფების მიხედვით (I სერია: **ცხოვრობს კაცი...**, II სერია: **იცხოვრა კაცი**...).

**შა...**), ხოლო მეექვსე შემთხვევაში (**იმალება კაცი...**) ზმნა მხოლოდ ერთი ბრუნვის ფორმით (სახელობითით) მართავს მასთან დაკავშირებულ მორფოლოგიურ სუბიქტს (I სერია: **იმალება კაცი...**, II სერია: **დაიმალა კაცი...**).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება გამოიყოს ზმნის მიერ სახელთა მართვის რამდენიმე ტიპი: а) **ძლიერი მართვა** (როცა სახელი თუ სახელები ზმნისაგან მართულია სხვადასხვა ბრუნვაში დრო-კილოთა ჯგუფების მიხედვით: **აშენებს კაცი სახლს, აშენა კაცმა სახლი...**); б) **სუსტი მართვა** (როცა ზმნა სხვადასხვა ბრუნვის ფორმით მართავს მასთან დაკავშირებულ მორფოლოგიურ სუბიქტსა და მორფოლოგიურ ობიექტს, მაგრამ ეს უკანასკნელნი ბრუნვის არ იცვლიან დრო-კილოთა ჯგუფების მიხედვით: **ემალება შვილი მამას..., დაემალა შვილი მამას...**); გ) **ნულსაფეხურებრივი მართვა** (როცა ზმნასთან დაკავშირებული მორფოლოგიური სუბიქტი სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოგვიღება ყველა შემთხვევაში (**იმალება კაცი...**, **დაიმალა კაცი...**)).

## რომან ლოლუა

### ალბანური ლექციონარის ამოკითხვისათვის

ალბანური ლექციონარის აღმოჩენა 1995 წლის ნოემბერ-დეკემბრით თარიღდება. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება მუშაობა მის ამოკითხვაზე.

2003 წელს გამოქვეყნდა ჭ. ალექსიძის მონოგრაფია „კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა“, რომელიც ალბანური ლექციონარის შესახებ წინასწარ შენიშვნებს შეიცავს. ავტორი აღნიშნავს: „დღეისათვის მეტ-ნაკლები სისრულით ამოკითხულია ალბანური „ლექციონარის“ 40-მდე საკითხავის სათაური და იდენტიფიცირებულია 14 საკითხავი. თითოეული საკითხავიდან ჯერჯერობით ზუსტად დადგენილია მხოლოდ რამდენიმე მუხლის შესატყვისი ქართულ, სომხურ, ბერძნულ და სხვა ენგბზე“ (ალექსიძე 2003: 126).

ამ მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ, ალბანური ლექციონარის ამოკითხვის საქმეში ჩაერთვენ ქ.—პ. მაე, ი. გიპერტი და ვ.

შულცე, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ამ საკითხის შესახებ რაიმე ხელშესახები შედეგი არ გამოქვეყნებულა. დღესდღეისობით ხელთ გვაქვს მხოლოდ ათამდე საკითხავის სათაურთა თარგმანი (ალექსიძე 2003: 132-133) და ერთი ამოკითხული ტექსტი (II კორინთელთა 11, § 24-27; N/Sin 13, 76r- 77v – შულცე, "Toward a History of Udi", ელექტრონული ვერსია, 2005).

წლიური თემის („ალბანური და უდიური“) ფარგლებში დავამუშავეთ არსებული ალბანური მასალა. მეტ-ნაკლები სისრულით ამოკითხულია ალბანური ლექციონარის საკითხავთა შემდეგი მუხლები: ეფესელთა 5, § 25-28 (N/Sin 13, 28v- 27r); I კორინთელთა 12, § 28-29 (N/Sin 13, 26r- 31v); საქმე მოციქულთა 12, § 1-2 (N/Sin 13, 56v- 57r); ებრაელთა 11, § 17-18 (N/Sin 13, 5r- 2v); მათე 17, § 1-5 (N/Sin 13, 13v- 10r); ებრაელთა 3, § 1-5 (N/Sin 55, 23r- 16v).

აღსანიშნავია ალბანური ლექციონარის ამოკითხვის სირთულე. საფუძველია, რომ იგი არ არის თარგმნილი რომელიმე ენაზე არსებული ლექციონარიდან, არამედ შედგენილია ალბანურ ენაზე უკვე შექმნილი ბიბლიის წიგნების საფუძველზე, ანუ იდენტიფიცირებული ტექსტიც არ წარმოადგენს ზუსტ თარგმანს სხვა რომელიმე ენაზე არსებული საკითხავისა. სირთულეს ქმნის ისიც, რომ ალბანური ტექსტი დაფარულია ქართულით, ამასთან ერთად ალბანურ-ქართული პალიმფსესტის თითქმის ყველა ფურცელი დეფექტურია.

აღსანიშნავია, რომ ხელთ გვაქვს საკმაოდ მცირე მოცულობის ალბანური მასალა, ესაა: ზ. ალექსიძის მიერ გამოქვეყნებული ალბანური ლექციონარის 7 ნაწყვეტი (დაახლ. 500 სიტყვის ოდენობისა – ალექსიძე 2003: 134-150), ე. წ. მინგეჩაურის წარწერები (დაახლ. 50 სიტყვა) და ალბანურ-ქართული პალიმფსესტის ის მონაკვეთები, რომლის წაკითხვა შესაძლებელია სპეციალური ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე (500 სიტყვას არ აღმატება).

წარმოვადგენთ ერთ-ერთ ამოკითხულ საკითხავს – ებრაელთა 3, § 1-5 (N/Sin 55, 23r- 16v). საკითხავი იდენტიფიცირებულია ზ. ალექსიძის მიერ (ალექსიძე 2003: 149). სამწუხაროდ, ტექსტი ყოველთვის არ არის ადექვატურად გადმოწერილი. N/Sin 55, 23r- 16v ფურცლის ფოტოსურათზე (ალექსიძე 2003: 150; მოიპოვება აგრეთვე ელექტრონული ვერსიაც) უშუალო დაკვირვების შედეგად მასში ათიოდე

შესწორება შევიტანეთ (N/Sin 55 სინას მთაზე მდებარე წმ. ეკატერინეს მონასტერში მომხდარი ხანძრის შედეგად [1975 წ.] მთლიანად ერთ გაქვავებულ მასად იყო ქცეული, რის გამოც ამ ხელნაწერში ქვედა ტექსტი შედარებით კარგად მოჩანს).

**შენიშვნები:** ალბანური ტექსტი იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით (ტექსტი თითქმის უწყვეტია, აღნიშნულია ქარაგმები და ა. შ.).

ბოლო სტრიქონში შესაბამისი ქართული საკითხავის მონაკვეთია წარმოდგენილი.

ქვედა ხაზით — მარცვლისა ან სიტყვის ფარინგალიზაციას აღვნიშნავთ, მაგ. ჰუახუნ.

( ) ფრჩხილებით — გრაფემის დაუდგენელ ფონემურ მნიშვნელობას.

[ ] ოთხუთხედი ფრჩხილებით — აღდგენილ გრაფემებს (დაქარაგმებულ სიტყვებში, წაშლილ მონაკვეთებს... ასევე, ალბანურ ლექციონარში შეინიშნება ერთგვარი ტენდენცია — ხმოვნები, განსაკუთრებით აფიქსებში, ხშირად არ აღინიშნება გრაფიკულად. ხმოვნის ნაკლებობა ზოგჯერ აღნიშნულია ქარაგმით, ხშირად კი —არა, მაგ.

**კ-ყ-ჩ-ი-ო-თ-ყ-ლ-** ჰეფესუნ-[ო]დ აღსარება-ნათ.).

**ებრაელთა 3, § 1-5 (N/Sin 55, 23r- 16v)**

**რ-ზ-ი-ო-თ-...-ყ-...-ი-ა-ი-ა-ი-...-**

დაღ უ [—] ნქ [—] ულ-ოდ ბ [—]

? ? ? ? —მრ. —ნათ. ?

-ზიარნო, განიცადეთ მოციქული იგი და მღვდელთ მოძღვარი

**კ-ყ-ჩ-ი-ო-თ-ყ-ლ-ე-პ-კ-ზ-ი-ზ-ი-ა-ი-ა-ი-...-**

ჰეფესუნ-[ო]დ ბეშ-ი ქ[რისტო]ს-ან ღ[ესუ]ს-ან ჰუახუნ ჰ[ანად-ო]-კე აღსარება—ნათ. ჩვენი—ნათ. ქრისტე—ნათ. იესო—ნათ. სარწმუნო რომელიც :

სუბსტ.

აღსარებისა ჩვენისა იესო (ნათ.) ქრისტესი, რომელიც (სუბსტ.) სარწმუნო

აღსარებისა ჩუენისად, იესო ქრისტე, რომელი სარწმუნო

**ნ-კ-...-ი-ა-ი-ა-ი-...-**

ბა-ა [ბიხაღულ]-ოდ იჩ-ედ მუსევს ჰა(ჰ)ინ-კე

**უოფნა—აშმყ. ღმერთი—ნათ. თავისი—ნათ. მოსე როგორც:**

კავშ.

არის თავისი ღმერთისა, როგორც მოსე  
არს შემოქმედისა თვისისა, ვითარცა იგი მოსეცა

## **10.180.120.12: 410.45-10.1426-1**

ლუ(ც)უ კოს-ა ოდა იხო-გოხუნ აბუ

**უველა სახლი**-მიც. მისი აღმ. : **დიდი. ქონა**-მიმღ.

ყველა მის სახლსა. მეტი დიდების მქონე

ყოველსა მას სახლსა მისსა. რამეთუ უმრავლესსა დიდებასა

## **42. 2425-1-290.1-1121-1..**

იპ[ე]ანა-კე ვა მუსედს-ხ[ო(ც)]

**რამეთუ** : კავშ. **უფლა**-აწმუნ. **მოსე**-აბლ.

რამეთუ არის მოსეზე (აბლ.).

ესე ღირს იყო უფროდს მოსეცა,

## **430.10.2246-1.0.14-1**

ნიუ ოტან ბიტ [-] უნე(ქ)

? ? ? ?

ვითარცა იგი უფროდს

## **129260.1-120.120.12-10.1440.10.20.162**

### **274-4:**

ჰამა-ტუნ კე ეკოს-ახო(ც) იხო-ე-ო კუ-ბაალ ნენ

**ეგ**-ნათ. **კი სახლი**-აბლ. **შენება** : მიმღ. : სუბსტ. **ბატი-**  
**ვი?**+**უფლა**-მყოფ. **ის-ერგ-ინსტ.**

მაგის (ჩვ. ნაცვ.) სახლზევე (აბლ.) კი მშენებელს (სახ.) პატივი  
ექნება (ზედმიწ. იყოს მით).

პატივი აქუნ სახლისა მის მაშენებელსა მას მისსა.

## **TJ-120.160.40-122425-1**

(ც)ეხ კოს ბოხო-ხა ანა-კე

**უოველი სახლი** **შენება**-კატეგორ. **რომელიც** : კავშ.

ყოველი სახლი უეჭველად შენდება, რომელიც

რამეთუ ყოველი სახლი აღეშენის

## **60.10.121220.1-1245-1: 700.1-1-1-164126-1**

### **12427**

ბოხო-ხა ჰამოს-ტან-კე: პო(ც)?ე ე-(ც)ეხ ბიდ-ად ჰან-ა(ც)

**შენება**-კატეგორ. **ვინ**-ნათ : განუსაზღ. **ხოლო?** კრებ : **უოველი**  
**კეთება**-ნამყ. **რომელი**-აბლ.

უეჭველად შენდება ვინმესგან, ხოლო რომლისგან ყოველივე გა-  
კეთდა

ვისგანმე. ხოლო რომელმან ყოველივე აღაშენა,

## **O.J-120.120.12-10.144-1**

ონ-კე ბ[იხაჭუ]ღ-[ე]ნ ა-ვა: მუსედს ჰუახ-უნ ნე

**ისიც** : კავშ. **დმერთი**-ერგ-ინსტრ. **უფლა** : მიმღ. **მოსე სარწმუ-**  
**ნო იგი** : ნაწევარი

ისიც ღმერთით არსებულია (მიმღ.). მოსე სარწმუნო იგია  
ღმერთი არის. და მოსეცა სარწმუნო იყო

## **10.180.120.120.12-124160.1-123 - 42-1**

ლუ(ც)უ კოს-ა ოდა ნალბუ ჰა(ც)[ი]ნ-კე

**უველა სახლი**-მიც. **მისი მსახური როგორც** : კავშ.

ყველა მის (მიც.) სახლსა, როგორც მსახური  
ყოველსავე სახლსა მისსა, ვითარცა მსახური

## **40.1121-1-242-10-1-1**

ფუდად [-] ან-ა-ხ ოსტ [-]

**თქმა** : მიმღ.? ? **ეგ**-მრ. ?

თქმული? ? ეგენი? ?

მოწამედ თქმულთა მათ.

**ა-ბუ** „ქონა“, „ყოლა“- მიმღ. — ბალიმფუსტის **ბუ** „ქონა“, „ყოლა“, უდ. **ბუ** „ქონა“, „ყოლა“ (კავკასიის ალბანურში დადასტუ-  
რებულია აგრეთვე ამ ზმნის არაფარინგალიზებული გარიანტიც —  
**ბუ**).

**ა-ვა** „ყოფნა“, „არსებობა“ — მიმღ. — უდ. **ბაქ-ეს/ბაქ-სუნ** „ყოფ-  
ნა“, „არსებობა“ (**ვა**- 1 გრამატიკული კლას-კატეგორიის ფორმანტია.  
საფიქრებელია, ყოფნისა და ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები მხო-  
ლოდ კლას-კატეგორიის ფორმანტებით განირჩევიან — **ვა**, **ბა/ბუ**,  
**ბუ**; იხ. შინა — **ა-ბუ**).

**ან-კე** „რომელიც“ („რომელი“+“რომ“; მაქვემდებარებელი კავ-

შირია) — უდ. **მანო** (ვართ.) /მანუ (ნიჯ.) „რომელი“, პალიმფსესტის კე „რომ“, შდრ. უდ. **კინა** /გე-ნა „კი“?.

**ანა-ხ „ეგენი“?** **ანე+უხ** (ზრ.) — პალიმფსესტის **ანე** „ეგ“, მრ. -უხ.

**ბა-ა „ყოფნა“**—აწმყო — უდ. **ბაქ-ეს/ბაქ-სუნ** „ყოფნა“, აწმყო -ა (საფიქრებელია, **ბა**— III კლას-კატეგორიის პრეფიქსია, იხ. **ა-ვა**).

**ბა-ალ** „ქონა“—მყოფადი. — უდ. **ბაქ-ეს/ბაქ-სუნ** „ყოფნა“ (უდი-ურში ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნა **ბუ** დეფექტურია, იგი მხო-ლოდ აწმყოსა და ნამყო დროებს აწარმოებს, დანარჩენ პარადიგმას კი **ბაქ-ეს/ბაქ-სუნ** ზმნის დრო-კილოები ავსებენ), მყოფადი -ალ.

**ბეშ-ი „ჩვენი“**—ნათ. — უდ. **ბეშ** „ჩვენი“, ნათ. -ი.

**ბიდ-ად** „კეთება“—ნამყო — უდ. **ბეს/ბესუნ** „კეთება“, ნამყო -ად (ბი- III გრამატიკული კლას-კატეგორიის ფორმანტია, ძირია **მ**, შდრ. ლეზგ. იდი-ზ „კეთება“).

[**ბიხაჭულ**-ოდ ან [**ბიხოლ**-ოდ „ლმერთი“ (> „შემოქმედი“)—ნათ. — უდ. **ბიხაჭულ** / **ბიხოლ** „ლმერთი“ (Pl.tantum), ნათ. -ოდ.

**ბ[იხაჭულ]-ე]ნ** ან **ბ[იხოლ]-ე]ნ** „ლმერთი“—ერგ-ინსტრ. — უდ. **ბიხაჭულ/ ბიხოლ** „ლმერთი“ (Pl.tantum), ერგ. -ენ (ინსტრუმენტალი-სის ფუნქციითაც იხმარება).

**ბოხ-ხა** „შენება“—კატეგორ. (ნაწ-კაგშ.) (ზედმიწ. აშენდება უთუოდ, აუცილებლად, უჟეველად) — უდ. **ბიყ-ეს/ბიყ-ესუნ** „შენება“, ნაწ.-კაგშ. -ეა (ბო- III გრამატიკული კლას-კატეგორიის ფორმანტია).

**ე-კოხ-ახო(ც)** „სახლი“—აბლ. — უდ. **კოხ** (ვართ.) /კოჟ (ნიჯ.) „სახლი“, აბლ -ოხო (ე- საფიქრებელია, ქართულის -ვი ნაწილაკის მსგავს სემანტიკას გამოხატავდეს; აბლატივი ამ შემთხვევაში შედარებით ხარისხს გამოხატავს, შდრ. უდ. მე ხოდ ტე **ხოდ-ახო** ქალა-ნე „ეს ხე იმ ხეზე“ (ზედმიწ. **ხიხან**) დიდია; სამეცნიერო ლიტერატურაში უდიურის შესახებ მიიჩნეოდა, რომ ნიჯის დიალექტის ფორმა **კოჟ** დეზაფრიკატიზაციის შედეგად უნდა იყოს მიღებული — ფანჩვიძე 1974: 44; თალიბოვი 1980: 183 ... კავკასიის ალბანურის ფორმა **კოხ** საპირისპიროს ამტკიცებს).

**ე-(ც)ეხ** „ყოველი“ (განსაზღვრებითი ნაცვალსახელი) — დადგენი-ლია კონტექსტის მიხედვით (ე- საგარაუდო, ქართულის -ვი ნაწი-ლაკის მსგავს სემანტიკას გამოხატავს).

**ვა „ყოფნა“** — აწმყო — უდ. **ბაქ-ეს/ბაქ-სუნ** „ყოფნა“, აწმყო -ა (საფიქრებელია **ვა**\***ვა-ა**; **ვა-** I გრამატიკული კლას-კატეგორიის ფორმანტია. იხ. **ა-ვა**).

**იჩ-ემ** „თავისი“—ნათ. — უდ. **იჩი** „თავისი“, **იჩ** „თვითონ“; ნათ. -ემ.

**იხო-ო-ო** „შენება“-მიმღ. (ნამყოს) — უდ. **ბიყ-ეს/ბიყ-ესუნ** „შენე-ბა“, ნამყოს მიმღ. -ი/ე (-ო მასუბსტანტივებელი სუფიქსი, შდრ. უდ. -ო).

**იხუ-გოხუნ** „დიდი“—აღმ. — დადგენილია კონტექსტის მიხედვით (**იხუ-** საფიქრებელია, დამხმარე სიტყვაა, აღმატებით ხარისხს აწარ-მოებს; -უნ დერივაციული აფიქსია, ხშირად გამოყენებულია ზედსარ-თავი სახელის მაწარმოებლად, შდრ. იგივე ფუნქციით უდ. -უნ — წარმოშობით, ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტია).

**იჟ[ე]-ანა-კე** „რამეთუ“ („რა“ + „რომელიც“ < „რომელი“ + „რომ“; მაქვემდებარებელი კავშირია) — უდ. **ე** (ვართ.) / **ჟე** (ნიჯ.) „რა“, პალიმფსესტის **ანა** /**ჟანა** „რომელი“, **კე** „რომ“).

**კე** „რომ“ (მაქვემდებარებელი კავშირია; ჩვეულებრივ ქართული ნაწილაკების -ც, -ეც ფუნქციითაც იხმარება, შდრ. უდ. -თე მაქვემ-დებარებელი კავშირის ფუნქციებს) — უდ. **კენა/გენა** „კი“? (მაქვემ-დებარებელი კავშირია)

**კოს** „სახლი“ — უდ. **კოხ** (ვართ.) /**კოჟ** (ნიჯ.) „სახლი“, იხ. **ე-კოხ-ახო(ც)**

**კოხ-ა** „სახლი“-მიც. — უდ. **კოხ** (ვართ.) /**კოჟ** (ნიჯ.) „სახლი“, მიც. -ა.

**კუ** „პატივი“? — დადგენილია კონტექსტის მიხედვით.

**ლუ(ს)უ „ყველა“** (განსაზღვრებითი ნაცვალსახელი) — დადგენი-ლია კონტექსტის მიხედვით.

**მუსებს** „მოსე“ — ბერძ. Mωσης, ებრ./სირ. მუშე, ქართ. მოსე, სომხ. Մովսես.

**მუსებს-ახ[ო(ც)]** „მოსე“—აბლ. — ბერძ. Mωσης, ებრ./სირ. მუ-შე, ქართ. მოსე, სომხ. Մովսეს, უდ. აბლ. -ოხო (აბლატივი ამ შე-მთხვევაში შედარებით ხარისხს გამოხატავს, იხ. **ე-კოხ-ახო(ც)**).

**ნალბუ** „მსახური“ — დადგენილია კონტექსტის მიხედვით (ამ სიტყვაში, ჩვენი აზრით, უნდა გამოეყოს — **ბუ**, შდრ. უდ. **ბუ** „ყოლა“, „ქონა“).

**ნე** „ის“, „იგი“ (ჩვ. ნაცვალსახელია, ჩვეულებრივ ნაწევარის ფუნ-

ქციითაც გომიყენება. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში მეშველი ზმნის ფუნქციასაც ასრულებს, შდრ. უდ. III მხ. პირის ფორმანტის —**ნე** ფუნქციებს, მაგ., ღარ-**ნე** „ბიჭია“).

**ნე-ნ** „ის“—ერგ.-ინსტრუმენტ. (ჩვ. ნაცვალსახელია) — პალიმ-ფესტის **ნე** „ის“, „იგი“, უდ. ერგ. -**ენ** (ჩვეულებრივ ინსტრუმენტა-ლისის ფუნქციითაც იხმარება), \***ნე-ენ** > **ნე-ნ**.

**მ[ესუ]ს-ან** „იესო“—ნათ. — ბერძ. Ἰησους, ქართ. იესუ/ესუ, სომხ. Յիսուս, უდ. ნათ. -**უნ**.

**ოენ** „ის“ (III მხ. პირის ნაცვალსახელი) — უდ. III მხ. პირის ფორმანტია —**ნე**.

**ოენ-კე** „ისიც“ („იგი“+“რომ“; ამ შემთხვევაში მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციით იხმარება, როგორც უდიური **მანო-თე** „იგიც“).

**ოდა** „მისი“ (კუთვნილებითი ნაცვალსახელი; საფიქრებელია, რომ წარმოშობით **ოდ** — ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტი უნდა იყოს).

**ბო(ც?)ე** „ხოლო“? — დადგენილია კონტექსტის მიხედვით.

**უნ** „და“ (მერთებელი კავშირი) — დადგენილია კონტექსტის მიხედვით.

**ფუდა-ო** „თქმა“—მიმღ? (ნამყოს) — უდ. **ფ-ეს/ფ-ესუნ** „თქმა“, ნამყოს მიმღ. -**ი-ო**.

**ქ[რისტო]ს-ან** „ქრისტე“—ნათ. — ბერძ. Χριστος, სომხ. Քրիստոս, უდ. ნათ. -**უნ**.

(**ც**)**ეხ** „ყოველი“ (განსაზღვრებითი ნაცვალსახელი) — დადგენილია კონტექსტის მიხედვით.

**ჰამა-ტუნ** „ის“ (ჩვ. ნაცვალსახელი)—ნათ. — უდ. ნათ. -**ტუნ** (-ტ გასუბსტანტივებული სახელების ბრუნებისას იხმარება).

**ჰამოს-ტან-კე** „ვინ“ (კითხ. ნაცვალსახელი)—ნათ. + მაქ. კავშ. — უდ. ნათ. -**ტუნ** (-ტ გასუბსტანტივებული სახელების ბრუნებისას იხმარება), **კენა/გენა** „კი“ (მაქვემდებარებელი კავშირია).

**ჰ[ანამ-ო]-კე** „რომელიც“ („რომელი“ + “რომ“) შდრ. **ანა-კე** — დადგენილია კონტექსტის მიხედვით (-ო მასუბსტანტივებელი სუფიქ-სი, შდრ. უდ. -ო).

**ჰან-ა(ც)-კე** „რომელი“—აბლ. — უდ. აბლ. —**ოხო**, პალიმფსესტის აბლ. **ო(ც)/ა(ც)**.

**ჰან(ჰ)ინ-კე** „როგორც“, „ვითარც“ („როგორი“ + „რომ“; მაქვემდე-

ბარებელი კავშირია) — დადგენილია კონტექსტის მიხედვით.

**ჰეთესუნ-ოდ** „აღსარება“ (ზედმიწ. ? + „თქმა“) — ნათ. — უდ. **ფ-ეს/ფ-ესუნ** „თქმა“, ნათ. -**ოდ**.

**ჰუახუნ** „სარწმუნო“, „ჰეშმარიტი“ — დადგენილია კონტექსტის მიხედვით (-უნ დერივაციული აფიქსია, ხშირად გამოყენებულია ზედ-სართავი სახელის მაწარმოებლად, შდრ. იგივე ფუნქციით უდ. -უნ, წარმოშობით, ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტია).

## ნონა მამის ეიშვილი

### სიზმარი და ოცნება ფუძეთა კავშირისათვის ქართულში

სიზმარი ფსიქოლოგების აზრით, მიჩნეულია ძილის განსაზღვრულ ფაზებში ფსიქიკური შინაარსებისა და თვალსაჩინო წარმოდგენების ჰალუცინაციური ტიპის მიმღინარეობად (ე. აეპლი, რ. ბოსარდი, მ. შრედე...).

სიფხიზლის პროცესებიდან ძილი ყველაზე მონათესავეა ოცნებისა. ორივე შემთხვევაში არსებითია სუბიექტის პასიურ მდგომარეობაში ფანტაზიის თავისუფალი მოქმედება. „ამ ნათესაობას სიზმისას ოცნებასთან, როგორც ჩანს, ხალხიც ამჩნევს, რადგანაც მთელ რიგ ენებში სიზმარს და ოცნებას ერთდაიმავე სახელს უწოდებენ“ (რ. ნათაძე).

თანამედროვე ქართული ენის მონაცემები, ამ მხრივ, თითქოს განსხვავდება სხვა ენებისვაგან, თუმცა საკითხის დიაქრონიული განხილვა და ქართული ენის დიალექტთა ანალიზი ცხადყოფს, რომ **სიზმარი და ოცნება** ფუძეთი არც ქართულში წარმოადგენდნენ გამონაკლისს და ზოგჯერ ენაცვლებოდნენ კიდეც ერთმანეთს, რისი კვალიც დღემდე დაჩინდება დიალექტებში.

## ქეთევან მარგიანი - სუბარი

### სვანურის სპეციფიკური თურმეობითების აფიქსაციისათვის

სვანურ უღლებაში “თურმეს” გაგების ოთხ მწყრივს გამოყოფენ: I და II თურმეობითს პირველ სერიაში და ნამყო სრულსა და ნამყო წინარეწარსულს (რეზულტატიური I და II) მესამე სერიაში.

პირველი სერიის თურმეობითები წარმოებითაც და სემანტიკითაც სპეციფიკურია სვანურში; I თურმეობითის ფორმა შედგება აწმყოს საზედაო, სასხვისო ქვევა + -ინ-ა (ბზ., ქვს.), -უნ-ა (ბქ.) სუფიქსებისაგან და ითარგმნება უწყვეტელი+თურმე: ხ-ა-გმ-ინ-ა / ხ-ა-გმ-უნ-ა “აშენებდა (ზედ), უშენებდა თურმე”.

II თურმეობითი აღწერითია, ახასიათებს პრეფიქს-სუფიქსაცია და მეშველზმნიანობა: ლგ-მა+(აწმყოს ფუძე)+-უნ-ე, ითარგმნება უწყვეტელი + თურმე: ლგ-მ-გა-მ-ინ 『ლი』<ლგ-მა-გა-მ-ინ 『ლი』 (ბზ.), ლგ-მ-გემ-უნ-ე ლი||ლგ-მ-გემ-უნ-ინ “აშენებდა თურმე”.

ვნებითი გვარის თურმეობითები მხოლოდ -ოლ/-ოლ ფორმანტით განსხვავდებან, რომელიც ჩაერთვის ზმნის ფუძესა და თურმეობითის ნიშანს შორის (ვ. თოფურია): ხ-ა-გ-ოლ-ნ-ა (\*ხ-ა-გ-ოლ-უნ-ა) (ბზ.), ხ-ა-გ-მ-ოლ-ნა (ბქ.) “აშენდებოდა (ზედ), უშენდებოდა თურმე”, ლგ-მ-გა-მ-ოლ-ინ || ლგ-მ-გ-ოლ-ინ (ბზ.), ლგ-მ-გემ-ოლ-ნე ლი || ლგ-მ-გემ-ოლ-ინ “შენდებოდა თურმე”.

II თურმეობითის ლგ-ს ვ. თოფურია ნამყოს მიმღეობისეულ პრეფიქსთან აიგივებს. მა- და -უნ- აფიქსთა შესახებ კი აღნიშნავს, რომ მათი ფუნქცია სარკვევია.

რადგან უწყვეტლობა “თურმესთან” ერთად II თურმეობითის სემანტიკური არსია, ბუნებრივია, უწყვეტლისთვის დამახასიათებელი პერმანენტულობა, დინამიკურობა (მოქმედებისა თუ მდგომარეობისა!) ამ მწყრივიში გრამატიკულადაც უნდა ასახულიყო.

ჩვენი აზრით, კითხვის ნიშნის ქვეშ დარჩენილი მგ- (< მა-) პრეფიქსი, რომელიც მიმღეობური უნდა იყოს, კერძოდ სასუბიექტო მიმღეობისაა. ვარაუდის საფუძველს იძლევა ზოგიერთი ასპექტი:

ენათმეცნიერთა მიერ (ვ.თოფურია, ა.ონიანი) გამოთქმულია მოსაზრება, რომ სვანურში ნამყოს მიმღეობის მგ- ალომორფთან თავისუფლად მონაცვლეობს ლგ- პრეფიქსი: მგ-ტყბ-||ლგ-ტყბ-ე

“შემწვარი”, ლგ-ჯბ- || მგ-ჯბ- “მოხარშული”... შევნიშნავთ, რომ აღნიშნულ ლექსემებში ნიუანსური სხვაობა, თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინც შემიჩნევა: ლგჭე “გამოცხობილი (ვინმეს მიერ)” უფროა, მგ-ჭე კი “გამომცხვარი”, ლგ-კრე “გაღებული” — მგ-კარ “ლია”, რომელიც ან თვითონ გაიღო, ან საერთოდ არ ჩანს, ვინ გააღო; ლგ-ურ-ე “დასველებული” — მგ-ური “სველი” (ნაზმიძლეობარი სახელია); ლგ-ჯბ- || ლგ-ჯბ-ე “მოხარშული” (ის რაც კონკრეტულმა პირმა — აგენსმა მოხარშა, თავად კი პაციენსია) — მგ-ჯბ- “მოხარშული” (არაუმი, ის რაც მოხარშა თავად ან იმპერსონალური პირის მიერ...”). აღნიშნულ აფიქსთა ნეიტრალიზაცია გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს.

მ-იან მიმღეობებს ქართულშიც ის ზმნები შეესაბამება, “რომელთა სუბიექტი თვითმოქმედია, თვითმოძრავია, მისი მოქმედება უკუმიძართებისაა, უკუქცევითია...” (დ. მელიქიშვილი).

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მგ- პრეფიქსის ფუნქცია II თურმეობითში აქტუალიზაცია უნდა იყოს. ამ მოსაზრებისთვის დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს ის ფაქტი, რომ საანალიზო პრეფიქსი ყველა ტიპის გარდაუგალ ზმნასთან გვხვდება ( და არა ხმოლოდ მედიოაქტივებთან), რადგანაც ქართულში “აქტივის კონვერსიული კონსტრუქციის მქონე ზმნები, რომლებიც პასივად იწყდებიან, ევროპული პასივისაგან განსხვავდებიან იმით, რომ მათი გრამატიკული სუბიექტი (იგივე აქტივის პირდაპირი ობიექტი) ხშირად მოქმედების აგენსია და არა პაციენსი” (დ. მელიქიშვილი); ანალოგიური სიტუაციაა სვანურშიც: ლგ-მ-დაგრ-ოლ-ინ “კვდებოდა თურმე” ფორმაში არავინ იგულისხმებს მოქმედების აგენსად სხვა პირს და თუ მსგავსი კონტექსტი მაინც შეგვხდება, ეს იქნება მეტისმეტად ხელოვნური.

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ I თურმეობითის ფორმაში ორი მიმღეობური პრეფიქსი მონაწილეობს: ლგ- — ნამყო ღროისა, რომელიც მართლაც მოქმედების ღროზე მიუთითებს (აქ წარსულის ამსახველი სხვა აფიქსი არცა გვაქვს) და მგ-, რომლის ფუნქცია, წარსულში მოქმედების (ან მდგომარეობის პროცესის) დინამიკურობის პერმანენტულობის, მობილურობის გამოხატვასთან ერთად, აქტუალიზაცია უნდა იყოს. (შდრ. მესამე სერიის ნამყო სრულის ფორმა, რომელიც აგრეთვე აღწერითა: ა-ლ-შიხ-ე ლი (\*ან-ლგ-შიხ-ე

**ლი**) “დამწვარა”, ე-ლ-სიბ-ე ლი (\*ეს-ლგ-სიბ-ე ლი) “გადაქცეულა”; როგორც ვხედავთ, მგ-პრეფიქსი აქ არ ფიგურირებს; ალბათ იმიტომ, რომ ეს ფორმები პროცესს კი არა, შედეგს გადმოსცემენ, ამიტომაც მააქტივებელ აფიქსს არ საჭიროებენ.

საანალიზო მწკრივების -უნ- სუფიქსი (**ხ-ა-მშრ-ინ-ა** (ბზ.), **ხ-ა-მარ-უნ-ა** (ბქ.) “უმზადებდა თურმე”, **ლგ-მ-მარ-ინ ღლი** (<**ლგ-მ-მარ-უნ-ე ლი** “ამზადებდა თურმე”, **ლგ-მ-მარ-ოლინ** (<**ლგ-მ-მარ-ოლ-უნინ**) “მზადდებოდა თურმე”), მატერიალურად ემთხვევა მყოფად სრულის (**ა-მშრ-უნ-ი** (ბზ.), **ი-მარ-უნ-ი** (ბქ.) “ამზადებდეს იქნება”; და პირობითის (**ი-მარ-უნ-იუ** (ბქ.) “რომ ემზადებინა”) დაბოლოებებს.

აღნიშნულ მწკრივთა ფორმებით გადმოცემულია: 1. წარსულში შესასრულებელი, გარკვეული პირობის შემცველი, **საეჭვო, საგარაუდო, უნახავი** ან 2. ასევე გარკვეული პირობის შემცველი, მომავალში შესასრულებელი, **საეჭვო, საგარაუდო, დაუსაბუთებელი** და, თავისთავად, კვლავ **უნახავი** მოქმედება (შდრ. ქართ. რომა მეკეთებინა, რომა გამაკეთებინა).

ჩამოთვლილ მწკრივებში **-უნ-** აფიქსის იდენტურობა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ვფიქრობთ, იგი არქაულია და მომდინარეობს ოდენ სემანტიკური ჯგუფების არსებობის დროიდან. **-უნ-** ის ფუნქციის დიფერენციაცია მწკრივთა მიხედვით მოგვიანებით უნდა მომხდარიყო, თუმცა ყველა ამ ფორმაში ზოგი რამ — დაუსაბუთებლობისა და უნახაობის სემანტიკა — დღესაც საერთოა.

## ნანა მაჭავარიანი

### შექმნა აფხაზური სახელწოდებების სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი

ენის ლექსიკის სემასიოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა უპირველესად ითვალისწინებს სიტყვის მნიშვნელობის დახასიათებას, მისი სემანტიკური სტრუქტურის აღწერას სინქრონულ დონეზე.

აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართებაში საინტერესოა აღმნიშვნელის სემანტიკური აგებულება, მისი ლექსიკური სინტაქტიკა, ენობრივი მეტაფორა.

ცნობილია, რომ ენობრივ ერთობებს ერთიმეორისაგან განასხვავებს აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის სხვადასხვაგვარი მიღვომა.

სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარადა ასახული ობიექტური სინამდვილე: სივრცე, ბუნების მოვლენები, მცენარეთა თუ ცხოველთა სამყარო.

ენის ლექსიკის ამა თუ იმ უბანში უკუფენილია ენობრივი ერთობის ყოფის სხვადასხვაობა, რადგან ყოფის სხვადასხვაობა განსაზღვრავს სწორედ იმ თავისებურებებს, რომლებიც სხვადასხვა ენის ლექსიკური ფონდის შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა.

აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სოლიდური ნაწილი მწერთა აღმნიშვნელ სახელებს მოიცავს.

სემანტიკური თვალსაზრისით მწერთა ლექსიკა შეიძლება დაიყოს მფრინავ და მხოხავ, ადამიანისათვის სარგებლობის მომტან, თუ ეს-თეტიკური სიამოვნების მომგვრელ, ზიანის მიმყენებელ მწერთა სახელწოდებებად.

სტრუქტურული თვალსაზრისით ცხოველთა ლექსიკაში გამოიყოფა სხვადასხვა მოდელები.

- მფრინავი, ადამიანისათვის სარგებლობის მომტანია **ა-შხა „ფუტკარი“**, ამ ფუძისაგან აფხაზურში არაერთი სიტყვაა ნაწარმოები: **ა-შხეც „ერთი ფუტკარი“, -ც სუფიქსი „ცალის“ აღმნიშვნელია;** **ა-შხარ „მუშა ფუტკარი“, შესაძლოა -რ ამ ლექსემაში იყოს ნაშთი სიტყვისა არ „ჯარი“, ანუ „ჯარისკაცი ფუტკარი“; ა-შხაწ „გუნდი ფუტკრისა“, **ა-შხარან „დედა ფუტკარი“, სიტყვის პირველი ნაწილია იგივე ა-შხა „ფუტკარი“, მას მოსდევს მრავლობითი რიცხვის კუთვნილების რ- პრეფიქსი და ან „დედა“ ლექსემა. სიტყვასიტყვით: „ფუტკარი (მათი) დედა“; აღსანიშნავია, რომ სიტყვა **ა-შხა „ფუტკარი“** მხოლობით რიცხვშია, კუთვნილების აფიქსი კი მრავლობითისა აქვს.****

**შხა-ნგჲა „ფუტკრის სალოცავი“, ა-ნგჲა-არა „ლოცვა“, ზედმიწევნით: „ფუტკრ(ის) ლოცვა“, **ა-შხემზა/ ა-შხემძა „სკა“, ა-შხაგარა „საფუტკრე“, აგარა „ღობე“, სიტყვასიტყვით: „ფუტკრის ღობე“.****

განხილული, კომპოზიციის გზით შედგენილი სახელწოდებები აფხა-ზური ენის გრამატიკულ ნორმათა დაცვითა ნაწარმოები: საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს.

ფუტკრის სახელისა და მისგან ნაყარი ფუქების სიმრავლე იმის მაჩვენებელია, რომ აფხაზები მეფუტკრეობას ძველთაგანვე მისდევდნენ.

**ა-ყანჭ/ ა-ყანჭ-ხაც** „აბრეშუმის ჭია“, ა-ხაც „ჭიას“ ნიშნავს და-მოკიდებლად. ეს სიტყვა ნასესხები ჩანს აფხაზურში. შდრ.: ქართული „ყაჭის ჭია“, ლექსემის მეორე ნაწილი კალკირებულიც კია. ა-ყანჭმარა „მეაბრეშუმეობა“, ა-ძაარა „აღზრდა“, ანუ აბრეშუმის აღზრდა“. მეაბრეშუმეობა აფხაზთათვის შედარებით ახალი საქმიანობაა, ამას ისიც მოწმობს, რომ აფხაზურში აბრეშუმის ჭიის აღმნიშვნელი სიტყვა ნასესხებია.

• მფრინავი, აღამიანისათვის ესთეტიკური სიამოვნების მომგვრულია **ა-ფარფალგე/ ა-ფარფალგე/ა-ხეჩფალგე(ბზიფ.)** „პეპელა“, შდრ.: ქართული ფარფალი/პარპალი.

**ა-მგრები/ ა-ბგარგმე(ბზიფ.)** „ციცინათელა“, „ელვანა“ სიტყვის პირველი ნაწილი ა-ბგა „მგელია“, მას მოსდევს მრავლობითი რიცხვის კუთვნილების რ-პრეფიქსი და ამბამწ „ბუზი“ ლექსემა. სიტყვა-სიტყვით: „მგელი მათი ბუზი“, აღსანიშნავია, რომ სიტყვა ა-ბგა „მგელი“, მხოლობით რიცხვშია, კუთვნილების აფიქსი კი მრავლობითისა აქვს.

• აღამიანისათვის ზიანის მიმყენებელ მწერთა სახელწოდებებია: **ა-მწ „ბუზი“, ა-ლამწ „ძალლის მწერი“, ა-ლა „ძალლი“, ა-მწ „ბუზი“, სიტყვასიტყვით: „მგლ(ის) ბუზი“, ა-ც-გვწ „ბუზიანკალი“, ა-ც „ხარი“, ა-მწ „ბუზი“, ზედმიწევნით: „ხარის ბუზი“, ა-ცც „ქინქლა“, ა-ც „ჩრჩილი“, აკუბრე „კოლო“, აკუბრე სსა „წვრილი ქინქლა“, ა-წ „ტილი, მკენარი“, ა-ძ „რწყილი“, ა-ძორა „სარწყილე“, -თრა შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი. აგაწა „ბალლინჯო“, ა-ხაც „ჭია“, ა-ხა „ხორცის მატლი ა-ხარშა/ ა-ხარშაგ „ბობოლი (ხის დიდი მატლი), ა-ხაჭამაჭა „ჭია-ღუა, მწერი“ შდრ.: ქართული ხოჭო, ა-შეგრცალ „კრაზანა, ბზიკი“, ა-ბგზკათპა „ობობა, ბაბაჭუა, ფეიქარა“, ა-ბგზკათპარა „აბლაბუდა, ობობას ქსელი“, სიტყვის პირველი ნაწილი ა-ბგზ „ენა“, მეორე ნაწილი (ა)კათა „ბადე“, მესამე**

ნაწილის მნიშვნელობაა **ა-ჰა-რა** „ქსოვა“. **ა-შაგშაკაშა** „ჭიანჭველა“, სიტყვის მეორე ნაწილი კამსაჭამსა „ბანჯგლიანი“ ზედსართავია, პირველი კი **ა-შაგშა** ქართული \* ჭიანჭ ფუძის ბგერათფარდი სახელი უნდა იყოს.

ამგვარად, მწერთა აფხაზური სახელწოდებანი სტრუქტურულად არის: ოდენფუძიანი, აფიქსიანი, კომპოზიციით მიღებული. ზემოთ განხილული, კომპოზიციის გზით შედგენილი სახელწოდებები აფხაზური ენის გრამატიკულ ნორმათა დაცვითა ნაწარმოები: საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს.

ცხოველთა და ფრინველთა სახელწოდებებისაგან განსხვავებით, მწერთა სახელწოდებებში მოტივაცია ნაკლებად შეინიშნება. ლექსიკური ფონდის ეს უბანი ოდენფუძიანი სახელწოდებების სიმრავლითაც გამოირჩევა.

## კობა მითაგვარია

### სახელური სიტყვაწარმოება ადილეურში. I. რედუბლიკაცია

რედუბლიკაცია სიტყვაწარმოების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, რომელსაც გარკვეული ადგილი უჭირავს აღიღეურ ენაშიც.

სახელური ფუქების ფონეტიკური ცვლილებების გარეშე განმეორება იშვიათია (მაგ., ფსე-ფსე „დოლბანდი“). ტიპიურია რედუბლიკაცია ბგერების შეცვლით.

რედუბლიკირებული სიტყვები იყოფა ორ ჯგუფად:

ა) მცირე ჯგუფს შეადგენენ ხმოვანშეცვლილი სიტყვები. აქ გამოიყოფა ლექსემები, რომლებშიც მახვილის ადგილმდებარეობის მიხედვით ხდება პ და ა ხმოვანთა მონაცვლეობა:

მაგ. ნან(პ) <\*ნპ-ნპ „დედა“ შდრ. ნპ-ნპ-ზ(გ) „ბებია“.

არის შემთხვევები პ || პ ხმოვნების შენაცვლებისა უ(გ) ხმოვნით:

ჰაწ-უწ <\*ჰაწ-ჰაწ „ქვეწარმავალი“

ბ) მეორე ჭგუფი სიტყვებისა უფრო დამახასიათებელია ადილეურისათვის, რომელშიც ხდება რედუპლიკაცია თანხმოვანი ბგერების შეცვლით:

1) თანხმოვანთა სუბსტიტუცია:

**პატჩა-ლ'აბზ(პ)** „ძალიან სუფთა“, შდრ. კაბზა „სუფთა“; **დგჯგ-ხგ(გ)** „ძალიან მწარე“, შდრ. დგჯგ „მწარე“.

2) თანხმოვნის შეცვლა **ზ'** თანხმოვნით, რომელსაც შეუძლია სიტყვის დასაწყისში ჩაანაცვლოს ნებისმიერი თანხმოვანი:

**ბაჟიგ-ზ'** ზკზ „თივა და რამე“, შდრ. მჟკზ „თივა“;

**შამსათ-ზ'** ამსათ „შამსეტი და რამე“, შდრ. შამსათ (ანთროპონიმი).

თუ გაორკეცებისას პირველი კომპონენტი **მა**, **მა**, **უა**, **უა** დიფ-თონგებით იწყება, მაშინ მეორე კომპონენტში **ზ'** დიფთონგების პირველ ელემენტს ენაცვლება.

**მაბზგ-ზ'** პატგ „ნაკელი და რამე“; **უგამა-ზ'** პატ „წვიმა და რა-მე“.

თუ სიტყვა იწყება **ა** ხმოვნით, ამ შემთხვევაში **ზ'** ბგერა სიტყვას თავში დაერთვის შენაცვლების გარეშე:

მაგ.: **არქ-ზ'** არქ „არაყი და რამე“

3) თანხმოვნის შენაცვლება თანხმოვანთა კომპლექსით: **დგჯგ-ზგ(გ)** „ძალიან მწარე“, შდრ. დგჯგ „მწარე“.

4) თანხმოვანთა კომპლექსის ჩანაცვლება თანხმოვნით:

**ცხაშა-ნაშ(პ)** „ძალიან დიდი“;

**ცსაშუ-შაუ** „მთელი და უგნებელი“, შდრ. ფსაშ(გ) „მთლიანი, ჭანმრთელი“.

რედუპლიკაციის გზით მიღებული სიტყვებისთვის აგრეთვე და-მახასიათებელია არა მხოლოდ ცალკეული ბგერების, არამედ მარცვლების შენაცვლებაც.

**დალ-ფსგლ** „სრულიად ყრუ“, შდრ. დალ-გ „ყრუ“

**კაბზა-უგბზ(პ)** „ძალიან სუფთა“, შდრ. კაბზა „სუფთა“.

მეგვარად, რედუპლიკაციის გზით მიღებულ კომპოზიტებში პირველი კომპონენტის პირველ თანხმოვანს ან თანხმოვანთა კომპლექსს, როგორც წესი, სიტყვის მეორე კომპონენტში შეენაცვლებიან

შემდეგი თანხმოვნები და თანხმოვანთა კომპლექსები: **ს, უ, ფს, პჟ, კ, ჭ, ნ, ზ'**.

რედუპლიკაციის გზით მიღებული სიტყვებით აღინიშნება: კრებითობა, დისტრიბუულობა, ნიშანთვისების გაძლიერება.

## ნიკო თთინაშვილი

### სოფელ წირქოლის ონომასტიკა

სოფელი მდებარეობს მდინარე ქსნის შუა წელზე, მის მარჯვენა მხარეს სადაც აღმართულია დიდებული წირქოლის ციხე, რომელთანაც არაერთი საბრძოლო ეპიზოდია დაკავშირებული საისტორიო მასალების მიხედვით.

სოფელი მოხსენიებულია წირქვალის ფორმით ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების შრომებში. იგი დატანიალია ვახუშტის რუკებზე მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს და დღესაც იქ ლოკალიზდება. მდიდარ მასალას შეიცავს სოფლის ონომასტიკონის შესახებ „1774 და 1781 წლების ქსნის ხეობის სტატისტიკური“ აღწერილობა.

ხეობა ძველთაგანვე დასახლებული იყო ქართული ტომებით, რომელთა შესახებ ცნობებს გვაწვდის ტოპონიმები და ანთროპონიმები. ტოპონიმიკური სახელშოდებების მდგრადობა საშუალებას გვაძლევს ხეობაში და ხსენებულ სოფელში გამოვალინოთ ის ელემენტები, რომლებიც თანამედროვე ლექსიკიდან გაქრა. ასევე გამოვალინოთ ძველი დიალექტური ნიშნები, ავხსნათ მოვლენები ლექსიკაში, ფონეტიკაში, სინტაქსში.

სოფლის ონომასტიკური მასალა შეკრებილი გვაქვს დაახლოებით ჩვიდმეტი წლის წინ და მის გადამოწმებას გაწარმოებდით პერიოდულად. სულ შეკრებილი გვაქვს ასზე მეტი ტოპონიმი. გვარებიდან მაშინ დავადასტურეთ ოცდახუთი გვარი, რომელთა ნაწილი დღეს სოფელში აღარ ცხოვრობს, მაგრამ ტოპონიმიაში დარჩა. დღეისათვის სოფელში განსახლებულია: ქუტაშვილი, შერმადინი, მორბედა-

ქე, თათრიშვილი, ფსუტური, ჭარხალაშვილი, გაბრიელაშვილი, ხრიკული, გამხიტაშვილი, ფიცხელაური, მეგრელიშვილი, ბასიკაშვილი, ოდიშვილი, ხალბეგაშვილი, ძერყორაშვილი.

ტოპონიმებიდან — წყაროების, ხევების, წყლების კომპოზიტურ სახელთა მეორე კომპონენტად გვხვდება: წყალი, წყარო, ხევი, ღელე: დამპალ წყალი, დამპალი წყაროები, ქოწყობილის წყალი, დიდღელე, ვერდა წყარო, დიდი წყარო, თეთრი წყარო, ოსას მორევი, ყუდრების წყარო, დარბახევი, გორთამანთ წყარო, ხევი და სხვ.

ადგილების, მთების, ქედების კომპოზიტურ სახელთა მეორე კომპონენტად გვაქვს: მიწა, მთა, ქედი, ახო, მზგარე, ჩირდილი: იასეს მიწა, ბატონის მიწა, ქედის მიწა, ფშარეული მთა, დიდი მთა, სამგლე ქედი, ციხის ქედი, ზანგურაანთ ქედები, ფშავლიაანთ ახო, ვანეს ახო, გოგლას ახო, ღვთიშობლი მზგარე, ზებაყურის მზგარე, თხილვანის ჩირდილი, ლომისის ჩირდილი, საყდრის ჩირდილი.

ტოპონიმური პუნქტების კომპოზიტურ სახელთა მეორე კომპონენტად გვხვდება უბანი, ან წინ ერთვის ზემო ქვემო. მაგ. ფიცხელა-ანთ უბანი (ფიცხელაურები), ჭამბუანთ უბანი (ჭუტაშვილები), ხრიკულთ უბანი (ხრიკულები), ძერყორაანთ უბანი (ძერყორაშვილები), ზემო უბანი (ახალი დასახლება), ქვემო უბანი (მორბედაძები).

ტოპონიმურ სახელთა ერთი ჯგუფი შეიცავს ადამიანის გვარს ან სახელს, რომელსაც თან ერთვის მაწარმოებელი სუფიქსი -ან ॥ ანთ: გორთამანი (წასული გვარი მილაძები), ჭამბრიანი (წასული გვარი ჭამბრიშვილები), ბეჟიანი (წასული გვარი კობაურები), მორბედაანთი (მორბედაძების), მჭედლიანთი (მჭედლიძები), ოდიაანთი (ოდიშვილები), გამხიტაანთი (გამხიტაშვილები).

ქართლური კილოს ქსნურ მეტყველებაში — ურ ॥ ულ სუფიქსებს აქვთ პოტენცია აღნიშნონ სხვადასხვა ფუნქცია. სოფელში შინაარსის მიხედვით დასტურდება ტოპონიმური სახელები, რომლებიც წარმოქმნილია საკუთარი სახელისგან და თვით ტოპონიმიდან, მაგ.: ზამთარეული (ქედი), კოწახურები (ბუჩქნარი), სახიზური (სახნავი), ცაური (ახო), ბარამული (ჭუტაშვილის ახო), კურდღელაური (ცხოვრობდნენ კურდღელაშვილები), პანტნაური (კლდე), საქასური (ყოფილი სახნავი), ზებაყური (საძოვარი) და სხვა.

მრავლობითში გვხვდება ტოპონიმები, რომლებიც ძირითადად

ადგილის სიდიდეს გახაზავს, მაგ.: კოწახურები (ბუჩქნარი), საბადურები (ქედი), ბაგები (სახნავები), დიდველები (სათიბები), ნახიზანრები (სათიბები), ჯვარმიწები (ნიში), ღვინარები (ველი), ვეძათ ქედები (წყაროები), ფშავლიანთ ახო (კობურის გვარი), ღიტურაანთ კლდეები (შერმალინის გვარი), ბეჟიაანთ წყარო (თათრიშვილი).

გვხვდება ნა-, სა- პრეფიქსებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები: ნა-დარბაზევი, ნა-ფუძარი ან ნა-ფუძრები, ნა-წალკოტევი, ნატუსები, სა-ბატონო, სა-მგლე, სა-ჯინჯლო და სხვა.

რელიგიური მნიშვნელობების დასახელებები დაკავშირებულია ღმერთების, წმინდანების სახელებთან, მაგ.: კვირაცხოველი (ეკლესია) წმინდა გიორგი (ეკლესია), ღვთისმშობელი (ეკლესია), ჯვარმიწები (მუხის ნიში), ლომისას ნიში, ხატის ვენახი (ყოფილი ვენახი).

მოხსენებაში წარმოდგენილი მეთვრამეტე საუკუნის აღწერების ტოპონიმასტიკა ფრიად საინტერესოა, როგორც წარსულის ისე, დღევანდელობის თვალსაზრისით.

## თამარ პაპიაშვილი

### სამშენებლო ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინები აფხაზურ ენაში

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის მკვიდრნი სოფლის მეურნეობას უძველესი დროიდან, ნეოლითის ეპოქიდან მისდევდნენ. ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობების არსებობამ განაპირობა მეურნეობის სხვადასხვა დარგების: მეცხოველეობის, მევენახეობის, მებალეობის, მემარცვლეობის და სხვათა განვითარება. შესაბამისად, ჩამოყალიბდა სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობის ტრადიციაც.

ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, სამეურნეო ნაგებობები წნული ან ძელური ტიპის, მრგვალი ან ოთხკუთხა ფორმის ნაგებობები იყო.

აფხაზურ ენაში არსებული სამეურნეო ნაგებობების აღმნიშვნე-

ლი ტერმინები შეიძლება რამდენიმე ჭვეულად დაიყოს. ამ დიფერენციალის საფუძვლად უდევს ტერმინთა გრამატიკული აგებულების, წარმომავლობისა და ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად გამოვლენილი ზოგადი კანონზომიერებანი.

1. სამეურნეო ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინების მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება საკუთრივ აფხაზური ლექსიკისაგან, თუმცა მორფოლოგიური აგებულების მიხედვით იგი იდენტობას ამჟღავნებს ქართველურ ენა-კილოებში არსებულ სათანადო ტერმინოლოგიასთან, მაგ.: ქართ.: **სა-ცხენ-ე** / მეგრ.: **ო-ცხენ-ე** / აფხ.: **აჩგორა** — მოცემული სამი ტერმინი შედგება შინაური ცხოველების აღმნიშვნელი სახელების ფურქებისა და ადგილის მაწარმოებელი აფიქსებისაგან: ქარ.: **სა-ე** / მეგრ.: **ო-ე** / აფხ.: — თრა; ქართ.: **სა-მზარეულო-ი** / **სა-მზად-ი** / აფხ.: **ახგვაწართა** / **აჩგვაწართა** — ამ დამხმარე ნაგებობის ქართული და აფხაზური სახელწოდებები შედგება მზარეულობის, კერძის მზადების აღმნიშვნელი ზმნური ფუძისა და ადგილის აღმნიშვნელი აფიქსებისაგან: ქართ.: **სა-ო/სა** / აფხ.: **რთა** ლექსიკური შემადგენლობის მიხედვით იდენტურია წისქვილის აღმნიშვნელი ქართული და აფხაზური ტერმინებიც, რომლებიც კომპოზიტურ სახელებს წარმოადგენს და შედგება სემანტიკურად მსგავსი ერთეულებისაგან: ქართ.: **წისქვილი** < **წყლის ფქვილი** < **წყალ-ი** + **ფქვილ-ი** / აფხ.: **აძგლაგარა** < **აძგ „წყალიშვილი + ალაგარა**, „ფქვა“.
2. სამეურნეო ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინების ნაწილი აფხაზურ ენაში მეგრულიდან შესული ლექსიკის სახითაა წარმოდგენილი, მაგ.: თხების სადგომი — **მარაკა** < მეგრ. **მარაკა** / **ქაბარკა**, საღორე — **ოსქე** < მეგრ.: **ოსქე** / **ოსქუ**. მეგრულიდან შესულ ტერმინოლოგიაში დასტურდება სესხების კანონზომიერებათა გათვალისწინებით მოსალოდნელი ფონეტიკური ცვლილებები, იშვიათად კი აღინიშნება სემანტიკური ვარირებაც, მაგ.: **ავგვ** მომდინარეობს მომცრო ზომის აღმნიშვნელი მეგრული ზედსართავი სახელისგან **ჭიჭე**.
3. სამეურნეო ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინების გარკვეული ნაწილი საკუთრივ აფხაზური წარმომავლობის ლექსიკითაა წარმოდგენილი, მაგ.: გომური — **აბორა** / **აბოურა**, სასიმინდე — **აცა**,

ახალდაქორწინებულთა სახლი ~ ამჰარა და სხვ.

4. აფხაზურში არსებულ სამეურნეო ნაგებობათა აღმნიშვნელ ტერმინებში გამოყოფა საერთოკავკასიური ფურქეც **გვალ / გვარ**. იბერიულ-კავკასიურ ენებში იგი სხვადასხვა სემანტიკით გამოიყენება, კერძოდ.: სვ.: **გვალ** ფუძეს საცხოვრებელი ფართის საქონლისთვის გამოყოფილი ნაწილის მნიშვნელობა აქვს; იმავე ფუძის ვარიანტი გამოყოფა ქართულ სიტყვაშიც **გომური**. ადილეურში **გუარტე** ნახირია; აფხაზურში **აგართა** ნახირს აღნიშნავს, ხოლო ბზითურ დიალექტში კი **აგარბ // აგარც** მთლიანი კარ-მიდამოს მნიშვნელობით დასტურდება. წარმოდგენილი ტერმინების ეტიმოლოგიის ახსნა შესაძლოა მოხდეს ადილური ფუძის — **აგუს** საფუძველზე, რომელსაც კარ-მიდამოს სემანტიკა აქვს. უფრო ღრმა კვლევის შედეგად კი მივდივართ ძველ ბერძნულში არსებულ ტერმინამდე **აგროინია**, რომელიც ქალაქებარეთ მდებარე მამულს ნიშნავდა.

ლინგვისტური ანალიზის შედეგად უნდა ითქვას, რომ მიუხედავად აფხაზურ ენაში არსებული სამეურნეო ნაგებობების აღმნიშვნელი ტერმინების სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე დიფერენცირებისა, ქართული და აფხაზური ენების მჭიდრო კონტაქტი და ნათესაობა განხილულ სემანტიკურ ველშიც ნათლად ჩანს.

## მერაბ რობაჟიძე

### „სიტყვის“ შინაარსობრივი ასპექტების შესახებ ძველ ქართულ და ძველ სომხურ ენებში

ადამიანის, როგორც მოაზროვნე არსების, ბუნება „სიტყვას“ უკავშირდება. სამყაროს სხვა დანარჩენ არსებათაგან იგი სწორედ „სიტყვით“ განსხვავდება. ადამიანის ყოველგვარ გამოვლინებას აზროვნებისა და პრაქტიკული მოღვაწე- ობის სფეროებში საფუძლად უდევს „სიტყვა“ (ლოგოსი). „სიტყვა“ ძველ ქართულ ენაში განსხვავებული მნიშვნელობებით წარმოგვიდგება. 1V ს-ის ბერძნი ფსიქოლოგ-ანთროპოლოგი ნემესიოს ემესელი თავის ნაშრომში „ბუნებისა-

თვის კაცისა“ გამოყოფს ორი სახის „სიტყვას“—„შორის მდებარეს“ („ლოგოს ენდიათეტოს“) და „გარემოსილს“ („ლოგოს პროფორიკოს“); პირველი წარმოუთქმელია, მეორე კი — წარმოთქმული, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველ შემთხვევაში „სიტყვას აქვს სააზროვნო სემანტიკა, მეორე შემთხვევაში კი ნიშნავს გახმოვნებულ აზრს, დანაწევრებული მეტყველებით წარმოჩენილს. სხვაგარად რომ ვთქვათ, „სიტყვა“ მოწოდებულია ორი მნიშვნელობით: „შინაგანი“ და „აცცხადებული“ აზრის მნიშვნელობით. სულხან-საბა ორბელიანის ლექსი კონში „წარმოუთქმელი“ და „წარმოთქმული“ სიტყვა იწოდება როგორც „შინაგან მდებარე“ და „წარმოჩენილი“. პირველი უხმოა, მეორე — ხმოვანი. საბას განმარტებით, „წარმოჩენილსა სიტყვასა ხმასა შინა სიტყვის-გებათა აქვს მოქმედება“. ამგვარი „სიტყვა“ ლექსიკოგრაფის მიერ დახასიათებულია როგორც „ქადაგი მოგონებისა“ (=გაცხადებული აზრი). „სიტყვის საბასეულ დეფინიციას საფუძლად უდევს ნემესიოს ემესელის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც „ნაწევარობიანი მიმორქმა (=დანაწევრებული მეტყველება) შეეხო რა „გაგონებასა“ (=გონებასა) და „გულის-სიტყუასა“ (=ცნობასა), ქადაგადცა შეიქმნა იგი გონებითსა მიმოდრევათაისა“ („იოანე პეტრიოწის თარგმანი“), ანუ დანაწევრებული მეტყველება აზროვნებითი აქტის და „ცნობის“ (=მიხვდრის, გაცნობიერების) წარმომჩენია („ქადაგია“). „წარმოჩენილი და წარმოუჩენელი სიტყვა“ შეგვიძლია დავახასიათოთ აგრეთვე როგორც „გაცხადებული“ და „გაუცხადებელი“.

გარდა სააზროვნო სემანტიკისა, წარმოთქმული სიტყვის მნიშვნელობა ძველ ქართულში აქვს აგრეთვე „ზრახვა“-ს: „ენა ზრახვს მას, რომელსა მისცემს გული და გონება“ (მამ. სწ., 171, 13).

საყურადღებოა აგრეთვე ძველ ქართულ ენაში „სიტყვის“ გამოყენება სააზროვნო ცნების მნიშვნელობით (=წარმოუჩენელი, გაცხადებული სიტყვა) როგორც სახელური („სიტყვა“), ისე ზმნური („ისიტყუნეს“) ფორმებით. „სიტყვა“, როგორც სააზროვნო ცნება, გვხვდება ზმნურ კონსტრუქციაში „გულსა იტყვის“ (=ფიქრობს). ამავე შინაარსს წარმოაჩენს აგრეთვე კომპოზიტი „გულის-სიტყვა“ (ფიქრი, აზრი). ნემესიოს ემესელის თხზულების პეტრიოწისეულ თარგმანში დასტურდება „სიტყვა“ როგორც სააზროვნო ცნება.

„სიტყვა“-ს ძველ ქართულ ენაში ქმედითი, პრაქტიკული საქმი-

**ანობის** მნიშვნელობაც აქვს. „შინაგანი სიტყვის“ („გულის-სიტყვის“, აზრის) გაცხადება ხდება არა მხოლოდ დანაწევრებული მეტყველებით, სიტყვიერი წარმოთქმით, არამედ **მოქმედებითაც**; აზრების რეალიზაცია ხდება **საქმით** და ესეც „სიტყვაა“. ძველ ქართულ ტექსტებში „სიტყვა“ ამ მნიშვნელობითაც (=საქმე, ქმედება, ქცევა) დასტურდება: „რომელმან დაუტეოს ცოლი თვინიერად **სიტყვისა** (=საქციელისა) სიძისა, ამრუშოს იგი“ (მთ. 5.32). მთელ რიგ შემთხვევებში ბიბლიის ტექსტის ვარიანტულ იკითხვისებში „**სიტყვის**“ ნაცვლად მოწოდებულია „**საქმე**“.

„**სიტყვა**“, რომელიც, ძველ ანთროპოლოგთა თქმით, არის ადამიანის „ურჩეულესი ნაწილი“, თავისი შინაარსობრივი მრავალფეროვნებით წარმოაჩენს მას, როგორც **მთაზროვნე, ხმით მეტყველ და აქტიურ**, საქმის შემსრულებელ (= „საქმით მეტყველ“) პიროვნებას.

ასეთსავე მნიშვნელობებს გვიჩვენებს ქართული „სიტყვის“ შესატყვისი ლექსიკური ერთეული „ბან“ ძველ სომხურ ენაში (ავრეთვე ახალში). ეს სიტყვა სომხურში, ისევე როგორც ქართულში, წარმოაჩენს **ლოგოსურ** სემანტიკას, რომელშიც კარგად აისახება ადამიანის ბუნების არსებითი ნიშან-თვისებები, შინაგანი მამოძრავებელი ძალები და მათი ქმედითი რეალიზაცია.

ბაცბურში **-წ(რ)** ჯერობის სუფიქსია, **ჲ** ამ ფუნქციით არ ჩანს. ცნობილია, რომ რიცხვით სახელებში, **-წ(-რ)** ჯერობის **-წ(რ)**, შდრ. ჩან. -ინგ. **-ზა** სუფიქსისაგან მომდინარეობს. ჯერობის **-წა** სუფიქსში **ა** ხმოვანი ექვემდებარება ბაცბურში **ა-ბოლოხმოვნის** მოკვეცის წესს, რედუცირებულია (მაგ., შა-წ < შა-წა „ორჯერ“...). რთული რიცხვითი სახელების ინლაუტიში **-წა-სეგმენტის** **ა** არ იკარგება (მაგ., ისა-წა-ტყა „ას ოთხმოცი“...), თუმცა **-წ (რ)** ჯერობის სუფიქსი რიცხვით სახელებში, რვაასს ზემოთ, **-წ-ს** სახით გვხვდება. ეს რიცხვითი სახელები ერთ რთულ ფუძეს არ წარმოადგენენ — გვიანდელი წარმოება ჩანს, **-წა** სუფიქსი აუსლაუტში რჩება და აქაც **-წა > წ** (მაგ., შა-წ ტყაუზტყა (ორჯერ ოთხასი) „რვაასი“...).

ჯერობის სუფიქსი **ზა(რ)** ჩაჩნურ-ინგუშურში დასტურდება. საერთოდ აქ **ა-ბოლოხმოვანი**, ჩვეულებრივ, არ იკვეცება. ბაცბური ენის რთული რიცხვითი სახელების **ზა(რ)** სეგმენტი **ჩაჩნურ-ინგუშურის** ჯერობის **ზა(რ)** სუფიქსს უკავშირდება.

ჩაჩნურში **ზა(რ)** დიალექტური ვარიანტებია. ბაცბურში **ძა(ზ)**-ს შესატყვისია **წა** (ა. სომერფელტი, ღ. იმნაიშვილი), ჩაჩნურ **ზ-**ს ბაცბურში **ზ** შეესატყვისება. ასეთი შესატყვისობა იშვიათად, მაგრამ მაინც შეიინიშნება ნახურ ენებში. ბაცბურში ჯერობის სუფიქსის პარალელური ფორმები (-წა||ზა) უნდა გვქონდა.

## ლ ა ტ ა ვ რ ა ს ა ნ ი კ ი ძ ე

### წ(რ), წა, ზ სეგმენტები ბაცბური (წოვა-თუშური) ენის რიცხვით სახელებში

თვლის სისტემა ნახურ ენებში, მსგავსად რიგი იბერიულ-კავკასიური ენებისა, ოცობითი და ათობითია, სჭარბობს ოცობითი თვლის სისტემა, რაც გვაქვს ოცს ზემოთ რიცხვით სახელებში (გამონაკლისი შეიძლება იყოს „ცხრამეტი“).

ოცობითი თვლის სისტემის მიხედვით შედგენილ რთულ რიცხვით სახელებთან ბაცბურში **-წ(რ)**, **-წა-** და **ზ(რ)** სეგმენტები გამოიყოფა: ევხ-წა-ტყ(ა) < ევხხ-წა-ტყ(ა) „ას ოცი“..., შა-წ-ტყაუზტყა „რვაასი“... შაუ-ზ-ტყ „ორმოცი“...

## თ ე დ ო უ თ უ რ გ ა ი ძ ე

### -ან სუფიქსისათვის მედიუმთა ფორმებში

1. მედიუმთა [მყვანან, დგანან, ძვ. ქართ. მქონან (< მქუანან) ....] ფორმებში **-ნ** განსხვავებულად განიხილება: ერთი თვალსაზრისით, **-ან** სუფიქსია და თემის ნიშანად არის მიჩნეული, მეორე თვალსაზრისით, **-ან** დაშლილია **-ა** და **-ნ** ელემენტებად. ამ თეორიის მიხედვით **-ნ S<sub>3</sub>** – ის ნიშანია.

2. ძველი ქართულის პატუნდა და პატუნდეს ფორმებზე დამყარებით **-ნ** სუფიქსი (შდრ. ა-ქუ-ს) ვერ მიიჩნევა **-ან** სუფიქსის

ვარიანტად, რადგან ფორმაში არ არის მარედუცირებული ელემენტი (-ან დგას -დ სავრცობის წინ).

3. განხილულ ფორმებში -ნ **S<sub>3</sub>**-ის ფუნქციადაკარგული ნიშანია; შდრ. ძვ. ქართულის აქუ-ნ, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, აქუ-ნ-ს (**მ.15,32მრ.8,2c**). ანალოგიური ვითარებაა მეგრულ-ლაზურში: მიღუნია-მიღუნან. არნ. ჩიქობავა -ნ-ს მიღუნან „გვყავს“ ფორმაში მოქმედ სუფიქსად მიიჩნევს (**მიღუ-ნ-ან**), ი. ყიფშიძე კი მას ფუძეს აკუთვნებდა (**მიღუნ-ან**).

ჩვენ ვიზიარებთ გ. კარტოზიას თვალსაზრისს: -ნან (**მიღუ-ნან**) სინქრონიაში დაუშლელია — „ერთიან სუფიქსად განიხილება“.

რადგან სუბიექტური წყობის ზმნებში -ან **S<sub>3</sub>P**-ს გამოხატავდა (**ჭარუნ-ან > ჭარუნა**), ობიექტური წყობის ზმნებში -ნან სიმრავლის გამოხატვის ფუნქციას იღებს.

ხევსურული დიალექტის ხყონ „ჰყვანან“, ხეონ „ჰქონან“ (ძვ. ქართ.) არქაულია თვით ხელი ქართულისთვისაც: ხ-ყონ (< ხ-ყუ-ან / < ხ-ყვან), ხ-ქონ (< ხ-ქუ-ან). -ან, რომელიც ძირეულ [უ]-სთან შერწყმით ონ-ს იძლევა, **S<sub>3</sub>P**-ის ნიშანია. ეს ფორმები ამ ზმნათა თავდაპირველ ვითარებას ასახავენ. სუბიექტური მესამე პირის ნიშანი მხოლობით რიცხვში აქ არსად ჩანს.

## შუშანა ფუტკარაძე

### ზედსართავ სახელებთან დაკავშირებული თავისებურებანი იმერხევულში

იმერხევული კილო ქართული ენის დედამდინარის ერთი ძლიერი შენაკადია. იგი იმერხეველი ქართველების მშობლიური მეტყველებაა. იმერხევი, ისტორიული საქართველოს უძველესი მიწა, ტაო-კლაორჯეთის ერთ-ერთი მხარეა, სამხრეთ საქართველოს შემადგენელი ნაწილი. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში. კერძოდ, იმერხევი წარმოადგენს ართვინის ვილაეთის შავშეთის რაიონის ერთ ლამაზ მხარეს — მდინარე ფაფართის ხეობას.

იმერხეველი ქართველები ორენოვანი არიან. მათი ოფიციალუ-

რი, სახელმწიფო ენა თურქულია, საოჯახო (**შინაური**) ენა კი ქართული. იმერხეველთა ქართული, 450 წლის მანძილზე დედაენის დამჭვერდებარებელ კონტროლს მოკლებული, თურქულ ენობრივ გარემოში მოქცეული, ენის განვითარების შინაგანი კანონების მოქმედების შესაბამისად განვითარდა და დამოუკიდებელ კილოდ ჩამოყალიბდა. თურქულის ენის ყოველდღიური გავლენის მიუხედავად, მან შეინარჩუნა თავისი ფონეტიკური სისტემა, გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. იმერხევულ კილოში ერთხელ კიდევ განტხადდა ქართული ენის სიძლიერე, გამძლეობა და უკვდავება.

იმერხევულმა კილომ დღემდე შემოინახა ზედსართავ სახელებთან დაკავშირებული ძველი ქართული ფორმები, საინტერესო დიალექტიზმები და თურქულის გავლენით შექმნილი უცხო ლექსიკური ერთეულები. თავისებური ლექსიკურ-გრამატიკული ელფერის მატარებელია იმერხევულის ზოგიერთი ზედსართავი სახელი. კერძოდ: ზედსართავი სახელის — **დიდი** — შინაარსი, გამოყენების არე გაფართოებულია. ჩვეულებრივი მნიშვნელობის გარდა, იგი აღნიშნავს ასაკით ან თანამდებობით უფროს პიროვნებას, გვევლინება არსებით სახელად. მაგალითად: ჩურენი **დიდი** (ოჯახის უფროსი) ჰავი მექასა და მედინას მომლოცველი) გამწდარა; ნური-ბეგი სიმშიაშვილი იმათი **დიდი** (უფროსი) იყო... **დიდ-ფუძეს** ერთვის **ოვან**-სუფიქსი, ჩაერთვის რ-თანხმოვანი (**შდრ. საბა — დიდროანი — დიდ-დიდები**), და წარმოქმნილია მიმართებითი ზედსართავი — **დიდროვანი** (**მოზრდილი, დიდ-დიდები**). ეს სიტყვა იმერხეველთა მეტყველებაში შეგვხდა რამდენიმე ვარიანტით — **დიდროვანი, დიდროანი, დიდრუანი, დიდრგანი, დიდვრანი**. იგი სიმრავლის გაგებას იძლევა და მარტოოდენ მრავლობით რიცხვში მდგარი საზღვრულის მსაზღვრელად გვევლინება (**შდრ. დიდი სახლი, დიდრუანი სახლები**).

**ოვან**-სუფიქსს, **დიდროვანის** მსგავსად, დაირთავს, აგრეთვე, ზედსართავები — პატარა პატინა, პაწა, მაღალი, დაბალი, გრძელი, კარგი, ლამაზიადა სიმრავლეზე მიგვანიშნებს: **პატარუანი, პატიოტუანი, პაწაწუანი, მაღალუანი, დაბალუანი, გზელუანი** (**ძ-ს იმერხევულში ენაცვლება ზ-თანხმოვანი**), **კარგუანი, ლამაზუანი** (**ოვან→ოან→უან→ უან**): **პატარუანი გბიები** (**კბოგრები**) ცხენით ავასხით მაღლაში; სხლი ზირში **პაწაწუანი ნამშლებია** (**ნერგებია**);

**გზელურანი კლავები გაშალა; კარგუანი გაშლები ავარჩიეთ...**

მრავლობითობის გადმოსაცემად გამოიყენება, აგრეთვე, ფუძის გაორკეცება, როგორიცაა: პატარ-პატარა, პატინა-პატინა, პაწაწა (←პაწა-პაწა), გზელ-გზელი, წორებწორე, ჰელ-ჰელი, გონჯ-გონჯი... მაგალითად: **მაღალ-მაღალი** კაცები ბეური არიან სხლობან (**სხლობანი** სიფელია „შავშეთში“); **მოკლე-მოკლე** გზიებით დავალთ; **გონჯ-გონჯმა** სიტყვებმა დამაბერეს...

იმერხეულში ზედსართავ სახელს — **პატარა** ენაცვლება ამავე მნიშვნელობის სიტყვები — **პატინა** და **პაწა**, რომლებიც სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილია სრული ბრუნვის ნიშნით: **პატარაი** ბაჯალა უერ ოქულში (სკოლაში) არ დავა (დადის); **პატინაი** ჭობო (ხელი) ბახჩაში ზოვს; **პაწაი** თოჭი გოუკეთა ღარჭსა (ბიჭსა)...  
მიმართებითი ზედსართავი — **ძველანდელი** გვხვდება **ზუელანდური**-ფორმით (დელ→ დურ): ჩურნმა დიდროვანებმა **ზუელანდური** ნათქუამები შიგინახეს; **ზუელანდურ** ურუბასა (ტანსაცმელს) გენჯები (ახალგაზრდები) აღარ წონილობენ (იწონებენ)...

**აქ, იქ-ზმიზედებისაგან ეურ-ბოლოსართით ნაწარმოებია ზედსართავები — აქეური, იქეური** (ეურ→ეურ): **აქეური** ლაპარაკი ცოტა არ ერიგება თქუენსა; **იქეური** სათიბები ჩურნსა დარჩა... ზოგჯერ გვხვდება **აქევრი, იქევრი**-ფორმითაც.

ფორმითა და შინაარსით საყურადღებოა იმერხეულისათვის დამახასიათებელი წარმოქმნილი და თხზული ზედსართავები, როგორიცაა: **საგარეთო** (გარეთ ჩასაცმელი), **საშინათო** (შინ, ოჯახურ გარემოში ჩასაცმელი), **საგულევლო** (საგულდაგულო), **სანამეტრო** (ზედმეტი), **სანამუსო** (წარმოსაჩენ ადგილას ჩასაცმელი), **საფერი** (შესადარი), **საშენო** (შენთვის გამოსადეგი), **საჩემო** (ჩემთვის გამოსადეგი), **ფოთელაი** (მერყევი, ორჭოფი), **შინათაი** (შინ, ოჯახში გამოსადეგი მხოლოდ)... **ახალპირი** (ახალგაზრდა დედალი პირუტყვი, რომელმაც პირველად იმშობიარა), **გულგარაი** (უგულო), **გულერთი** (ერთგული), **ფეხჩუილი** (მსუბუქი ყოფაქცევის ქალი), **ფისიმწურავი** (ძუნწი), **გელმარტო** (მარტოხელა), **გელწამოსაკრავი** (აღვილად დასამორჩილებელი), **შორიახლო** (ახლოსა და შორის საშუალი)...

ზოგიერთი მიმართებითი ზედსართავი ნაწარმოებია თურქული ენიდან შემოსული სიტყვა-ძირების გამოყენებით: **ურაპათო** (არაბ. rā-

hat — სიმშვიდე, დასვენება) — მოუსვენარი, **უიმანო** (არაბ. iman — რწმენა) — ურწმუნო, **საბრიანი** (არაბ. sabir — მოთმენა, გაძლება) — დამთმობი, მომთმენი, **ჰერხიანი** (არაბ. hirs — ბრაზი, რისხვა) — მრისხანე, ბრაზიანი...

ხარისხის წარმოება უმთავრესად აღწერითია. როგორც მშობლიურ, ისე ნასესხებ ზედსართავებს ემატება თურქულ-არაბული წარმოშობის ნაწილაკები, დამხმარე სიტყვები, როგორიცაა: **en** (ყველაზე მეტად), **fena** (ძლიერ), **daha** (კიდევ უფრო): **ენ მაღლი** (უმაღლესი) მთა კარჩალია; **ფენა ლამაზი** (ულამაზესი) ბაჟალა (ქალიშვილი) ჰყავს; **დაპა გემრიელი** (უგემრიელესი) საჭმელი ბოლოში იჭმევა... უფროობითი ხარისხის **უს-მაწარმოებლით** მხოლოდ ერთი სიტყვა — **უკეთესი** — შეგვხვდა, ისიც მხოლოდ მოხუცთა მეტყველებაში.

იმერხეულში ოდნაობითი ხარისხის ფორმები იშვიათად გვხვდება, როგორიცაა: **მოდიდო, მომაღლო, მოპაწაო, მოდაბლო, მოსუფთო, მოწმინდო, მოკარგო, მოთხელო, მოსექლო, მოშავო, მოთეთრო, მონარინჯო, მოყირმიზო...** ოდნაობითი ხარისხის ფორმაა — **მოდგმო** (წვრილისა და მსხვილდის საშუალი): წინდითვინ **მოდგმო ზაფი** დავართი...

თურქულიდან შემოსულა და დამკიდრებულა ფერის აღმნიშვნელი ზედსართავები: **მორი** (იის ფერი), **მაგი** (ლურჯი), **ვეშილი** (მწვანე), **კირმიზი** (წითელი), **სარი** (ყვითელი), **საყიზრენგი** (ვარდისფერი). **შავი, თეთრი, ბრეში** (შარ. საბამჩრეში) — რუხი უერ კიდევ აქტიური ლექსიკის ერთეულებია იმერხეულში.

ზედსართავები — **ახალგაზრდა, მოხუცი** არ შეგვხედრია. **ახალგაზრდა-ს** ენაცვლება ან თურქული **გენç-ი** (genç — ახალგაზრდა) ან ქართული **მოზდე;** **მოხუც-ის** მაგივრად კი გამოიყენება თურქული **მაშლი** (yaşlı — მოხუცი) ან ქართული **ბებერი:** ერთი **მოზდე** ღარჭი (ბიჭი) გამოგზავნეს; **გენჯები** ისამებენ ამასა; **დაშლი** ვარ, თირფანი (ცელი) ველარ მომიწევნია; ჩურნი **ბებერი** ზორ (ძალით) გოუმუსლიმანებიან...

თურქულის გავლენით იმერხეულში უკვე დამკიდრებული ჩანს ზოგიერთი უცხოენვანი ზედსართავი, როგორიცაა: **ბექარი** (არაბ. bekar — დაუქორწინებელი), **ბოში** (თურქ. boş — ცარიელი), **ბეთი**

(სპარ. bet — ცუდი, საძაგელი), **თაზა** (სპარ. taze — ახალი, ნორჩი), საღლამი (თურქ. sağlam — ჯანმრთელი, საღლი) **სადე** (სპარ. sade — სუფთა, მარტივი, უბრალო), **ქიბარი** (არაბ. kibar — კეთილშობილი, თავმომწონე), **შიშმანი** (თურქ. şişman — მსუქანი), **ხირა** (თურქ. hira — სუსტი, მჭილე), **ჯესური** (არაბ. cesur — გამბედავი, უშიშარი)...

უცხოენოვანი ზედასართავების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ მტკიცედ არ არის ფეხმოყიდებული: ჩუქური ესკი (ძველი) გურარია გორგაზე; **ზელი** (ძველი) ნათქურამები გურიუტარს; **უზუნ** (გრძელი) ზამთარში მაჟუელა; **გზელი** გარგანი გამააზრო დედაბერმა; ჩუქური სადე (სუფთა) გურჩები ვართა; **სუფთა** ლაპარაკი აღარ ვიცით, თურქშა წაგვრევს იშტა (ისე)...

იმერხეულისათვის დამახასიათებელი ზედასართავებია **აქსი** (თავნება, მოუსვენარი), **ბალხი** (სუსტი, უღონო), **ბალხამი** (ყამირი მიწა), **დიდარი** (დარბაისელი, წარმოსახენი ადამიანი), **თუკი** (მუქი), **ლურსი** (ირიბი), **ლუკი** (ბინძური, უსუფთაო), **სიმსხამი** (უმცირესი), **ულუმეშა** (უღრანი, მიუვალი), **ფუყი** (ფუღუროიანი), **ღლანაი** (უძლური), **ყუშრალაი** (მუქი წითელი), **ყუჩი** (ნელთბილი), **შოლარაი** (ტანადი), **ჩონჩი** (მოშვებული, დუნე), **წკიბი** (წვრილი ძაფი), **წორე** (სუფთა, საღლი, მართალი) **ჭკნარი** (მჭილე), **ხოშორი** (მოურიდებელი, უკულტური), **ხუადი** (მაცაი, უშიშარი, შეუბოვარი)...

იმერხეულში ცოცხალია ძველი ქართული ზედასართავები, როგორიცაა: **ბალანგარი** (უწერთნელი), **ბელეშა** (რქადადრეკილი ცხოველი), **ბეჩი** (უჭიკო), **დოლია** (ურქო პირუტყვი), **დურბელა** (თბილი, უგემური წყალი), **თერზული** (დახული მიწა), **კანთალა** (უწითლესი), **კეში** (უხეში), **კერძუხტი** (მჭილე) **კიბრუჭი** (ძალიან ხმელი, მაგარი), **ლეუეთი** (უმი), **ლუტი** (უგემური), **მურეშაი** (წითელშაგი), **საღირაი** (შუბლთეთრი პირუტყვი), **უბარი** (გამოუყენებელი), **უგვი** (ბერწი), **უგვანი** (მიტოვებული ადგილი), **უგლაგარჯი** (ტლანჯი), **ურგები** (გამოუსადევარი), **ურა** (უწერთნელი), **უგმარი** (გამოუყენებელი), **უერდელა** (შავთეთრად ჭრელი პირუტყვი), **ფაშარი** (უხეში), **ფინთი** (ავი, ბოროტი), **ლურკანი** (მხრებში წახრილი; უკუღმართი), **ყაფარაი** (თავში შველი), **ყაყვი** (მეტად შავი; ჭუჭყიანი), **ყინტორი** (ძალიან ცოვი), **ჩოლფოტი** (უგემოვნო), **ჩლონგი** (ბლაგვი), **ჩუბინი** (კარგად, შორს მხედველი), **ჭოჭე** (წყლიანი, დაჭაობებული ადგილი), **ხრილაი**

(მსხვილად დაფქული), **ხვერეფი** (ფხვიერი მიწა), **ჯინჯიხი** (ცხელისა და თბილის საშუალი), **ჯიხმაკური** (დაუფიქრებლად ნათქვამი)...

იმერხეულის საფუძვლიანი შესწავლა ქართული ენის ლინგვისტურ სურათს ბევრ საინტერესო მასალას შესძენს ენათა კონტაქტებისა და ძველი ქართული ლექსიკის უკეთ წარმოქნის თვალსაზრისით.

## ნათელა ქუთელია

### დიაქტონიული ფონოტაქტიკა და სისტემის ელემენტთა ტრანსფორმაცია

ჰარმონიულ კომპლექსთა A და B სისტემის ჭგუფები მარკირებულია საერთო ქართველური ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით (გ. მაჟავარიანი). ამავე დროს კანონიურია ზანური (resp. მეგრულლაზური) ფონოტაქტიკის გათვალისწინებით, რადგან სავსებით შეესაბამება ფონემათა შეერთების სტრუქტურულ კანონზომიერებას:

მეგრული

A

ბგ	ფქ	პკ	ბღ	ფხ	პყ
ღგ	თქ	ტკ	ღღ	თხ	ტყ
ძგ	ცქ	წკ	ძღ	ცხ	წყ
ჯგ	ჩქ	ჭკ	ჯღ	ჩხ	ჭყ

ლაზური

A

ბგ;	ფქ;	ბღ;	ფხ;	პყ;
ბგ>მბგ>მგ	ფქ>მფქ>მქ;	პკ	მბღ>მღ;	ფხ>მფხ;
ბგ//მგ	ფქ>მფქ>ქ		ბღ>მღ;	ფხ>მფხ>კ;
ღგ	თქ	ტკ	ღღ	თხ
ძგ	ცქ	წკ	ძღ	ტყ
ჯგ	ჩქ	ჭკ	ჯღ	ჭყ

70

სისტემის მოდელის ჩამოყალიბება ექვემდებარება ფონოტაქტიკის წესებს, მაგრამ ფონეტიკური სუბსტანცია შეიძლება დაემორჩილოს ცვლილებებს. ამიტომ გაუგებარია რატომ არ მოგვეპოვება საკმარისი საფუძველი ჰარმონიულ ჯგუფთა ლაბიალური რიგის პოსტულირებისათვის მეგრულში და რატომ უნდა დავტოვოთ ისინი სქემის გარეშე, როგორც არაკანონიკური ჯგუფები.

ზანური ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით სისტემის წევრები განიცდიან ტრანსფორმაციას, მაგრამ ფონოტაქტიკური მოდელი სტაბილური რჩება ქართულის მიმართ, რაც უფლებას გვაძლევს ვიგარაულოთ, რომ ჰარმონიულ კომპლექსთა ჯგუფები ჩამოყალიბდა ქართველურ დიალექტთა ერთიანობის ეპოქაში.

ჰარმონიულ ჯგუფთა A და B სისტემები მყარია და დადასტურებული არიან ყველა ქართველურ ენებში და ერთნაირი პარადიგმატული სიხშირით არ ხასიათდებიან. ამავე დროს ფონოტაქტიკის თვალსაზრისით მათი ფონეტიკური სუბსტანციის გარდაქმნები კანონიკური სტრუქტურის ფარგლებს არ სცილდება.

## მიხეილ ქურდიანი

**უძველესი ორანული სოციოლინგვისტური მოდელი  
და მისი მნიშვნელობა მეზობელი ქვეყნების ენობრივი  
პოლიტიკის ფორმირებაზე**  
(საქართველოს მაგალითზე)

აქემენიდთა პატარა მონოეთნიკური და მონოლინგვური ქვეყნის დიდ პოლიეთნიკურ და მულტილინგვურ ირანის იმპერიად გადაქცევის პროცესში მრავალ უპრეცედენტო სოციალურ და კულტურულ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. ამ ფაქტორებმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს ირანის მსოფლიო იმპერიის მეზობელი სახელმწიფოების განვითარებაზე და იქცნენ ირანული სახელმწიფოს უცვლელ მარკერებად.

ერთი ასეთი უნიკალური ტრადიცია ბინარული სტრუქტურის

სახით ჩამოყალიბდა. ეს არის ირანული ადმინისტრაციული და სოციოლინგვისტური მოდელები, რომელთა სათავეც აქემენიდთა იმპერიის ეპოქაშია პოვნიერი და რომლებიც გარკვეული მოდიფიკაციებით დღემდე ფუნქციონირებენ.

როგორ პარადოქსულადაც არ უნდა უღერდეს, აქემენიდთა (მოგვიანებით კი არშაკიდთა და სასანიდთა) ირანი წარმოადგენდა ფეოდალურ ფედერაციას, თუ სულაც კონფედერაციას არა — უცნობს მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიაში. ახალი ირანული თუ უცხოენოვანი ქვეყნის (resp. სახელმწიფოს) დაყრობისას ირანი, როგორც წესი, ცვლილა მხოლოდ მათი სახელმწიფოებრიობის და დამოუკიდებლობის ხარისხს, მაგრამ არ ცვლიდა შემოერთებული ტერიტორიის სახელმწიფოებას, საზღვრებს და მმართველ სამეფო დინასტიასაც კი. ირანის მეფეთა ტიტული იყო „შაპირ-შაპი“ ანუ მეფეთ-მეფე, რადგან ირანის იმპერიაში შემავალ ქვეყნებს საკუთარი შაპები ანუ მეფეები ჰყავდათ.

ყველა ამ ქვეყნის, რომელთა ერთი ნაწილი არაირანულენვანი იყო, ერთ სახელმწიფოდ ინტეგრაციისა და სხვადასხვა ენაზე მეტყველ ეთნოსთა ერთ ერად ფორმირებისათვის, აუცილებელი იყო საგანგებო სოციოლინგვისტური მოდელის ჩამოყალიბება და ირანმა შექმნა ასეთი მოდელი — სრულიად უნიკალური და უპრეცედენტო: ენათა ფუნქციები გაიყო, გაიმიჯნა ანუ მოხდა მათი რანჟირება — სახელმწიფო ენამ (ელამურმა, არამეულმა, ძველმა სპარსულმა, საშუალმა სპარსულმა, ახალმა სპარსულმა), აიღო თავზე პოლივალენტური ფუნქცია (კანცელარიის, რელიგიის, მეცნიერების, განათლების, მხატვრული ლიტერატურის, ეთნოსთაშორისი ურთიერთობის ენა და სხვ.), მაგრამ ყველა დანარჩენ უმწერლობობის ენას შეუნარჩუნდა შიდაეთნიკურ ურთიერთობათა ენის ფუნქცია (ოჯახისა და ფოლქლორის ენა და სხვ.) და სახელმწიფო ენა არ ცდილობდა მათ ამ ფუნქციაში ჩარევას.

ენები, რომლებსაც დამწერლობის ხანგრძლივი, დიდი და უწყვეტი ტრადიცია ჰქონდათ, რომლებიც მანამდე ან ოდესმე აღჭურვილი იყვნენ სახელმწიფო ენის ფუნქციით, ცხადია შეძლების-დაგვარად ცდილობდნენ კონკურენცია გაეწიათ ახალი სახელმწიფო ენისათვის. ამიტომ ეს ენები შედიოდნენ სახელმწიფო ენასთან კონ-

ფლიქტში და როგორც წესი ექვემდებარებოდნენ რეპრესიებს სახელმწიფოს მხრიდან. სრულიად სხვა სიტუაცია იყო უმწერლობო ენების შემთხვევაში: ისინი არ წარმოადგენდნენ სახელმწიფო ენის ოპოზიციას, არ აცხადებდნენ პრეტენზიას რომელიმე ლიტერატურულ სფეროში სახელმწიფო ენის ჩანაცვლებაზე და, შესაბამისად, არც რეპრესირდებოდნენ.

სოციოლინგვისტური მოდელი, რომელიც ჩამოყალიბდა ირანში, შეიძლება დახასიათებული იქნეს როგორც დივლოსიური ბილინგვიზმი (სადაც დივლოსია გაეხებულ უნდა იქნეს როგორც ენათა იერარქია პრესტიულობის მიხედვით, ხოლო ბილინგვიზმი — როგორც სავალდებულო ცოდნა ან თუნდაც გამოყენება ორი ენისა).

ამ მოდელმა: ა) მოახდინა კონსოლიდაცია (resp. ინტეგრაცია) ირანის სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ეთნოსისა ერთ ერად; ბ) დაიცვა, გნებავთ, გადაარჩინა უმწერლობო ენები, რაკი მოიხსნა ენათა კონკურენცია, რადგან კომპეტენციები სახელმწიფო და პატუა ენებს შორის მყაცრად იყო განაწილებული ფუნქციონირების სფეროთა მიხედვით. ირანი აღმოჩნდა ერთადერთი იმპერია, რომელშიც შენარჩუნებულ იქნა თითქმის ყველა უმწერლობო ენა, რომლებიც სასანიდების ეპოქიდან მოყოლებული, ჩვენთვის ცნობილ წყაროებში ისყვენ მოხსენიებულნი (ქურთული, გილანური, თალიშური, თათური, ბელუჯური და სხვ.)

ელინისტურ ეპოქაში (ძვ. წ. 303-302 წლებში) ჩამოყალიბებული ქართული (resp. სრულიად ქართული) სახელმწიფოს შემქმნელმა მეფე ფარნავაზმა ქართული მატიანების თანახმად სახელმწიფოს აღმინისტრაციული მოწყობის მოდელი ირანისგან აიღო: “ესრეთ განაწესა ეს სოცელი ფარნავაზ მიმსვანებულიდ სამეფოსა სპარსთასა” („ქართლის ცხოვრება“, I, 1955: 25). მისგანვე გადმოიღო სოციოლინგვისტური მოდელიც.

საქართველოს სამეფო, ისევე, როგორც მის ნიმუშად აღებული აქემენიდური ირანი, ფეოდალურ ფედერაციას წარმოადგენდა და შესაბამისად საქართველოს მეფეთა, ისევე, როგორც ირანის მეფეთა ტიტული იყო მეფეთ-მეფე, რადგან საქართველოს გერთიანებულ სამეფოში შემავალ ქვეყნებს საკუთარი მეფეებიც ჰყავდათ.

ფარნავაზმა მის გაერთიანებულ სამეფოში შემავალ ყველა ერ-

თეულს შეუნარჩუნა სახელი, აღმინისტრაციული საზღვრები, მმართველი დინასტია, საშინაო საქმეებში თვითმმართველობა და ა.შ. საინტერესო რომ ამ ტერიტორიებმა თავისი აღმინისტრაციული საზღვრებით და სახელწოდებებით დღემდე მოაღწიეს და როდესაც მეფეთ-მეფე დავით აღმაშენებელმა (1089-1125) საქართველო იმპერიად აქცია და მის საზღვრებში მოაქცია ბევრი სხვა ქართველური და არაქართველური ტომებით დასახლებული ქვეყნები, მან ჩატარა რეფორმა, დარიოს I-ის რეფორმის ტიპისა, გაამსხვილა აღმინისტრაციული ერთეულები და დანიშნა მათში არაადგილობრივი გუბერნატორები, მაგრამ ამ გამსხვილებულ ერთეულებში შეყვანილი ქვეყნების ტრადიციული საზღვრები არ შეუცვლია.

მეფეთ-მეფე ფარნავაზის მიერ ძვ.წ. 284 წელს სახელმწიფო ენად გამოცხადებული ქართული — გახდა სახელმწიფო ენა არა მხოლოდ ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ანუ სამეფო კანცელარიის ენა, არამედ ის აღიჭურვა პოლივალუნტური ფუნქციით და გახდა განათლების, მეცნიერების, ლიტერატურის, კულტურისა და რელიგიის ერთადერთი ენა ქართულ სახელმწიფოში და ასეა დღემდე (აფხაზეთის ავტონომიაში ქართულ ენასთან ერთად სახელმწიფო ენის ფუნქციით აღჭურვილია აფხაზური ენაც).

იმუამინდელ საქართველოს სახელმწიფოში გაერთიანებული მცირე ქვეყნების ყველა ენამ (და დიალექტმა) გაითავისა სახელმწიფო ენის სოციოლინგვისტური დიალექტის (პატუა ენის) სტატუსი და ყველა მათგანმა უგამონაკლისოდ მოაღწია დღემდე (ქართველური ენებიდან: სვანურმა და ზანურმა ანუ მეგრულ-ლაზურმა, ბაცბურმა, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ-დაღესტნური ჯგუფის ნახური ქვეყნების ერთ-ერთი ენაა და სხვ.) ხოლო ყველა ეს ტომები ერთიან და განუყოფელ ქართველ ერს შეადგენენ.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ არცუ შორეულ წარსულში, XIX საუკუნის 30-ან წლებში ამ, უკვე ირანულ-ქართული, სოციოლინგვისტური მოდელის რეალიზაცია კიდევ ერთხელ მოხდა კავკასიაში, კერძოდ დაღესტანში სადაც ხუნძურანდიურ-დიდოურ ენებზე მეტყველი ხალხების ერთ ერად კონსოლიდაცია დაიწყო ხუნძური კონგრეს „ბოლ მაწ“-ის ანუ „ქარის ენის“ საფუძველზე და მინიმუმ 14, კომპარატივისტული თვალსაზრისით

უეჭველი ენა, ოომლებიც უმწერლობოა, განარძობს არსებობას ხუნძური თფიციალური (resp. სალიტერატურო) ენის სოციოლინგვისტური დიალექტის სტატუსით, ხოლო ამ პატუა-ენებზე მეტყველი ტომები ხუნძი ერის წარმომადგენლებად აღირიცხებიან.

## მედეა ღლონტი

### წუთის სემანტიკური ფუნქციისათვის ქართულში

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონ ქართულში“ შემონახულია ლექსიკურ-კალენდარული მეტათეზისის ერთი უცნაური ფაქტი: „**წუთი** (1 მეფ. 14, 9) — წამთან ნახე. ერთი წამი სამეოცი წუთია. ერთი წამი სამეოც წუთად განიყოფებიან“. **წამი** — აქვს ჯამსა ერთსა წამი სამოცი; ხოლო ერთსა წამსა — წუთი სამოცი; წუთსა ერთსა — კესი...“

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის დამდეგისთვის ქართულში **წუთით** აღინიშნებოდა დღევანდელი **წამი**, და წინაუქმოდ — **წამი** დღევანდელი **წუთის** აღმოჩნდებოდა იყო. ამავე სალექსიკონო უწყებას გვაწვდის დავით ჩუბინაშვილი.

ყურადღებას იქცევს **წუთისა** და **წამის** სემანტიკურ ფუნქციათა გადანაწილება, ვითარცა მოტივირება **წუთ-** და **წამ-** ფუქტათა შემცველი რამდენიმე ლექსიკური ერთეულის სახელდებისა.

**წამი:** გ. როგავა არ მიიჩნევს სარწმუნოდ ქართ. **წამ-** „წამის“ და მეგრ. **წუმ-წუნ-** (მეორე კომპონენტი კომპოზიტისა აკა-წუნთს „ერთ-წუთს“) „წამის“ შესატყვისობას (ალ. ცაგარელი, ი. ყიფშიძე), და გამოვლენს კანონზომიერ შესატყვისებს: ქართ. **წამ-** „წამი, დროის უმცირესი ერთეული“, რომელიც ამოსავალია ზანურისათვის **ჰუმ-ე**, **ჰუმ-ან-ი** „დილა“, თ-**ჰუმ-არ-ე** „ხვალ“ და სვანურისათვის **ჰამ-** „დილა“, **ჰამს** „დილას“ (ზანურის კანონზომიერი სვანური კორელატი დაადგინა კ. შმიდტმა). ქართული **წამის** „დროის უმცირესი მონაკვეთი“ ტიპოლოგიურ პარალელად სახელდება ლათ. **secunda** „მეორე“; მოძვ. „წმიმი“.

**წამი** ძველ ქართულში პოლისემანტიკურია და აღნიშნავს: ერთი მხრივ — „თვალის ქუთუთოთ ნიშნებას“ (სულხან-საბა), „წამწამს“, „დახამხამებას“, „თვალს“, მეორე მხრივ — „სასწორის უღლის შუაზე აღმართულ ისარს“ და მესამე მხრივ — დღევანდელ „წუთს“. სწორედ **წამი** „წამწამი; დახამხამება“ არის ამოსავალი კალენდარული ტერმინისათვის **წამი** (შდრ. ძველი ქართული **წამ-წამ** „დროდადრო“).

ძველსავე ქართულში **წამი-სგან** მომდინარეა ზმნები: **წამის-ყოფა** „თვალით ნიშნება; შეხედვა“, **წამწამება** „თვალის ჩაკრა, (მი)ნიშნება“; ასევე **წამება, მოწამე-ყოფა** „დამოწმება; დასტური; მარტვილობა“ (ი. აბულაძე, ზ. სარჯველაძე).

**წუთი:** გ. როგავა მიუთითებს, რომ **წუთის** (როგორც **წამის**) ამოსავალი სემანტიკა უფრო კონკრეტული საგნის აღმოჩნდებოდა არის დაკავშირებული, კერძოდ: ქართ. **წუთი** „დროის უმცირესი მონაკვეთი“ მომდინარეობს **წუეთა** „წვეთაგს“, **წუეთი** „წვეთი“-დან (შდრ. ლათ. **minutes** „მცირე, პატარა, წვრილი“).

ქართული **წუეთი**-ის მეგრულ შესატყვისს **ჰვათ-ი/ჰვეთ-** „წვეთი“ და ლაზურ ჰევთ-ჰეთ-ს (ო-ჰევთ-უ-ა „საწვეთური“) არ მიუღია **წუთის** მნიშვნელობა. ლაზურის სემანტიკა ნაწილობრივ სხვაობს: **ჰვათ-ალ-ა/ო-ჰევთ-ა-რა** „სანაგვე“ (ქართული და მეგრული ენების მასალის შესატყვისობა დაადგინა ალ. ცაგარელმა; \***წუეთ-წუთი** არქეტიპები ქართულ-ლაზური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვა). ი. ყიფშიძის მითითებით, მეგრული **წუნთი** „ქართული წარმომავლობისაა (**← წუთი — ნ-ს განვითარებით**).

მეორე მხრივ, ვარიანტები **წუეთ-წუთი** (უმარცვლო უ-თი) ამოსავალში ზმნერ ძირად არის მიჩნეული (ძვ. ქართ. **წუეთ-წუთი;** **წუეთი;** **წუეთ-ავ-ს;** **ს-წუთ-ი-ს**). იგი ქართულში დაედო საფუძვლად ახალ კალენდარულ ლექსიკურ ერთეულს **წუთი**, რომლის შესატყვისი ქართველურ ენებში არ დასტურდება. ამასთან, **წუთი**, თავისი თავდაპირველი სემანტიკით, გამოხატავდა არა დროის კონკრეტულ მონაკვეთს, არამედ დროული მონაკვეთის სიმცირეს — „მცირე ხნით, დროებით“: **წუთ(და)** „ცოტალა“; **წუთერთ** „ცოტა, მცირედ; მალე, დროებით“ (ა. არაბული).

ამ მხრივ საგულისხმოა წმიდა იოანეს სახარების მთაწმიდისე-

ულ რედაქციაში დაფიქსირებული მცირედ უამ, რომლითაც შენაცვლებულია წუთერთ (იოანე 13, 33). მცირედ უამ ზედმიწევნითი თარგმანია ტველი ბერძნული მიკროს, მიკრო „მცირე, მცირედ“-ისა.

**წუთი და წამი:** ამ ორი კალენდარული ტერმინის ამოსავალი სემანტიკა მართლაც კონკრეტულ საგანთა აღმნიშვნელებთან არის დაკავშირებული (წუთი „დროის უმცირესი ერთეული“ ← წუთი „წვეთი“, წუთა „წვეთვა“; წამი „დროის მცირე ერთეული“ ← წამი „წამზამი; დახამხამება“). მაგრამ წუთ-ისა და წამ-ის, ასევე ამ ფუძეთაგან ნაწარმოებ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკის განვითარების (მნიშვნელობის გადაწევის და სემანტიკური ფუნქციის გაფართოების) ანალიზმა ცხადყო, რომ უკვე ტველ ქართულში წუთით, ასევე წუთის შემცველი ლექსიკური ერთეულებით, უმთავრესად გადმოიცემა მყისიერობა, მერყეობა, ხანმოკლეობა, დროებითობა, წარმავლობა – სააქაოსი, წუთისოფლისა, შდრ.:

ცვ. ქართ. წუთი „წუთიერი; წარმავალი“, წუთადი „წუთიერი, დროებითი“, წუთერთობა „წარმავლობა“, წუთისშინაგანი „წუთიერი; ხანმოკლე“, წუთუამი „წუთიერი“, წუთუამობა „ხანმოკლეობა“, წუთერთ „ცოტა; მცირედ; მალე; დროებით“, წუთ-წუთ „ხშირად“, ხა-წუთო, საწუთო „დროებითი, წარმავალი; სააქაო, წუთისოფელი“. წუთისგან განსხვავებით, წამი, მიუხედავად თავისი პოლისემანტიკურობისა, არ უკავშირდება წარმავლობას და არც მსგავს სემანტიკურ ფუნქციას იტვირთავს.

წუთ-ისა და წამ-ის სემანტიკურ ფუნქციათა ამგვარი გადანაწილების უტჭეუარ მოწმედ გვესახება შესანიშნავი ქართული სიტჭვა – წუთისოფელი, ტველი ქართული სოფელი, იგივე საწუთო, სა-წუთო. ტველი ქართული ზედსართავი სახელი საწუთო, საწუთო „წუთიერი, დროებითი, წარმავალი“ იმავდროულად აღმნიშვნელია „სააქაოსი, წუთისოფლისა“ (შდრ. ტველი ქართული გრძელ-საწუთო „ხნიერი; დღეგრძელი“): „ნუ იყოფინ შენდა ღმერთ საწუთო [=წარმავალი]“ (ფსალმუნი 80, 10); „შეგცოდეთ, ვითარცა კაცთა საწუთოებათა [=წუთისოფლისა] და სოფლის-მოყუარეთა“ („წმიდა შუშანიკის მარტვილობა“).

ტველი ქართული სოფელი აღნიშნავდა „სამყაროს; ქვეყანას; მხარეს; სამთავროს; მამულს; დაბას“. სულხან-საბასთვის საწუთო

„ეს სოფელია“, ანუ სააქაოა. იგი მიუთითებს წყაროს წმიდა პავლეს ეპისტოლედან 2 კორინთელთა მიმართ (4, 17): „რამეთუ საწუთოა ეს მცირე ჭირი ჩუენი გარდამეტებულსა და გარდარეულსა დიდსა დიდებასა საუკუნესა შეიქმის ჩუენთქს“. საკუთრივ სოფელს ქართველი ლექსიკოგრაფი ამგვარად განმარტავს: „სოფელი სამ სახედ ითქმის: სუკუნო იგი სოფელი და წუთისოფელი და კაცის ბუნებაც სოფლად ითქმის. სოფელი ეწოდების სრულიად საწუთოსა“. საწუთო-ს გასწვრივ კი „ლექსიკონ ქართულში“ საგულისხმოდაა ჩაწერილი: „წუთის ხნისა, გინა ეს სოფელი“.

ახლა უკვე გასაგები ხდება, თუ რა მიზეზით არ მოგვეპოვება სააქაოს, ამა სოფლის, ქვეყნის აღმნიშვნელად ლექსიკური ერთეულები – წამი-სოფელი ან საწმო! და საწუთოს (საწუთოს), წუთისოფლის სახელდებისას რატომ შეჩერდა ქართველი სიტყვათშემოქმედის არჩევანი არა წამზე, არამედ სწორედ წუთზე – საათობრივ-კალენდარული სისტემის მცირე საზომი ერთეულის აღმნიშვნელ იმ ტერმიზე, რომელმაც იტვირთა სემანტიკური ფუნქცია ხანმოკლებისა, დროებითობისა და წარმავლობისა, ანუ ამა სოფლის, სააქაოს ბუნების გამომხატველი უმთავრესი მახასიათებლისა.

## ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

### ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. XXIX-XXXVI

XXIX. არნ. ჩიქობავა სპეციალისტების მიერ გამოთქმულ ახალ და არგუმენტირებულ მოსაზრებებს ინტერესით და გაგებით ხვდებოდა, მიესალმებოდა, მაგრამ დაუსაბუთებელ თვალსაზრისს ვერ ეგულებოდა. ერთხელ (70-იან წლებში) ჩვენს ინსტიტუტში საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა დიალექტოლოგიისა და ენის ისტორიის საკითხებზე. კონფერენციაში, ქართველ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ კოლეგები კავკასიის სხვადასხვა რეგი-

ონიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, კიშინოვიდან... რამდენიმე ახალგაზრდა გამოვიდა მოხსენებებით, რომლებშიც, რბილად რომ ვთქვათ, თამამი, მაგრამ დაუსაბუთებელი თვალსაზრისები იყო გამოთქმული, თანაც ისე, რომ სხვა მეცნიერთა აზრი განხილულ საკითხზე არ იყო სათანადოდ გათვალისწინებული. ბ-მა არნოლდმა შემაგამებელ სიტყვაში, რომელშიც კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებათა ავ-კარგზე იყო მსჯელობა, აღნიშნა: **В науке нужна смелость, а не храбрость...** Кавалерийские наскоки тут могут иметь только временные успехи... ბუნებრივია, ყველა მიხვდა, ვისი მისამართითაც იყო ნათქვამი ეს სიტყვები...

**XXX.** ენათმეცნიერულ მუშაობას არნ. ჩიქობავა უდარებდა მემაღარისისა და მეტალურგის შრომას; აღნიშნავდა, რომ ენათმეცნიერს ენობრივი მაღნის მოპოვებაც უხდება (მემაღარის მსგავსად) და მისი გადამუშავებაც (მეტალურგის მსგავსად). ჭეშმარიტი ენათმეცნიერი ამ ორი სახის სამუშაოს ორგანულად უნდა უხამებდესო...

**XXXI.** ცნობილი საენათმეცნიერო დისკუსიის წინა პერიოდში ერთ-ერთი შეხვედრისას სტალინს უკითხავს: მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ვინ არისო?

არნ. ჩიქობავა: პროფესორი ჩემოდანოვი.

სტალინი: რა კაცია ეს ჩემოდანოვი?

არნ. ჩიქობავა: პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ერთი წიგნი აქვს ენათმეცნიერებაში სხვასთან თანაავტორობით...

შემდეგ, პოლიტბიუროს წევრების შეკრებაზე სტალინს განუცხადებია: ჩემოდანოვი მოსკოვის უნივერსიტეტში დეკანად მუშაობს, ვინოგრადოვი კი ზის (გადასახლებულია), ეს როგორ შეიძლებაონ...

რამდენიმე დღეში ვ. ვინოგრადოვი მოსკოვში დაბრუნეს და ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად და ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნიც გახდა...

აკად. ვ. ვინოგრადოვი ხშირად უმეორებდა ბ-ნ არნოლდს: თქვენ გადამარჩინეთ, კაცად მაქციეროთ... მოსკოვში ჩასვლისას სადგურში ხვდებოდა, შინაც ეპატიულდა, გამომგზავრებისას აცილებ-

და... ეუბნებოდა: აკადემიკოსად უნდა წარგადგინოთო... იმდენჯერ გაუმეორებია, რომ ბ-ნ არნოლდს ერთხელაც ირონიით მიუგია: მე ერთი უბრალო გლეხის შვილი ვარ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად რომ ვითვლები, ჩემთვის ესეც ზედმეტიაო...

ბ-ნ არნოლდის კომენტარი: ეტყობა, ელოდა ჩემგან, რომ ვეტყოდი, ოღონდ თქვენ ეს გააკეთეთ და თქვენი სურვილის ამსრულებელი ვიქნებიო.

**XXXI.** არნ. ჩიქობავას რამდენჯერმე შესთავაზეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად წარდგენა, მაგრამ მან მტკიცე უარი განუცხადა... მე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვარ და ამაზე რომ დავთანხმდე, ჩვენი აკადემიის შეურაცხოფა იქნებაო...

**XXXII.** საენათმეცნიერო დისკუსიამდე არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერთა გარკვეული ჯგუფი იმის გამო ებრძოდა, რომ ნ. მარის „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას“ — „ერთადერთ მარქსისტულ მოძღვრებას“, არ იზიარებდა და საკმაოდ მწვავედ აკრიტიკებდა. დისკუსიის შემდეგ აღნიშნული ადამიანების ნაწილი საყვედურს გამოთქვამდა: მარს არასაკმაოდ აკრიტიკებსო. მათ შესახებ ბ-ნი არნოლდი სინანულნარევი ირონიით ამბობდა: იუმორის გრძნობა აკლიათო...

**XXXIII.** პოლიტბიუროს ზემოაღნიშნულ შეკრებაზე მოლოტოვი, სანამ სტალინი შემოვიდოდა, ღიმილით იმეორებდა ნ. მარის ოთხი ელემენტის სახელებს: სალ, ბერ, ვონ, როშ... სალ, ბერ, ვონ, როშ... სალ, ბერ, ვონ, როშ (არნ. ჩიქობავას სადისკუსიო წერილი ჰქონდა წაკითხული). სხვები მდუმარედ ისხდნენ. სტალინის შემოსვლის შემდეგ ისიც დაღუმდა...

**XXXIV.** არნ. ჩიქობავას მრავალ დიდ მეცნიერთან აკავშირებდა მეგობრული ურთიერთობა, მათ შორის — დიდ ქართველ მეცნიერთან, ფიზიოლოგ ივ. ბერიტაშვილთან. ერთხელ ივ. ბერიტაშვილი მეუღლესთან ერთად სწვევია ბ-ნ არნოლდს ოქროყანაში. საკმაოდ ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ბ-ნ ივანეს წინადადებით მთაწმინდის

პარკისკენ გაუსეირნიათ (ბ-ნი არნოლდი, ბ-ნი ივანე და მათი მეუღლეები). კარუსელებთან რომ მისულან, ბ-ნ ივანეს შეუთავაზებია: კარუსელზე დავსხდეთო — ლაპარაკია ე. წ. „ეშმაკის ბორბალზე“. დიდხანს უარობდა ბ-ნი არნოლდი, მაგრამ ბოლოს დათანხმებულია (ქალბატონები დაბლა დარჩენენ)... საუბარში გართულებს დავიწყებით თურმე ჩამოსვლა და მეორე წერტილი უსულან... ქ-ნი თ. ყიასაშვილი ამას რომ მიამბობდა, ბ-ნი არნოლდი ჩაერთო და თითქოს მოიბოდიშა: უცნაური კაცი იყო ივანე, მთხოვა და უარი ვერ ვუთხაროო...

**XXXV.** ბ-ნი არნოლდი ქუთაისში სადალაქოს ეწვია ერთხელ დალაქი თან პარსავს ერთ მოქალაქეს, თან იქვე მჯდომ პირს ხმამალლა ელაპარაკება. ამასობაში რამდენიმე ადგილას კანიც გაუჭრა... კლიენტი აღშფოთებით უჟვირის: თქვენ, ბატონო, ეტყობა ორდენის მიღება გინდათ ჩემი ყელის გამოჭრაშიო...

დალაქი: ბიძია, მე თქვენი განათლებისათვის ვზრუნავ, თვარა ამ ბიკენტიას ყოველდღე ვხვდები, კარის მეზობელია ჩემიო...

ბ-ნი არნოლდი: ენაკვიმატი ხალხია ქუთაისელებიო.

**XXXVI.** მამაჩემი — გრიგოლ შენგელია, რომელმაც 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თხუთმეტი წლის განმავლობაში (გარდაცვალებამდე) ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას ერწო-თიანეთში, მანგლისში, თბილისში... ამასთან, სამეცნიერო მუშაობასაც ეწეოდა; ეკუთვნის წერილები ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებზე; ორი წიგნის თანავტორიც არის (გრ. შენგელიას შესახებ პატარა სტატია ქართული ენციკლოპედიის მე-10 ტომში დაიბეჭდა — არნ. ჩიქობავის წინადადებით). ხშირად სტუმრობდა თავის მასწავლებელს — არნ. ჩიქობავის ერთი სურათიც შემომრჩა, სადაც ბ-ნ არნოლდის ბინაში მაგიდას უსხედან: ბ-ნი არნოლდი, ქ-ნი თამარი, ბ-ნი არნოლდის და — ივლიტა და მამაჩემი (სურათი ქ-ნ ქ. ლომთათიძეს გადაუღია).

1938 წელს მამაჩემს დაუმთავრებია წიგნი „მეტყველების განვითარებისათვის საშუალო სკოლაში“ (თანავტორი — პ. ხუბუტია) გამოცემამდე წიგნი სარეცენზიონ გადაუციათ რამდენიმე პირისა-

თვის, მათ შორის — არნ. ჩიქობავისათვისაც. მამაჩემის არქივში შემონახულია ეს რეცენზია... ბ-ნი არნოლდი მოკლედ ახასიათებს წიგნს, ლაპარაკობს მის ნაკლოვანებათა შესახებ, ხოლო დასკვინის სახით აღნიშნავს: „წიგნში განხილულია ყველა ის საკითხი, რომელსაც მიზნად აქვს მოსწავლის მეტყველების განვითარება. ამდენადვე წიგნი აქტუალურ საკითხებს ეხება. წიგნი დამუშავებულია კეთილსინდისიერად და ჩვენი საშუალო სკოლისათვის სარგებლობის მოტანა შეუძლია... სათანადო შესწორებათა შეტანის შემდეგ წიგნი შეიძლება დაიბეჭდოს: იგი სასარგებლო დამხმარე წიგნი იქნება საშუალო სკოლისათვის“.

## რევაზ შეროზია

### „ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან“ II

1. პოემაში საქმაოდ ხშირად გვხვდება **დია** სიტყვა. სხვადასხვა კონტექსტში მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: დიაღ, დიაღაც, რა თქმა უნდა, ოლონდაც, გაცილებით; ძალიან, ძლიერ; ბევრი; ბევრად (იხ. ნ. ნათაძის „ვეფხისტყაოსნის“ საკლონ გამოცემა, 1986):

დია გასცა საბოძვარი 123.3 (ბევრი)  
ვითა შმაგი შეგურთი დია 356.3 (ძალიან, ძლიერ)  
ჭირნი, მისგან უნახავნი, დია, ვისმცა გარდუხდიან?! 754,4 (დიალექტურ)

მოგახსენე: „დია, ღმერთო, ბრძანება ვჭმნა მეცა თქვენი“ 435.3 (დიაღ)  
დია, ღმერთო, ბრძანებაა ეგე თქვენი 1172.4 (დიაღ, რა თქმა უნდა)

დია, ღმერთო, წინაშე ვარ, ესე ჩემგან დადასტურდა 1534.4 (დიაღ, ოლონდაც)

თვარა მე ჩემდა, იგ მისდა, დია სჭობს კიდისაკიდობა 1496.4

(გაცილებით, დიაღაც) . . .

გამომცემელ-კომენტატორის განმარტებები (ფრჩხილებში ჩა-

სმული სიტყვები) შეიძლება რიგ შემთხვევაში დასაზუსტებელი იყოს.

2. „ვეფხისტყაოსნის“ გარდა **დია** ძველ ქართველურ მწერლობაში დადასტურებული აქვს %. სარჩველაძეს: „**დია** ძლიერ. დია მსუროდა შენთვის“. იგივე ფორმა შეტანილია „სიტყვის კონაში“. აქ „**დიაღ**“ და „**ბევრი**“ მნიშვნელობით დია ორ სხვადასხვა ერთეულად არის წარმოდგენილი. აქვეა **დიადი**, **იდიადა**, **დიად**, **დიამც** . . . ფორმები. ეს უკანასკნელი სულხან-საბას განმარტებით არის „მყოფობის საცილებელი“, ხოლო სევსურულში იგი „**დიდ-დიდის**“ აღმნიშვნელია (ხევს. ლექსიკონი). **დიად** („ფრიადსავით“, საბა), ა. შანიძის მოსაზრებით, მომდინარეობს „დია ღმერთოსაგან“, თავად დია კი — დიადი სიტყვიდან. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, გაურკვეველი რჩება, ერთი მხრივ, **დი**-ს წარმომავლობა და ფუნქცია, მეორე მხრივ, **დიად** ძირია თუ ფუნქცია.

3. ა. შანიძის მიხედვით, **დიადი** ← დიდ-ად-ი) გ. კლიმოვის თვალსაზრისით **დიდ** რედუპლიცირებული ფუნქცია. ასეთი სეგმენტაცია ძირად **დი**-ს გამოგვაყოფინებს, რასაც მხარს დაუჭერდა მეგრულის **დი** (გაკვირვების გამომხატველი შორისდებული) **დია**, **დითა**, **დიდუ**; **დიოჭერი**, **დიოდე//დიოდე**... ფორმები. ამათგან **დია** იგივე ჩანს, რაც „ვეფხისტყაოსნის“ **დია**:

დია, ღორინთ(ი), ნება სქანი!: „**დია**, ღმერთო, ნება შენია. . .“ ამგვარად, **დია** ფორმა იდენტურია სალიტერატურო ვარიანტსა და მეგრულ მეტყველებაში. მსგავსი ვითარება გვაქვს **დი** ძირისაგან წარმოქმნილ **დიდი** ფუნქციის შემთხვევაშიც. რაც შეეხება მეგრულის „**დით**“ და მისგან ნაწარმოებ დიოდე//დიორდე ფორმებს, სარწმუნო არ უნდა იყოს სპეციალურ ლიტერატურაში ფიქსირებული მოსაზრებები: დიორდედიო-დიო რ-ს განვითარებით (ი. ყიფშიძე) (მ)დღუა>დუა/დოა>დიო (მ. ლომაია).

## იზა ჩანტლაძე, გუბაზ ვანილიში

### ლაზურ ტიპონიმთა სისტემა „დიდი ნენაფონას“ მიხედვით

2000 წელს ქალაქ ფრონდენშტატში კავკასიის გამომცემლობამ დაბეჭდა ოთხენოვანი (ლაზურ-გერმანულ-თურქულ-ქართული) ლექსიკონი, რომელსაც „დიდი ლაზური ლექსიკონი“ ჰქვია, თუმცა 148 გვერდს მოიცავს. წიგნის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო რვა პიროვნებამ (ტინე ამსე-დე იონგი, ჭემე ჩუპინა, ვოლფგანგ ფოიერშტაინი, ფაპრი კაპრამანი, ჭემალ კარადენიზლი, სელმა კოჩივა, ციალა ნარაკიძე) გერმანიის, თურქეთისა და საქართველოს რესპუბლიკებიდან. მათ შორის ზოგი ენათმეცნიერია, ზოგიც — ბიზნესმენი. ლექსიკონის პუბლიკაცია ეკუთვნის გოლფგანგ ფოიერშტაინს, ხოლო ნაშრომი მიეძღვნა „ლაზური ენისა და კულტურის ოსტატს“ ფაპრი კაპრამანს, რომელმაც ყველაზე მეტი გააკეთა ამ წიგნის არსებობისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ მის გამოცემამდე გარდაიცვალა.

ლექსიკონი იწყება ფაპრი კაპრამანის დახასიათებით, რომელსაც თან ახლავს დიდი ლაზი სწავლულის ფოტოც და მისი ცნობილი გამონათქვამიც: ლაზიშენი ოხენონ დიდო ღულავე ქორენ („ლაზისათვის გასაკეთებელი დიდი საქმეები არის“); და მართლაც ასეა!

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შევეხებით „დიდი ნენაფონა“-ში წარმოდგენილ ლაზურ ტოპონიმებს. წიგნს ახლავს გერმანულებინვანი წინასიტყვაობა, რომლის მიხედვითაც ლაზური ნაწილია სამხრეთკავკასიურ ენათა ჯგუფისა, რომელსაც განეკუთნება, აგრეთვე, ქართული, მეგრული და სვანური. მასში თხი დიდი დიალექტი გამოიყოფა. ესენია: ათინური, ართაშენული, არქაბულ-ვიწური (ან შუალზური) და ხოფური. ლექსებს მიწერილი აქვთ შესაბამისი დიალექტური ფორმები, მათ შორის ტოპონიმებსაც, თუმცა, რასაკვირველია, ყველა შემთხვევაში თხივე მონაცემი მითითებული არაა. ზოგჯერ გამოტოვებულია ქართული შესატყვისებიც.

სამწუხაროდ, ლაზური ტოპონიმები დღემდე სრულყოფილად არ არის შესწავლილი. მხოლოდ ი. სიხარულიძის მონოგრაფია, რომელშიც აღწერილია ეთნოგრაფიულ-ისტორიული ლაზეთის ტოპონი-

მიკა სოფელ კვარიათიდან მდინარე კალაშამდე, საკმარისი არ გახლავთ. ამჯერად ჩვენ შევეცდებით ვამსჯელოთ „დიდ ლაზურ ლექსიკონში“ შეტანილ ტოპონიმთა სისტემის შესახებ:

როგორც ცნობილია, ყველა ქართველურ ენაში აშკარად იგრძნობა ბრუნვაში მართულმსაზღვრელიან ტოპონიმთა სიმრავლე – იგივე ვითარებაა ლაზურშიც; ამასთანავე ნათესაობითი ბრუნვის მორფება ხან დაცულია, ხანაც მოკვეცილი (სრულად ან ნაწილობრივ): **ბურბუ-შოხვაშე** („ღმიურას სალოცავი“), **აზოთ-იშ-დალი** („აზოტის რელე“), **ბად-იშ-უნა** („ბებრის ყანა“), **ბარდ-იშ-დალი** („ზვინის<ბარდის ღელე“, შდრ. **ბარდ-ი-ბინები** (<\*ბარდ-იშ-ბინები „ველური მცენარის ვენახი, ტანი“, შდრ. **უურქენ-იშ-ბინები** „უურქნის ვენახი“), **ლეჭ-ი-ტალახ-ონ-ა** (<\*ლეჭ-იშ-ტალახი-ი), **ჰერქეზ-იშ თფუტე** („ჩერქეზის უბანი“, დასახლება; -ჩეჭ ფონეტიკური გადასვლა ადვილი ასახ-სნელია ლაზურისათვის დამახსიათებელი გამკვეთრების პროცესით, რომელიც კიდევ უფრო შორსაა წასული ამ ტოპონიმის რელუცირებულ ვარიანტში **ჰერქ-შ თ-ბტ-ე**); **ო-ცუტ-ე** (შდრ. აჭარულ-გურულ ფუტ-ი („კვამლი“) ხშირად გამოიყენება ლაზურ ტოპონიმებში კომპოზიტის მეორე კომპონენტად (**მარ-ი-სკირ-იშ<\*მარ-იშ-სკირ-იშ თფუტე**, „მარის შვილის უბანი“, **დად-იშ თფუტე** „ბიცოლას უბანი“, **ხალბა-შ-იშ//ხარბა-შ-იშ თფუტე**, „ხალბაშის<ხალვაშის უბანი“ და ა. შ.

„დიდი ნენაფონაში“ გვხვდება, აგრეთვე, კომპოზიტური აგებულების ისეთი მართულსაზღვრელიანი ტოპონიმები, რომელთა პირველი კომპონენტი ანთროპონიმული წარმომავლობისა უნდა იყოს. ასეთია, მაგალითად **ჭექმ-იშ-დალი**, **ტოპ-იშ-ონა** <ტოპ-იშ-ცონა<ტოპ-იშ-ყონა („ტოპიშის ყანა“); შდრ. ლაზური გვარები **მემ-იშ-იშ-ი**, **ვანილ-იშ-ი**...). აგრეთვე: **ბაბ-ათ-ი** (სოფ. სარტი), **ბაბ-ილ-ათ-ი** (არქაბი და ათინა), შდრ. ძველი ლაზური გვარი **ბაბილა**.

არქაბეში, სოფელ ფილარგეში, გვხვდება მეტად საინტერესო ტოპონიმი **დად-იშ-ონა** („ბიცოლას ყანა“), რომელიც უნდა მომდინარეობდეს \*დად-იშ-ცონა<\*დად-იშ-უნა-სგან. იგი საყურადღებოა არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ ეთნოლოგიური თვალსაზრისითაც **დად-იშ თ-ცუტ-ე** („ბიცოლას კომლი“) და **დად-იშ თ-ხორ-ი** („ბიცოლას სახლი“) სინტაგმებთან ერთად. ამგვარ ტოპონიმებსა თუ შესიტყვებებს ლაზები მხოლოდ მაშინ ქმნიდნენ, როდესაც ოჯახში,

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, სხვა მამაკაცთა მცირეწლოვანების გამო **დად-ი** („ბიცოლა“, შდრ. ქართული **ბ-დად-ე**, **და**, **დეიდა** და ა. შ.) იყო უფროსი. ამ მხრივ საგულისხმოა აგრეთვე, ათინაში, სოფელ ფაზარში დადასტურებული ტოპონიმი **დად-იგ-ათ-ი**, რომლის ძირი და **დად-იან-ი**ს ამოსავალი ფუქ შესაძლოა „ბიცოლას“ ლაზური სახელწოდებიდან მომდინარეობდეს, რომელიც, თავის მხრივ, საერთო-ქართველური დონისა ჩანს.

„ლაზეთში“ (ტოპონიმი პირობითია!) ძალზე გავრცელებულია, აგრეთვე, ატრიბუტული მსაზღვრელის შემცველ კომპოზიტაგან მომდინარე ტოპონიმები, ჩვეულებრივ, პრეპოზიციური წყობისა, მაგრამ გვხვდება პოსტაპოზიციაც: **დიდი ოჯალი**, მაგრამ: **დობრადიდიდობრა+დიდი ღალიდიდიღალი დიდი** და ა. შ.

ლაზურ ტოპონიმთა წარმოებაში მონაწილეობენ დერივაციული აფიქსები (**ჭუბერ-ე-ფუნა**, „წაბლინარი“, **ნო-ბინჯ-ენ-ი**, „ნაბრინჯალი“, **ნო-ბაგენ-ე**, „ნა-ნალი-ევ-ი“, **ო-ბურბ-ე**, „საღამურე“) ან თადებულები (**წკარ-მელე**, „წყალგაღმა“, **ჰკონ-ი-კალა**, „მუხასთან“, **მსქიძუ-კალა**, „წისვილთან“) და ა. შ.

ზოგჯერ ერთი და იმავე გეოგრაფიული პუნქტისათვის ორი, ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებული სახელწოდება გვაქვს. მაგალითად, სოფელ ბორჩხაში ერთმანეთის პარალელურად გვხვდება **უურ-ხინჯ-ი** („ორხიდი“) და **წკარ-უა** (<\*წკარი-შ ყა „წყლის ტოტი“).

ტოპონიმებში ისახება ცოცხალ მეტყველებაში მიმდინარე ფონეტიკური პროცესებიც: **რ/ლ** სონორათა ღ-ში გადასვლა და მერე სრულიად გაქრობა დამახსიათებელია მეგრულ-ლაზურისათვის. სანალიზო ლექსიკონის მიხედვით, ვიწეს (დღევანდელი ფინდიკლი) სოფელ აბუულაში ფიქსირებულია ტოპონიმი **მონტრაცერი** („მეწყერი“ < „მოწყვეტილი“ < „დამწყრილი“), რომელიც სარტშიც (საქართველოს) გვხვდება, ოღონდ **მონტრაცე-ს** სახით. ართაშენში ერთმანეთის პარალელურად გვაქვს დეზაფისკატიზაციის პროცესის ამსახველი ლექსიმები **ძლემიზდემი**, ხოლო სოფელ ბაშქეოში დადასტურებულია **მხიგი** და მისგან ასიმილაციის გზით მიღებული ფხიგი ასევე ერთმანეთის პარალელურად.

აღნიშნულ ლექსიკონში იშვიათად გაპარულია შეცდომებიც: სოფელ სარტშიც (მოლენი სარტი) არის ადგილი, რომელსაც **ო-**

**ჭაღან-ე** ეწოდება („სა-კიბოჩხალ-ე“) შდრ. ანალოგიური ო-ჩხომურ-ე ო-ჩხამ-ურ-ე ქობულეთის რაიონში. სარფელი არ იტყვის **ჭაღანს-ს** („კიბოჩხალა“) ან **ოჭაღანეს**, რომელიც გვხვდება საანალიზო ლექ-სიკონში (გვ. 102), თუმცა სპეციალურ ლირატრატურაში დადასტუ-რებულია როგორც **ოჭაღანე** ისე **ოჭაღანე-ც** (ი. სიხარულიძე).

არქაბსა და არდასენში გამოიყენება ტოპონიმები **სი-დერ-ე** (შდრ. თურქ. dare „ხეობა, მდინარე“ და სვანური დერე („ნაპრალი ყინულში“); **სი-** პრეფაქსის ფუნქცია ჩვენთვის მთლად ნათელი არაა).

ჩვენ ხელთ გვაქვს აგრეთვე 2007 წელს სტამბულში გამოცემუ-ლი 1160 გვერდის „დიდი ლაზური ნენაპუნა“, შედგენილი თურქი მკვლევარების — ისმაილ ბუჭაკლიშვის, ჰასან უზუნჰასანოლლუს და ირფან ალექსივას — მიერ. ვაპირებთ გავაგრძელოთ მუშაობა ტოპო-ნიმთა შესწავლის თვალსაზრისით არა მხოლოდ ლექსიკონების მი-ხედვით, არამედ ადგილზე (როგორც საქართველოს, ისე თურქეთის ტერიტორიაზე დასახლებულ ლაზთა შორის) მოვიძიოთ ყველა მაკრო და მიკროტოპონიმები, რათა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტთან არსებული ქართველოლოგის ინსტიტუტის თანამ-შრომლებთან ერთად გამოცეთ ლაზურ ტოპონიმთა ვრცელი აკადე-მიური ლექსიკონი.

## მანანა ჩაჩანიძე

### დენოტაცია-კონტაციის დიალექტიკა და თანამედროვე ლექსიკოგრაფიის ტენდენციები

სიტყვის დენოტაციურ და კონტაციურ მხარეთა ლექსიკოგრა-ფიული დესკრიფცია, როგორც უპირველესი ამოცანა ლექსიკოგრაფი-ული დამუშავებისა, უმნიშვნელოვანესია ლინგვისტიკისათვის. ფაქ-ტობრივად, ეს არის „ლექსიკოგრაფიის ლექსიკოლოგია“, ძირითადი შინაარსი ლექსიკოგრაფიული მეცნიერებისა.

თანამედროვე ლექსიკოგრაფიული ინდუსტრია, ინტენსიურად მზარდი ლექსიკოგრაფიული რეესტრი, სამწუხაროდ, „ლექსიკოგრა-

ფიის ლექსიკოლოგიის“ გვერდის ავლით აღწევს და ინარჩუნებს თა-ვის მასშტაბურობას. ერთი შეხედვით, ამგვარ ვითარებას მარტივი გამართლებაც შეიძლება მოექებნოს იმის გახსენებით, რომ იყო დრო, როცა ლექსიკოგრაფია „ლექსიკოლოგიის გერად“ ითვლებოდა, ახლა კი „ლექსიკოგრაფიის დროა“. არადა „ახალი ლექსიკოგრაფიული სი-ტუაცია“, ისევ სამწუხაროდ, არც სახუმაროა და არც რევანშისტუ-ლი. **ოპოზიციური წყვილი „ლექსიკოგრაფიის ლექსიკოლოგია“ და „ლექსიკოგრაფიული (თუ ლექსიკოგრაფიის?!)** ინდუსტრია“ ნა-მდგოლად არასახარბიყოლო მდგომარეობაშია. ამის გათვალისწინე-ბით, ზოგადად ლინგვისტიკის და კონკრეტულად ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის მიზანმიმართულებებიდან გამომდინარე ლოგი-კურია დაისვას კითხვა: **იქნება ლექსიკოლოგიური უზრუნველყოფა ლექსიკოგრაფიული სამუშაოებისა აღარ არის უბირველესი?** საინ-ტერესოა, რას გვეუბნება აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებით სიტყვის დენოტაცია-კონტაციის დიალექტიკა, ბოლოს დაბოლოს ეს არის ლინგვისტიკის კომპტენცია თავისი ლექსიკოლოგიითა და ლექ-სიკოგრაფიით?! თვალსაჩინოებისათვის მოხსენებაში ამ კუთხით მიმო-ვინილავთ ქეგლის ახალ სარედაქციო სამუშაოებს და ახლადრედაქ-ტირებულ მასალებს.

საანალიზო მასალა მოწმობს, რომ სწორედ დენოტაციისა და კონტაციის დიალექტიკა, მისთვის ნიშანდობლივი ურთიერთქმედე-ბითა და ურთიერთგავლენით, წარმოდგენილი სათანადო ლექსიკოგ-რაფიული აპარატით, არის ის ბაზისი, რომელიც განაპირობებს თა-ნამედროვე ლექსიკოგრაფიას, როგორც მეცნიერების დარგს და არა ზოგადად მის მეცნიერულ ფორმატს. თუმცა ეს უკანასკნელი მისივე პრეზენტაციელურობიდან გამომდინარე დღეს, როგორც არასდროს, უაღრესად აქტუალურია. ცალსახად უნდა ითქვას, რომ დენოტაციი-სა და კონტაციის დიალექტიკა მიმართულია ლექსიკოგრაფიის ინ-სტრუმენტულობის წინააღმდეგ ამჟამად ისევე, როგორც შედარებით აღრე იგი წარმატებით უპირისპირდებოდა ლექსიკოგრაფიის ხელოს-ნობას.

## ჰ ა რ უ ნ ჩ ი მ ქ ე

### ოდნაობის სემანტიკის შე- ზმნისწინიან ფორმათა გადმოცემის საშუალებანი თურქულში

1. ქართული ენისაგან განსხვავებით, თურქულში არ მოიპოვება ზმნისწინები, რაც ზმნისწინიან ფორმათა ქართულიდან თურქულზე გადატანის დროს ქმნის გარკვეულ პრობლემებს. წინააღმდეგობრივია სალექსიკონი მასალაც. მაგალითად, ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით **შეზიდვა** თურქულად ასეა თარგმნილი: რაღაცის შიგნით ზიდვა. თურქული ენის განმარტებით ლექსიკონში კი პირდაპირ სიტყვა **შეზიდვას** ვერ ვხვდებით. ესეც შეიძლება იმით აიხსნას, რომ თურქულ ენაში მიმართულების გამოსახატავად იხმარება მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისართები, ხოლო ზოგადი მოქმედება გადმოიცემა მასდარით. მაგალითად: **ზიდვა** თურქულად ასეა განმარტებული: **Taşımak**: 1. Bir şeyi bir yerden başka bir yere götürmek. 2. Üstünde bulundurmak, რომლის თარგმანია: რაღაცის ერთი ადგილიდან სხვა ადგილზე წალება, 2. თან ქონა.

2. **შე-** ზმნისწინის ერთ-ერთი ფუნქცია არის ოდნაობის გამოხატვა. ამ სემანტიკური ველის ფარგლებში გამოყოფა რამდენიმე საქცევი: „ოდნავ“, „ცოტა, ცოტათი“, „მცირე/რაღაც ხნით, ერთგზის“, „ნაწილობრივ“, „ზერელედ, ძლივს, თითქმის“, „აქა-იქ, ალაგ-ალაგ, მცირედ“, „დაწყებითობა, ინხოატიგი“ (მოქმედება-პროცესის ფაზის პარტიტიულობა)... ქართულის **შე-** ზმნისწინიან ფორმათა შესაბამისი საქცევების მიხედვით თურქულ მასალასთან შეპირისპირებას მოვხდენთ ქებლის მასალაზე დაყრდნობით. მაგალითად: **საქცევი „ოდნავ“:** შესველდება (*biraz islanacak* — ოდნავ დასველდება), შეხუხავს (*biraz isitacak* — ოდნავ გაათბობს), შეტენიანდება (*biraz nemlenecek* — ოდნავ ნესტიანი გახდება), შერბილდება (*biraz yumuşayacak* — ოდნავ დარბილდება), შეჭრება (*biraz solaacak* — ოდნავ დაჭრება); **საქცევი „ცოტა, ცოტათი“:** შეაგვიანდება (*biraz gec kalacak* — ცოტა ხანს დაავიანდება), შეართმევს (*Biraz azaltacak* — ცოტას შეაცლის), შეასვერებს (*biraz dinlenecek* — ცოტა ხანს დაასვენებს), შეცოტავდება (*biraz azalacak* — ცოტა გახდება)...

3. ოდნაობის სემანტიკის გამომხატველ **შე-** ზმნისწინიან ფორმათა თურქულის მასალასთან შეპირისპირების შედეგების გათვალისწინება საინტერესო იქნება როგორც ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნისას, ასევე თარგმნითი ლექსიკონების შედგენისას.

შენიავდება **შეანიავებს** (იგივეა, რაც აანიავებს), შემშრალდება (*bıraz kuyacak*) **2) საყრდენი** შესწენდეს/მოწმენდს, მოუსუფთავებს, მოუქმრალებს, შუხოცავს (პირსახოცით, ხელსახოცით)... (35 ერთ.); **3) საქცევი:** „დაწყებითობა, ინხოატიგი“ (მოქმედება-პროცესის ფაზის პარტიტიულობა): შეფრთხიალდება (*kanatlanmaya başlayacak*), შეტოვდება (ერთხაშად შეირჩევა, შეინძრევა), შეროვდება (*oynamaya başlayacak*, შეკუნტრუცება, შეშინდება (შიშით განიძლევალება, — დაფრთხება, დაფეთღება; დაშინდება), შემხიარულდება (ცოტათი გამხიარდება)... (60 ერთ.); **4) საქცევი:** „აქა-იქ, ალაგ-ალაგ, მცირედ“: შებანდავს (*ustunköriü saracak*), შესხებს (შეაჭრის, შეაკაფავს (ტოტებს)), შეაჭრის (მოსჭრის რამეზე, — შეაჭრის), შეატყავებს (ზოგან ტყავს შეაცლის), შეფერადება (ფერადი გახდება, სხვა ფერი მიეცემა, — შეიღებება)... (8 ერთ); **5) საქცევი:** „მცირე/რაღაც ხნით, ერთგზის“: შეაჩერებს (მოძრაობას დროებით შეუწყვეტს, ცოტა ხნით გააჩერებს, შეაყენებს, შეაყოვნებს) **შეჩერდება** (*kısa muddet duracak*), შეყვნნდება (მცირე ხნით დაყოვნნდება, — შეჩერდება, შედგება) შეწყვეტს (ალარ განაგრძობს, — შეაჩერებს; გაათავებს, დაასრულებს, გაწყვეტს) **1) შეაწყვეტინებს** (აიძულებს ან საშუალებას მისცემს შეწყვეტოს, — შეაჩერებინებს; არ დაამთავრებინებს; გააწყვეტინებს), შეაყენებს (1. სვლას სიარულს ან მოძრაობას შეაწყვეტინებს, — გააჩერებს, დააყენებს)... (5 ერთ.); **6) საქცევი:** „ნაწილობრივ“: შეასწორებს ((მცდარს) გაასწორებს, გამართავს; შეაკეთებს), შეასრულებს, შესხლავს(შეაჭრის, შეკრეს (ტოტებს)), შერემონტდება (რემონტი გაუკეთდება, — გარემონტდება, შეკეთდება) **შეარემონტებს** (რემონტს გაუკეთებს, — შეკეთებს), შებელავს (ქვედა ტოტებს), შეთვლის (ინფორმაციის ნაწილს), შეგლევს, შენახვრდება/შეანახვრებს (თათქმის გაანახვრებს; ნახვრაძევ დაიყვასებ... (15 ერთ.); **7) საქცევი:** „ზერელედ, ძლივს, თითქმის“: შებარავს, შეპოტინდება (*zorla çıkaracak*), შემთავრდება (შეთავდება, დამთავრდება)... (4 ერთ.).

მერაბ ჩუხუა

**პროტოკავკასიური ფუნქ-ენის ლექსიკური  
შედგენილობისათვის (დრო, ცა, მნათობები,  
ბუნების მოვლენები)**

ს.-ქართვ. \*ლონ- „დღეობა, დღესასწაული“ (ძვ. ქართ. ღონ-ი „კერპი“, ზან. -ხუ ← \*ლუნ, დღა-ხუ „დღესასწაული, უქმე დღე“, სვან. ღგნ „დღესასწაული“) ~ ს.-სინდ. \*ზან- „დრო, სეზონი“ (აფხ. ვნ ← \*ა-ზან, აბაზ. აჭა, ად. ღა, ყაბ. ღა, უბის. ღა „დრო, სეზონი“) ~ ს.-დაღ. \*ზარუ- „დრო, საუკეთესო პერიოდი“ (ჭამ. ყაუ; ტინდ. ყარუ, ღოდ. ყარუ „დრო“, ლაკ. არღ „ცხოვრების საუკეთესო წლები“, დარგ. არღ „ასაკი; ამინდი“, არჩ. ოვ, ხინ. ენღ (ერგ. ინყ-ი) „ქორწილი“);

ს.-ქართვ. \*ხან- „ხანი; დახანება“ (ქართ. ხან-ი „დრო, უამი“, ხან-და-ხან, და-ხან-ებ-ა, ზან. (მეგრ.) ხონ-აფ-ა = ხან-ებ-ა, ხონ-ებ-ა „მარხვა; დახანება“, ხონ-ენ-ს „მარხულობს“) ~ ს.-ნახ. \*ხან- „დრო, ასაკი, უამი“ (იჩქ. ხან, ინგ. ხან, ერგ. ხან-უო, ბაცბ. ხან „დრო, უამი“) ~ ს.-დაღ. \*მეჟ- „დრო, სეზონი“ (ხუნდ. მეჟა „დრო“, კარ. მუჟა „ქორწილი“, დარგ. მეჟა || მიჟა „ქორწინება“, ლეზგ. მეჟ-ერ „დაქორწინება“);

ს.-ქართვ. \*დეღ-ე „დღე; ამინდი“ (ქართ. დღე, ზან. (ნ)დღა „დღე; ამინდი“, სვან. ლა-დეღ „დღე“) ~ ს.-სინდ. \*დეღ-ა „მზე“ (ად. თგლა, ყაბ. დგლა, უბის. ნდღა „მზე“, შდრ. ად. თგლუა-ს, ყაბ. დგლუა-სა „გუშინ“: ზან. გო-ღა ← \*გო-დღა „გუშინ“) ~ ს.-ნახ. \*დაღ-უ „წვიმა“ (იჩქ. დაღუ || დუღლა, ინგ. დოაღლა, ბაცბ. დაღუ) ~ ს.-დაღ. \*დუღ-ე „დრო, დღე; წვიმა“ (დიღ. ღუღლი, ჰინ. ღუღლე, ხვარშ. ღუღლე, ბეჟ. უოღლო, ჰუნ. უღლე „დღე-დამე (24 საათი)“, არჩ. ჰანთაი ← \*ღანდი „გარეული დროის მონაკვეთი“);

ს.-ქართვ. \*სერ- „ღამე; საღამო“ (ქართ. სერ-ობა, სერ-ის კუდ-ი, ზან. სერ-ი „ღამე“) ~ ს.-სინდ. \*შეუ-ა „ღამე“ (უბის. შეუა „ღამე“) ~

ს.-ნახ. \*ფსარ- ← წ.-ნახ. \*სუარ- „საღამო“ (იჩქ. სარ-აპა, ინგ. სარ-აპა, ბაცბ. ფსარ-ეპა „საღამოს“, შდრ.: იჩქ. სი-სარ-ა, ინგ. სიღ-სარ-ა, ბაცბ. სი-ფსარ-ეპა „გუშინწინ“) ~ ჰურ-ურარტ. \*შუერ- (ჰურიტ. შერგ „საღამო; დასავლეთი“) ~ ს.-დაღ. \*სუარ- „ღამე“ (ხუნდ. სორ-დო || შორ-დო (ჭად.) „ღამე“);

ს.-ქართვ. \*ბლუარ- „მზიანი; სამხრეთი“ (ძვ. ქართ. ბლუარ-ი „სამხრეთი“) ~ ს.-სინდ. \*ბაზა „მზე“ (აფხ. ა-მრა, აბაზ. მარა „მზე“) ~ ს.-ნახ. \*ბშარ- „ნათელი“ (იჩქ. ბშარ-ლანიგ „კაშქაშა“, ბშარ-ლა „ნათელი“, ინგ. ბშარ- „ნათელი“, ბაცბ. ბშარ-?) ~ ს.-დაღ. \*ბარზ- „მზე; დღე“ (ხუნდ. ბაყ „მზე“, დიღ., ჰინ. ხვარშ. ბუკ, ბეჟ. ბოქ, ჰუნზ. ბოქ, ლაკ. ბარღ „მზე“, დარგ. ბარპაი „მზე, დღე“, ლეზგ. რაღ, თაბ. რიღ, აღ. რაღ, რუთ. უირგლ, კრიწ. უირაღ, წახ. უირგლ, ბუღ. უირაღ, არჩ. ბარქ, უდ. ბეღღ, ხინ. გნუ „მზე“);

ს.-ქართვ. \*დ-უსთ-ე „მთვარე, თვე“ (ძვ. ქართ. თთუე || თვთე, ზან. თუთა || მთუთა „თვე, მთვარე“, თუთა-შხა „ორშაბათი“, სვან. ღოშდ-ულ „მთვარე“, ღუეშდ-იშ „ორშაბათი“) ~ ს.-სინდ. \*ბ-გძ-ა „მთვარე, თვე“ (აფხ. ც-მზა, აბაზ. მზე, ად. მაზა, ყაბ. მაზა, უბის. მეგძ „თვე, მთვარე“) ~ ს.-ნახ. \*ბ-უთა- „მთვარე, თვე“ (იჩქ. ბუთა, ინგ. ბუთა, ბაცბ. ბუთა) ~ ს.-დაღ. \*ბ-უძ-ი || \*ბ-უწ-ი „მთვარე, თვე“ (ხუნდ. მოწა, ანდ. ბორწიო, ახვ. ბოწაო, ჭამ. ბოს, ტინდ. ბოცუ, კარ. ბორწიო, ბოთლ. ფურწუ, ბაგვ. ბოწა, ღოღ. ფურცუ, დიღ. ბუცი, ჰინ. ბუცე, ხვარშ. ბუცა, ინხ. ბუცუ, ბეჟ, ჰუნზ. ბოცო „მთვარე“, ლაკ. ბარზ „თვე, მთვარე“, დარგ. ბაძ || ბაწ || ბაც, ლეზგ. უარზ, თაბ., აღ., რუთ., წახ. უაზ, კრიწ. უწზ, ბუღ. უგზ, არჩ. ბაც, ხინ. უაწ „მთვარე“);

ს.-ქართვ. \*ზღუელ- „დიღი წვიმა“ (ქართ. (იმერ.) ზღველ-ა „დიღი, კოკისპირული წვიმა“, ზან. (მეგრ.) ზღვარ-ზღვალ-ი „კოკისპირული წვიმა“, სვან. უღერ ← \*უღუერ „თავსემა, დიღი წვიმა, თქეში“) ~ ს.-ნახ. \*ზაღ- „წვიმა“ (ნახური ეკვივალენტი ნასესხობის სახით ოსურმა ენაშ შემოგვინახა, შდრ. ოს. ზაღ „წვიმა“) ~ ს.-დაღ. \*ზანგ-

**ელ-** „წვიმა; სეტყვა“ (დიდ. ზიგოლუ, ხვარშ. ზანგერუ, ბეჟ. პოლო-შიგი, ჰუნთ. ბელუ-შიგე „სეტყვა“, ლაკ. ზიგ „წვიმა“);

ს.-ქართვ. \***ყელ-** „წვიმა; წვიმიანობა“ (ქართ. ყელ-ობა-დ „წვიმა-ჟშირობა; წვიმ(რ)იან-ობა“ (საბა), ჭია-**ყელ-**-ა „წვიმის ჭია (?)“, ზან. (შეგრ.) გო-ცალ-აფ-ა „წვიმისუგან რუების ადიდება“) ~ ს.-ნახ. \***ყარ-უ** „წვიმა; სეტყვა“ (იჩქ. ყუორა, ითუმყ. ყორ, ჭებ. ყარუ, ინგ. ყორა || ყორა „სეტყვა“, ბაცბ. ყარ „წვიმა“, ყარ-ოლ-ენ „წვიმიანი“, ყარ-ონ ნშან „წვიმის ჭია“) ~ ს.-დაღ. \***ყოლ-უ** „წვიმა; ზაფხული“ (ანდ. ყაინუ, ახვ. ყაინო || ყაინუ, ჭამ. ყაინუ, ტინდ. ყაინუ, კარ. ყაინო, ღოდ. ყაინუ, აღ. ღულ, რუთ. ღგალ-დ, წახ. ღგალ, არჩ. კიათა-იქ „ზაფხული“, ხინ. ყულა „წვიმა“);

ს.-ქართვ. \***ზეპ-** „დრო, ხანი“ (ქართ. ზმ-, ხან-და-ზმ-ულ-ი, ზან. უამ-ი „დრო“, მუ-უამ-ს „რა დროს“, მითა-უამ-ი „ძველი დრო“) ~ ს.-სინდ. **უუ-ა ..ცა** (აფხ. ყ-უ-შუან, აბაზ. უუ-შუანდ „ცა“, აღ. უა-ღუა „ვარსკვლავი“, უბის. უუა „ცა“) ~ ს.-დაღ. \***ზაბ-უ** „ცა, დღე, ვარსკვლავი“ (ხუნდ. ზობ || უობ „ცა“, ანდ. ზუბუ, ტინდ. ზებუ, ბაგვ. ზებ, კარ. ზებუ, ბოთლ. ზიტუ, ღოდ. ზიბუ „დღე“ ლაკ. სააუ „ცა“, დარვ. ზაბ || ძაბ „წვიმა, ცა“, ლეზგ. ცააუ, თაბ. ზაუ, აღ. ზაუ, კრიშ. ზაუ, ბეუდ. ზეტუ, ხინ. ცაუა „ცა“);

ს.-ქართვ. \***მხარ-** „სადილი; სამხარი; სამხრეთი“ (ქართ. სა-მხარ-ი „სამხრეთი“, „სადილი“, სვან. მგხბრ „ხვალ“) ~ ს.-სინდ. \***მახტ-ა ..დღე**“ (აფხ. ყ-მშ, აბაზ. მშგ, აღ. მარხ  $\leftarrow$ \*მახტ-უს, ყაბ. მახტ-უა, უბის. მგხუა „დღე“) ~ ს.-ნახ. \***მალნ-** „მზე“ (იჩქ. მალხ, ინგ. მალხ, ბაცბ. მათხ „მზე“) ~ ს.-დაღ. \***მილ-**-ე „მზე, დღე; სამხრეთი“ (ანდ. მილ-ი, ახვ. მილი, კარ. მილე, ტინდ. მილი, ბოთლ. მილი, ბაგვ. მილ-, ღოდ. მილ-ი, ჭამ. მილ-ი, მზე, დღე“, შდრ. ტინდ. მილ-ა „მთის (მზიანი) სამხრეთული დაქანება“);

ს.-ქართვ. \***მ(ა)ზე** „მზე“ (ქართ. მზე, ზან. მჟა || ბჟა „მზე“, ბჟა-შხა „კვირა, მზის დღე“, სვან. მგჟ || მიჟ „მზე“, მიჟ-ლადედ „კვირა“) ~ ს.-სინდ. \***მგზა** „სხივი, ნათურა, ჩირალდანი“ (აფხ. ა-ჩიგ-მგზა „სანთელი“, ბზით. ა-მზა „მაშხალა“, აბაზ. მზა „ნათურა“, აღ. ბზეგ, განკურებული დაქანება“);

ყაბ. ბზით „სხივი, შუქი“, უბის. მგძა  $\leftarrow$ \*მგზა „ნათურა, შუქი, სანთელი“) ~ ს.-ნახ. \***მაჟ-უნ** „ყვითელი“ (იჩქ. მუოჟა || მოჟა „ყვითელი“, ინგ. მოაჟა „ვარდისფერი“, ბაცბ. რაჟუნ“) ~ ს.-დაღ. \***მარზ-უ** „ალი“ (ლეზგ. მურზ, თაბ. მურზ „ცეცხლის მნათი ნაწილი“);

ს.-ქართვ. \***ჭაქ-** „ჭექ-ალი“ (ქართ. ჭექ-აჭხხილი, ელ-ჭექი, დაჭექ-ებ-ა, ზან. ჭუქ-აფ-ი „ჭექება“, სვან. ლი-ჭექ-უნ-ე „დაჭექება“) ~ ს.-სინდ. \***წ(უ)აკ-** „ნაპერწყალი; მნათობი“ (აღ. ფხა-წაჭა, ყაბ. ფხა-ძაჭა „მუგუზზალი“ = ფხე „ხე“ + წაკ „ნაპერწყალი“, უბის. წუანკ „მნათობი“) ~ ს.-დაღ. \***წუაქ-** „ცა, მნათობი; ნაპერწყალი“ (ხუნდ. წაუაქი, ახვ. წაუაქა, ჭამ. წაქა, ტინდ. წაქუა „ნაპერწყალი, ელვარე; მნათობი“ (შდრ. ხუნდ. ზმური ფუტ წუაქ- „ბრწყინვა“), ლაკ. წუქ „მნათობი“, დარგ. წაქ || ძაქ || ცაქ „ცა“, ლეზგ. წუკ, კრიშ. წუკ „ნაპერწყალი; მუგუზზალი“);

ს.-ქართვ. \***შუაუ-** „შვავი, შყლიანი თოვლი“ (ქართ. შვავ-ი, იმერ. შვალ-ვ-ი „თოვლ-შყაბი“, გურ. შვან-ვ-ა „თოვლის ფიფქის წყლით დამიმტება“, ზან. (მეგრ.) სვიმ-ონ-ი  $\leftarrow$ \*სქვიმ-ონ-ი „შვავი“, ეტ. „შვავიანი“) ~ ს.-ნახ. \***ჰუუ-** „სინესტე“ (იჩქ. ჰაუ  $\leftarrow$ \*ჰაუტ, ინგ. ჰაუტ „სინესტისგან გამოწვეული ანთება“, ბაცბ. რჰუვ“) ~ ს.-დაღ. \***შტიბ-** „თრთვილი“ (ხუნდ. შატბ, ანდ. შაბბ, ახვ. შაბბი, ბოთლ. შაბბი, დიდ. ხები, კარშ. ხება, ინხ. ხებო, ლაკ. ხატიაბ, უდ. ხო „თრთვილი, ჭირხლი“);

ს.-ქართვ. \***ზუაუ-**  $\leftarrow$  წ.-ქართვ. \***ზაუ-** „ზვავი“ (ქართ. ზვავ-ი, სვან. უა || უად || უპჲ  $\leftarrow$ \*უატ „ზვავი“, უად-ბაბა „ზვავ-ქარი“, შდრ. მეგრ. შუმ-ონ-ი  $\leftarrow$ \*უუმ-ონ-ი „ზვავი“) ~ ს.-სინდ. \***ა-ზე-** „თრთვილი; თოვა“ (აფხ. ა-ძა-ძა || ა-ძა-ძა, აბაზ. აძ „ცვარი, თრთვილი“, უბის. ზუა-ძე „თოვლი“, მა-ძე „თრთვილი“, ძე „თოვა“) ~ ს.-ნახ. \***ა-ზირ-** „თრთვილი“ (იჩქ. ვ-ის, ჭებ. მრ. შსირ-ეშ, ინგ. ვ-ის, მრ. ასარ-აშ, ბაცბ. რ-იზ“) ~ ს.-დაღ. \***ა(ნ)ზუ-** „თოვლი“ (ხუნდ. ზაზუ, ანდ. ანჟი, ახვ. ა-ჟი, ჭამ. ანზ, ტინდ. ანზი, კარ. შანზე, ბოთლ. ანზი, ბაგვ. ანზ, ღოდ. ანზი, დიდ. ისი, ჰინ. იშე, ხვარშ. იწსა, ინხ. ეწსო, ბეჟ. ონზ, ჰუნზ. გონზ, რუთ. მიზ, წახ., კრიშ., ბუღ. მიზ, უდ. იჟ „თოვლი“);

ს.-ქართვ. \***წუელ-** „წვეთი, ცვარი“ (ქართ. წუეთ-ი, წვეთ-ავ-ს,

სა-წვეთურ-ი, ზან. ჭვათ-ი „წვეთი“, ო-ლა-ჭვათ-ირ-ე „საწვეთური, ოჭვათო“; სვან. უედ ← \*ჭუედ „ცვარი“) ~ ს.-ნახ. \*დარწ- „წვიმა, უამინდობა“ (იჩქ. დერძ || დერზ, ინგ. დარძ || დარც „ქარბუქი“, ბაცბ. დარწ-ოლ „წვიმიანობა“) ~ ს.-დაღ. \*წ(უ)აღ- „წვიმა, წვეთი“ (ხუნდ. წაად, ანდ. წაა, ახვ. წარი, ჭამ. სკ, ტინდ. ცაა, კარ. წაა, ბოთლ. წაა, ლოლ. ცაამი „წვიმა“, ლეზგ. სტალ ← \*წდალ „წვეთი“, თაბ. წადალ, აღ. წარ || წარალ „ცვარი, ნამი“, კრიწ. წადი „თხევადი, წყალ-წყალა“, ხინ. წუ „წვეთი“);

ს.-ქართვ. \*წუიმ- „წვიმა“ (ქართ. წვიმ-ა, წვიმ-ს, ზან. ჭვიმ-ა „წვიმა“, ჭვინ-ს „წვიმს“, სვან. მგ-ჭმ-ინ-პლ „გარსკვლავთმრიცხველი“) ~ ს.-ნახ. \*წუიმ- „ღვთაება“ (იჩქ. წუ, ქისტ. წიუ, ინგ. წუშ „წარმართული ღვთაება“, ბაცბ. წიმბ „კერპი“) ~ ს.-დაღ. \*წუიმ- „წყალობა, ლმერთი“ (ხუნდ. წობ „წყალობა“, ანდ. წაობ „ღმერთი“..., ლაკ. წიმი „გრაცია; თანაგრძნობა“, დარგ. წუმ „მოწყალება, თანაგრძნობა“).

## პ ა ა ტ ა ც ხ ა დ ა ი ა

### სამი კოლხური შიკროპიდრონიმის სტრუქტურულ- სემანტიკური ანალიზი (მიონჩურაფუ, დუდიშ ოწყვიტაფუ, საორგიო)

#### 1. მიონჩურაფუ

ისტორიული ციხე-გოჯის ქვემოთ, ტეხურზე, ხიდია გადებულია (მასზე გადადის სენაკი-მარტვილის საავტ. გზა). ხიდს სამხრეთით, ე.ი. მდინარის მარჯვ. ნაპირზე, ესაზღვრება სოფელი კოტიანეთი (ძვ. სენაკის თემის საკრებულო), ხოლო ჩრდილოეთით, ე.ი. მდინარის მარცხ. ნაპირზე — სოფელი ჭიხა (ნაქალაქევის თემის საკრებულოს ცენტრი). ხიდს ზემოთ მდინარე ფართოდ და მდორედ მიედინება. სწორედ აქ ეწოდება მიონჩურაფუ.

რას ნიშნავს მენჩურაფა?

ცნობილია: ქართ. **ცურ-** (ცურავს) : მეგრ. **ჩურ-** (ნჩურუნს „ცურავს“). მაგრამ ეს ინფორმაცია არაა საკმარისი ტოპონიმური ამოცანის ამოსახსნელად. აღმოჩნდა, რომ **მენჩურუა** (ქართული „მიცურვა“) ერთ-ერთი ტრადიციული (სამწუხაროდ, უკვე თითქმის მივიწყებული) ხალხური საწყლოსნო ასპარეზობაა. იგი შეისწავლა, აღწერა და აღადგინა ცნობილმა უურნალისტმა, მოგზაურმა და მხარეთმცოდნებ გვანჯი მანიამ (იხ. მისი წერილები და ინტერვიუები „ლელოში“, „ასავალ-დასავალში“ და სხვ.). გაირკვა, რომ ხობისწყლის, ჭანისწყლისა და ენგურის ნაპირებზე მდებარე სოფლებში (მუხური, ზუმი, ჭაქვინჯი, ჭგალი, ჭგარი) გასული საუკუნის შუა წლებშიც კი იმართებოდა ინდივიდუალური თუ ჭგუფური შეჯიბრება მენჩურუაში. საამისოდ შერჩეული იყო მდინარის ღრმა და მდორე ღინება. მსაჭის ნიშანზე გამდა-გამოლმა ნაპირებიდან ერთდროულად აიღებდნენ სტარტს ასპარეზობის მონაწილენი და შუა წყალში შეერკინებოდნენ ერთმანეთს. მიზანი იყო მეტოქის წყალში ჩაძირვა თავში, კისერში ან მხრებში ხელის (ხელების) ჩავლებით. ჩვეულებრივ, დასაშვები იყო ხუთხერ შერკინება წყლიდან ამოუსვლელად. გამარჯვებულად ის ითვლებოდა, ვინც მეტჯერ ჩაძირავდა მოწინააღმდეგეს.

სოფელ კოტიანეთის მკვიდრმა, 84 წელს მიღწეულმა ჭიჭიკო ჭუბაბრიამ გაიხსენა (1984 წელს): „ამჟამად რომ ტეხურზე ხიდია გადებული, იმის ზემოთ წყლის დინება მდორე, ფართო და უფრო ღრმა იყო. ახალგაზრდები საღამოობით იქ ჩავიყრებოდით სალალობოდ, სათამაშოდ, ერთმანეთს ვეცილებოდით გაღმა-გამოლმა სწრაფ ცურვაში, აგრეთვე მენჩურაფაში და სხვ. მენჩურაფა ერქვა მეტოქესთან შერკინებას შუა მდინარეში. მიზანი იყო მეტოქის წყალში ჩაძირვა თავშე ან ქედზე ხელის დაჭერით. რამდენიმე ფალავანი გვყავდა ისეთი, რომ მასთან ჭიდილს გაფურბოდით. მათი სახელები დღესაც გვახსოვს“.

როგორც ვხედავთ, ტეხურისპირა სოფლებში გავრცელებული **მენჩურაფა** იგივეა, რაც ხობისწყლის, ჭანისწყლის, ენგურის ნაპირებზე მდებარე სოფლებში აღწერილი **მენჩურუა**: მენჩურუნს „მიცურავს“ (ზოგადად) → მიონჩურანს „მიცურავს“ (რაიმე გარკვეული ობიექტისაკენ) → მიონჩურაფუ „მისაცური; ადგილი, რომლისკენაც მიცურავენ“ (მომავალი დროის მიმღება) → მიონჩურაფუ (მიკრო-

ჰიდრონიმი): ის ადგილი, სადაც იმართებოდა მენჩურაფა//მენჩურუას ასპარეზობა.

## 2. ღუდიშ ოწყვიტაფუ

ტეხურის მარჯვ. სერზე მდებარე სოფელ ბეთლემის (ლეძაძამეს თემის საკრებულო) მკვიდრის — კალი ბერძემიშვილის — (დაბად. 1894 წ.) ნაამბობიდან: „უმაწვილობის უამს („ბოშალობას“) ტეხურზე ჩავდიოდით საბანაოდ და გასაგრილებლად. მართალია, მიონჩურაფუ-საც ვეწვეოდით, მაგრამ უფრო ახლოს, გურძემია-ტეხურის შესართავ-სა და აბანოს შუა, საგანგებოდ გვქონდა ამორჩეული ერთი ტობა („ღრმა წყალი“). როცა თავის გამოჩენა გვინდოდა, შიგ ჩაყრილით საშუალო ზომის ქვებს და ვინც მეტს ამოილებდა, „მანგარი ბოშიც“ ის იყო. ამ ტობას ერქვა ღუდიშ ოწყვიტაფუ „ზონური ფუქე წყვიტ- (კერქერობით არაა დაფიქსირებული ლექსიკონებში) აღნიშნავს რაი-მეში (სითხე, ადამიანთა წგუფი) თავის ჩაყრიას, ჩაკრას: „ბაღანაქ ღუდა წყარს ხე ქოწყვიტუ“ (ბავშვმა მდუღარე წყალში ხელი ჩა-ჰკრა); „უკვინჯე წყარს დუდი ქოწყვიტუ დო მელე გეკონჩურუ“ (უძი-რო წყალში ჩაყვინთა და გაღმა გაცურა); „ქიანა ხალხი გერდგნე, ეთექი ქოწყვიტუ ღუდი დო იშო ქიმშადინ“ (სადაც ქვეყანა ხალხი იდგა, იქ შერგო თავი და ჩაიკარგა).

მაშასადამე: ღუდიშ წყვიტაფუ „(წყალში) ჩაყვინთვა“ (სიტყვა-სიტყვით: „წყალში თავის ჩაყოფა, ჩაკრა“) → ღუდიშ ოწყვიტაფუ „ჩასაყვინთი (ადგილი)“.

## 3. საორგო

საორგიო ეწოდება რიონის დინებას რიონ-ტეხურის შესართავ-თან.

სოფ. ისულის (ახალსოფლის თემის საკრებულო) მხცოვანი მცხოვრები, 1894 წელს დაბადებული სერაპიონ ჯამლეთის ქე ხეფე-რიას ნაამბობი (1984 წელს): „ჩვენი სოფლის სამხრეთი ნაწილი რი-ონამდე დაუსახლებელი იყო. ახალ დორში იქ დაარსდა ტეხურის მე-ცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა. ტეხურ-რიონის შესართავთან, ფართო მინდოონის (რიონის მარჯვ. ნაპირზე) გვერდით, წყლის დინე-ბა 1 კმ-ზე მაინც იყო ფართო და ღრმა, მაგრამ არა მდორე, არამედ ერთგვარად ჩქარი. სწორედ აქ ერქვა საორგიო. ტეხურზე საბანაოდ ვარგისი ტობა აღარცაა. საორგიო კი საკმაოდ შორს იყო, რამდენიმე

კმ-ზე. მაგრამ მაინც იქით გავწევდით, რათა თავი გამოგვეცადა მდი-ნარის გადაცურვა-გადმოცურვაში, რისთვისაც საჭირო იყო თრგიაშ

გეშექმალა (მხარული ცურვა. სიტყვასიტყვით: „ორგის დარტყმა“).

გამარჯვებულად ის ითვლებოდა, ვინც წყლის დინებას გაუმკლავდე-ბოდა, მხარულით გაცურავდა გაღმა ნაპირზე, იქიდანვე გამოცურავ-და და ცურვის საწყისი ადგილიდან რაც შეიძლება ახლოს ამოვიდო-და“.

ორგიაშ გეშექმალა იგივეა, რაც „მხარულით ცურვა“, მაგრამ ეს განმარტება არა საკმარისი აღნიშნული სიტყვათშეხამების წარმო-მავლობის დასადგენად.

თრგია ძველი ქართულის ლექსიკონებსა (ილ. აბულაძისა, ზ. სარჯველაძისა) და ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში (ალ. ღლონტი) არ ჩანს. ქეგლ-ში კი (ტ. VI) ნათქვამია: „ორგია [ბერძნ.orgia საიდუმლო სერობა]: 1. ისტ. ძველ საბერძნეთში — ღვინისა და მხიარულების ღმერთის — ბახუსის — დღესასწაული. 2. გადატ. „თა-ვაშვებული, წრესგადასული ღროსტარება, ქეიფი“. ა. ვეიმანის მიერ შედგენილ ბერძნულ-რუსულ ლექსიკონში (С.-Петербург, 1899) ორგია ასეა განმარტებული: „тайные обряды, таинства (ос. Деметры и Вакха); вооб. священнодействие, жертвоприношение“. მაგრამ ორგია სიტყვას მეგრულში სხვა მნიშვნელობაც აქვს: ორგია — სიგრძის საზომი, მხა-რი; მანძილი ორი გაშლილი ხელის შუათითების ბოლოებს შორის; ცურვის სახეობა — გამლილი მკლავების მორიგეობითი მოსმა (დარტყმა) წყლის ზედაპირზე; მხარული ცურვა (შდრ. ა. ქაჯიაია).

საქმე ისაა, რომ ორგია სიტყვის ეს სემანტიკა დაკავშირებუ-ლია ბერძნულ თრგუვა (და არა ორგია) სიტყვასთან, რომელიც ა. ვეიმანის ზემოაღნიშნულ ლექსიკონში ასეა განმარტებული: „сажень (пространство между двумя распостертыми руками)“. როგორც ჩანს, აღნიშნული სიტყვა მეგრულმა უშუალოდ ბერძნულიდან შეითვისა სწორედ იმ ასწლეულებში, როცა კოლხეთის შავიზღვისპირეთში ბერ-ძნული ახალშენები იყო მომრავლებული, ხოლო შემდეგ, რომაელთა ლეგიონების ბატონობის პერიოდში, ქრისტიანობა ვრცელდებოდა...

მაშასადამე, მიკროპირონიმ საორგიოსათვის ამოსავალია ბერ-ძნული ორგუვა, რომლის მნიშვნელობამ „გაშლილი ხელის თითების ბოლოებს შორის მანძილი“ მეგრულში მიიღო სემანტიკური დატვირ-

თვა „ცურვა გაშლილი მკლავების წყალზე მონაცელეობითი მოსმით“ (ე.ი. მხარული ცურვა).

დასკვნა: მიკროპიდრონიმები მიონჩურაფუ და დუღიშ ოწყვიტაფუ ენობრივ-სემანტიკური ასპექტით ზმნური წარმონაქმნებია (მომავალი დროის მიმღეობებია), ხოლო საორგიო — სახელური დერივატი (დანიშნულების გამომხატველი). და რაც მთავარია: სამივე ამ მიკროპიდრონიმს გარკვეული ექსტრალინგვისტური დატვირთვა აქვს: მოგვითხრობს კოლხთა გართობა-დასვენებისა და სპორტით გატაცების ერთ ასპექტზე — საწყლოსნო ასპარეზობაზე.

## როენა ჭიკადუა

### ა-პრეფიქსის ადგილისა და ფუნქციისათვის სვანური ენის ზმნურ ფორმებში

ზმნურ ხმოვანპრეფიქსთა შესახებ საკმაოდ ღიდი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. ანტონ კათალიკოსიდან დღემდე ენათმეცნიერები გამოყოფდნენ და სხვადასხვაგვარ კვლიტიკაციას აძლევდნენ ა-, ი-, უ-, ე- ფორმანტებს.

განსაკუთრებით თვალშისაცემია ა-პრეფიქსის ნაირგვარი გრამატიკული მნიშვნელობა. იგი სხვადასხვა მორთოლოგიურ მოდელებში ფიქსირდება და ამიტომაც, როგორც არნ. ჩიქობავაც აღნიშნავს, პრეფიქსიდან ყველაზე ბუნდოვანი სწორედ ა-ს ფუნქცია ჩანს.

სხვადასხვა ავტორთა მიერ ა-პრეფიქსი მიჩნეულია გარდამავლობის, მოქმედებითი გვარის, ნეიტრალური ვერსიის, საზედაო სიტუაციის, კაუზატიურობის, ირიბი ობიექტისალმი მიმართების, გარდამავალ ზმნებში უახლოესი ობიექტის აღმნიშვნელ ფორმანტად.

სვანურ ენაში ა-პრეფიქსი გვხვდება როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში. კერძოდ:

1. ორპირიანი, მოქმედებითი (resp. გარდამავალი) ნეიტრალური ვერსიის ფორმებში (გარდა ფუქციურებისა). მარტივფუძიანებ-

ში, მაგალითად, ბზ. ა-კაფ-ი, ლშხ. ა-კაფ-ე ლნტ. ა-კაფ-ე „წა-აქ-ცეს“; ბზ., ლშხ. ა-ტპბ-ე, ბქ., ლნტ. ა-ტაბ-ე „თლის“; ზს., ლშხ. ა-ქჩ-ე, ლნტ. ა-ქაჩ-ე „ჭრის“. სხვადასხვა სახისა და დანიშნულების სუფიქ-სებით გართულებულ ზმნებში. მაგ. ზს., ლშხ. ა-ქნთრ-ინ-ე, ლნტ. ა-ქგრთ-ინ-ე „აცხელებს“; ბზ., ლშხ. ა-ყუჩ-შრ-ე, ბქ., ლნტ. ა-ყუჩ-შრ-ე „ამტვრევს“.

2. ორპირიანი მოქმედებითი გვარის ფუქციურებად ზმნათაგან ნაწარმოებ სამპირიან ფორმებში, მაგ. **ტუც-ე || ტუც-ე „გლეხს“** ბზ., ლშხ. ხ-ა-ტყც-ე, ბქ., ლნტ. ხ-ჟ-ტყც-ე „აგლეხს“, ახლეჩს“. ტიხ-ე|| ტგხ-ე „აბრუნებს“. ზს., ლნტ. ხ-ჟ-ტხ-ე, ლშხ. ხ-ა-ტხ-ე „უბრუნებს, უდის“.

3. კაუზატივებში: ზს. ხ-ა-კურ-უნ-ე, ლშხ. ხ-ა-კურ-ან-ნ-ე, ლნტ. ხ-ა-კურ-ა-ნ-ე „აგდებინებს“; ზს., ლნტ. ხ-ჟ-კდ-უნ-ე, ლშხ. ხ-ა-კდ-უნ-ე „მოატანინებს, მოაყვანინებს“.

4. გარდაუვალ როგორც აბსოლუტურ, ისე რელატიურ ზმნებში: ზს., ლშხ. ხ-ა-ლფარ-ა, ლნტ. ხ-ა-ლაფარ-ა „აფარია“; ზს. ხ-ა-პიუ, ქს. ხ-ა-პიუ დამალულია“, ზს., ლნტ. ხ-ა-ლპტ, ლშხ. ხ-ა-ლატ „უყვარს“; ბზ., ლშხ. ხ-ა-ფსუნ-ა, ბქ. ხ-ა-ფსუდ-ა, ლნტ. ხ-ა-ფსტუ-ა „დაუფლებულია, დაპატრონებულია“.

საინტერესოდ გვეჩვენება სვანურ დიალექტურ მასალაში არსებული პარალელური (უპრეფიქსიონი) ფორმები. კერძოდ, ბზ., შენშეტ-ე || ა-შენშეტ-ე, ბქ., ლნტ. შუნშეტ-ე || ა-შუნშეტ-ე „ქსუტუნებს“.

ბქ. გოთ-ე || ა-გოთ-ე „გაუთავებლად ლაპარაკობს“; ბზ. პ-ა-ლტ-ე || ა-პალტ-ე, „ბარდნის“; ბზ., ლშხ. წექუ-ე || ა-წექუ-ე || ა-წქ-უნ-ე „წვეთაცს“ და სხვ.

ამრიგად, სვანური ენის ზმნურ ფორმებში ა-პრეფიქსი გახვდება როგორც გარდამავალ, მოქმედებითი გვარის ორპირიან და სამპირიან ზმნებში, ასევე გარდაუვალ აბსოლუტურ და რელატიურ ფორმებშიც; დიალექტურ მასალაში კარგად ჩანს ზმნური მოდელების ჩამოყალიბების პროცესი.

## ნინელი ჭოხონელიძე

### მიმართვის ფორმები რ. ინანიშვილის ენაში

რ. ინანიშვილის მხატვრულ ენაში პერსონაჟთა მეტყველების გაღმოცემის ერთ-ერთი საინტერესო ხერხია -- „მიმართვა“. მწერალი მიმართვის ფორმების საშუალებით მისთვის დამახასიათებელი ენობრივი ლაკონიურობითა და აზრის სიცხადით ახერხებს დაგვითაროს პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულება, მათი გარეგნული მხარე თუ შინაგანი სამყარო, გაღმოვცეს ადგილობრივი კოლორიტის სპეციფიკა. მწერლის ენაში, გარეკანურისათვის დამახასიათებელი ისეთი მიმართვის ფორმების გარდა, როგორიცაა, **სახლიკაცო, კაცო, დედაკაცო, ქალო, გოგო, ბიჭო, ბიჭო, შვილო, გენა, ქა..., დასტურდება ლიტოტესტიც ე. წ. დამატცირებელი ეპითეტები, იშვიათად ჰიპერბოლებიც. კარგ დამოკიდებულებას კი გამოხატავენ სიტყვებით: ლამაზო, ჩემო ოქონ, ჭკვიანო, დახატულო, ჯიგარო...**

მიმართვა შეიძლება იყოს 1. ერთსიტყვიანი, მარტივი ფუძით ან კომპოზიტის სახით წარმოდგენილი: აი, **ფუტუროვ**, ნეტა რამი შნო მაინცა გქონდეს (ბარისაკენ მოფრინავს ჭაფარა, თბ., 1974); -- კარგად უსუნე, **ბზიკო-ბზიკიცა** ხარ და მაიმუნიც (მთვარის ასული, თბ., 1987); თქვენც ჩაქრით, აპა, **შარახვეტიებო** (შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976).

2. ორ ან მეტ სიტყვიანი შესიტყვება: პაი, **მუცლის მონებოო! ქტკბილად თქვა გოგიამ** (ალერსი შიშიანობის დროს, თბ; 1986); წადი, **შე უზმოს მატაოცო**, შენ (მთვარის ასული, თბ., 1987); ხმა ჩაიწყვიტე, **ძალლის ლეკო**, რას რატრატებ! (მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან, თბ., 1958).

მიმართვის ემოციურობის გაძლიერებისათვის, „მიმართვის საგნის რომელიმე თვისებაზე ყურადღების გასამახვილებლად“ (ა. კიზირია) წინადადებაში ხშირად რამდენიმე მიმართვის ფორმა იყრის თავს ერთად: **გზის მაიმუნებო, სოფლის მასხარებო-მეთქი** (ალერსი შიშიანობის დროს, თბ., 1986); ამით გაგიხეთქვა თავსა, შე დამბლავ, შე კოლმეურნების ჩრჩილო! (შორი, თეთრი მწვერვალი, თბ., 1976); დევო! უძიროვ! გარდანქეშანო! (ჩიტების გამომზამთრებელი, თბ., 1979).

გვხვდება მიმართვის გამეორების შემთხვევებიც: **ბოლმავ!** ბილმავ! რაღაც თავისებური ალერსით ეუბნება ბეჟანას (ბარისკენ მოფრინავს ჭაფარა, თბ; 1974); აი, **ფინთო, ფინთო, დამხასიათებელო!** (ალერსი შიშიანობის დროს, თბ., 1986).

მიმართვას შეიძლება ახლდეს შესაბამისი ნაცვალსახელიც, რომელიც, როგორც თვითონ მიმართვა წინადადების აგებულებისა და შინაარსის მიხედვით შეიძლება სხვადასხვა ადგილზე აღმოჩნდეს. შენა, **შე ურუჩჩიავ**, შენა, წიწმატობდა ბებია ეფემია (მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან, თბ., 1958); **შენ** სამოც ვედრო ღვინოს ამოიღებ, **ყიყვიანო** (პატარა ბიჭი გოლგოთაზე, თბ., 1989); **დაკრეჭილო**, შენ კი ყველაზე მეტი გექნება გამომუშავებული აი! (წვეთები ფოთლებზე, თბ., 1962).

მიმართვის ფორმებად გამოყენებული სიტყვათა უმეტესობა ქეგლში დასტურდება. გვხვდება საკუთრივ ღიალექტური წარმოშობის მიმართვის ფორმებიც. მაგ. **ძალათკნეინა, უკუღმა დაჭედილო, ქარიხვეტია, თხისთავო, ქალაქელი კინტუა, ულუნწე, აჩაკუნე, დაფთხევინე** და სხვ. აბრძანდი, **ძალათკნეინავ?** (მთვარის ასული, თბ., 1987); ეგ სველები მაინც გაიხადე, **უკუღმა დაჭედილო** (შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976); ნელა, ე, **დაფთხევინე**, ბოძს არ წამოსდო (მთვარის ასული, თბ., 1987).

## ნინო ხარჩილავა

### ქალის ქონების აღნიშვნელი ერთი ტერმინის შესახებ სამურზაუანში

საქართველოში დამოწმებულია ქალის ქონების აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი. ყველაზე გავრცელებული იყო **მზითვი** და **სათავნო**. თითოეული მათგანი სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა. ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, **მზითვი** არის „გასათხოვარი ქალისათვის მიცემული ქონება სამშობლოს სახლიდან“ (ჩუბინაშვილი, 1946:103). კ. კეკელიძის აზრით, **VIII** და **IX** საუკუნე-

ებში მშობლები უმზადებდნენ ქალს მზითვს: მზითვის ცნებაში ყოველგარი ქონება შედიოდა, თვით მამულიც კი (კეკელიძე, 1941:14). სათავონსა და მზითვის საკითხის შესწავლას საგანგებო ადგილი დაუტმო რ. ხარაძემ, რომელმაც პირველი მათგანი მზითვის ინსტრუტის ადრეულ ფორმად მიიჩნია (ხარაძე, 1961:54). იგი წარმოადგენდა ქმრის ოჯახში ქალის პირად ნაშრომს. სათავო არ ეკუთვნოდა ქმარსა და მის ოჯახს.

მზითვი გულისხმობდა ისეთ ქონებას, რომელიც მარტო ქალის-თვის კი არ იყო განკუთვნილი, არამედ, უმთავრესად, ქმრისა და ოჯახისათვის. მზითვის ამგვარი ფორმა თავისი წარმოშობით გვიანდელია და უფრო შეესაბამება ინდივიდუალურ ოჯახს (Харадзе, 1962:28). ვალ. ითონიშვილის აზრით, მზითევი პირადი მოხმარების საგანია, ხოლო პირუტყვი წარმოადგენდა სათავოს (ითონიშვილი, 1960:232), რომელსაც დოვლათის მატების შესაძლებლობა ჰქონდა. ამიტომ მისი გაყიდვება ან საოჯახო საკუთრებაში შერწყმის შედეგად ქალი მალე კარგავდა ნამატზე საკუთრების უფლებას (ითონიშვილი, 1960:120).

სამურზაყანში ქალის ქონების აღმნიშვნელი ტერმინი იყო **ო-ჭუდ-ურ-ი//ჭუდ-ა** („მზითვი“). თ. სახოკია მიუთითებდა, რომ მზითვს მეგრულად **ოჭუდური** ეწოდებოდა, რაც „ამოწყვეტას“ ნიშნავს (სახოკია, 1956:89), კ. სამუშიას მიხედვით, ეს სიტყვა გულისხმობს „მოწყვეტას მამის ოჯახიდან“. ო. ქახაიას განმარტებით, **ოჭუდური** საპატარძლოს მზითვია (ქახაია, 2002:466), რომელიც **გინ-ჭუვიდ-უ-ა'**დან („გადაწყვეტა“) არის ნაწარმოები. რაც შეეხება **მო-ჭუვიდ-უ-ა'**ს, ის „მოწყვეტაა“. სამურზაყანშიც პატარძლის აღმნიშვნელი ტერმინი არის **მო-ჭუდ-უ** და ნიშნავს „მამის ოჯახიდან მოწყვეტილს“. ალბათ აქედან წარმოდგა ტერმინი **ოჭუდური**, რაც „მოწყვეტილის გასამზითვ ნივთს“ აღნიშნავდა, რომელსაც ქალიშვილს მამისეული ოჯახი აძლევდა.

მზითვის მომზადება ქალის დედ-მამის მოვალეობას წარმოადგენდა. თუ გასათხოვარ ქალს მშობლები არ ჰყავდა, მისი გამზითვება ძმებს ან ბიძებს ევალებოდათ, ე.ი. მიმის საგვარეულოს. ამას ადასტურებენ წერილობითი წყაროებიც (ზსიემ, დოკ. 7452; Аверкиев, 1869:338; Дубровин, 1871:43). თუ ოჯახში რამდენიმე ქალიშვილი

იზრდებოდა, მაშინ მშობლები ჯერ უფროსს უმზადებდნენ მზითვს, შემდეგ კი — მომდევნოებს.

მზითვში შედიოდა: ქალის ტანსაცმელი, საბანი, ლეიბი, ბალიში, სათანადო თეთრეული, ხის საწოლი, კარადა, სასადილო მაგიდა, სკამები, კიდობანი, სარკე, სპილენძის ქვაბები, მათ შორის არაყის გამოსახდელიც, შუაცეცხლზე ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი (**ლანჭა**), რაც მნიშვნელოვანი ატრიბუტი იყო. თუ პატარძალმა კერვა იცოდა, გაატანდნენ საკერავ მანქანას, ზოგ შემთხვევაში ფულსაც კი.

შედლებული ოჯახი, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, სიძეს უნაგირიან ცხენსაც აჩუქებდა, რაც პირველ ჩიგში მომავალი სასიძოს ოჯახის ეკონომიკურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. ასეთი სიტუაცია ბევრად განსხვავდებოდა გლეხის მზითვისაგან.

მზითვს ჩააბარებდნენ მაყრებს, მათვე გადასცემდნენ სიას, რომელშიც აღნუსხული იყო მასში შემავალი ყველა ნივთი, რაოდენობა და ღირებულება. მას ხელს აწერდნენ მაყრები და **მდადე//დადე**. ზოგადად მზითვის მიცემა ფორმდებოდა ხელშექრულებით (Хрестоматия по истории древнего востока, 1950:210).

მზითვის მიცემა წესი იყო ყველა წოდებისა და მდგომარეობის ქალისათვის. ამიტომაცაა, რომ მეფისა და ერისთავების ასულების სპეციალური წიგნების გვერდით გვხვდება დაბალი სოციალური წრიდან გამოსული ქალების მზითვის წიგნებიც (Акти, 1885:262). მშობლები ყოველთვის ცდილობდნენ, რაც შეიძლება კარგი მზითვით გაესტუმრებინათ შვილი, რომ მისთვის ქმრის ოჯახში ცხოვრების შესაბამისი პირობები შეექმნათ.

იყო შემთხვევები, რომ ქალის გამზითვება ძირს სცემდა ოჯახის ეკონომიკას — ალბათ სწორედ ამ მომენტს გულისხმობდა თ. სახოკია, როდესაც **ოჭუდურისა** და „ამოწყვეტას“ ერთმანეთთან აიგივებდა. მზითვი ოჯახში პატარძლის მიყვანამდე მიჰქონდათ, ქორწილამდე. მისი გადატანა ხდებოდა ურმით, მიუდგომელ ადგილებში კი — ცხენით ან ხელით.

გარდა საოჯახო ნივთებისა, ტანსაცმლისა და სამკაულებისა, ბატონიშვილს მზითვში ხშირად **მოჯალაბესაც** გაატანდნენ.

გამონაკლის შემთხვევაში მზითვის შემადგენელ ნაწილს მიწაც წარმოადგენდა, რაც არ იყო საყველთაო მოვლენა; იგი მხოლოდ

შეძლებული ოჯახებისთვის იყო ნიშანდობლივი.

როგორც აღვნიშნეთ, მზითვის შემადგენლობაში შედიოდა საქონელიც, რომლის ნამატი და რძის პროდუქტები რძალს შეეძლო გაეყიდა და თავისი ქმარ-შვილის ფინანსური მოთხოვნილებები დაეჭ-მაყოფილებინა. გაყრის შემთხვევაში თავნი მის საკუთრებას წარმოადგენდა, ნამატზე კი პრეტენზიები არ ჰქონდა. სამურჩაყანოში სათავნოს — საქონელს ქალს ზოგჯერ ბავშვის დაბადების შემდეგ მიუყვანდნენ. ამ შემთხვევაში ძროხა მეწველი უნდა ყოფილიყო. თუ ახლად დაქორწინებულ ოჯახს ცალკე უნდა ეცხოვო, გარდა საქონლისა, ქალის მხარე მას წვრილფეხა საქონელს და ფრინველსაც აძლევდა. რა თქმა უნდა, ვაჟის მშობლებიც იმავეს აკეთებდნენ.

მზითვის ერთ-ერთი სავალდებულო ელემენტი იყო კერის ჭაჭვი-ლანგა: ხალხური რწმენით, კერია საოჯახო ყოფის ძირითად ადგილს წარმოადგენდა. მისი პატრონობა ქალს ევალებოდა. ჭაჭვი ზეციური და აღამიანური სამყაროს დამაკავშირებელ საშუალებად მიიჩნეოდა (კიკნაძე, 1996:10). ოჯახის წევრად საპატარძლოს ინკორპორაციის დროს კერიასთან სრულდებოდა ზოგიერთი საწესჩვეულებო რიტუალი. საგულისხმოა, რომ ჭაჭვი დასახელებულია, აგრეთვე, სვანეთში ეკლესიისთვის სულის მოსახსენებელ შესაწირავთა ნუსხაში (სილოგავა, 1986:269). სამზითვო კომპლექსში ისეთი ელემენტის მოქცევა, როგორიც იყო კერის ჭაჭვი, მიუთითებს მზითვის საკრალურ ბუნებაზე.

მზითვის მირთმევა ქორწილის დღეს ხდებოდა. ვაჟის ოჯახში მზითვს პატარძალი გახსნიდა, რომელსაც ქმრის ოჯახის წევრებისთვის განკუთვნილი საჩუქარიც მიჰქონდა. ზოგჯერ ქალს ქორწილის მერე გაატანდნენ მზითვს. ქალის მხარე მზითვის მომზადების შესახებ ატყობინებდა ვაჟის ოჯახს და მას ახლობლების ხელით უგზავნიდა. ეს ახლობლები იყვნენ: და-ძმა, ბიძა, მამიდა, დეიდა, ბიცოლა და ა. შ., მაგრამ არავითარ შემთხვევაში მამა და დედა. სიძის ოჯახს მზითვის მიმტანები აუცილებლად უნდა დაესაჩუქრებინა. როდესაც მზითვი მცირე იყო, ქალის ოჯახი წინასწარ არ ატყობინებდა ვაჟის მხარეს და იგი თავად მიჰქონდა. ამ დროს მზითვს ორი-სამი კაცი გაჰყვებოდა, რომლებსაც სიძის ოჯახი ასაჩუქრებდა (კაცებს — პერან-

გით, ხოლო ქალებს — ოქროს სამკაულით) თავისი ეკონომიკური შესაძლებლობის შესაბამისად.

განქორწინების შემთხვევაში, ცოლს მზითვი თან მიჰქონდა, რომელიც ქალის ხელუხლებელი ქონება იყო. მისი თანხმობის გარეშე არავის შეეძლო ამ ქონების გამოყენება. მზითვის სახეობას, ძირითადად, ოჯახის ეკონომიკური შესაძლებლობა განაპირობებდა. ეთნოგრაფიული მასალებისა და წერილობითი წყაროების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ქალის მზითვის შედგენილობა ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური დონის განვითარებასთან ერთად განიცდიდა ცვლილებებს.

## ცირა ჭანჭლავი

### პირველი პირის სუბიექტის ორმავი აღნიშვნა მეგრულში

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია მეგრულ-ლაზური ენის პირველი სუბიექტური პირის ❸ ნიშნის ფუნქციონირების პირობები და ის პოზიციები, რომლებშიც მისი პოზიციური ვარიანტები — ❶ ❷ ❸ ❹ გვხვდება (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა, ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე...). მეგრული დიალექტის სენაკურ კილოკავში თანხმოვანთა წინ, მოსალოდნელი ❶ ❷ ❸ ვარიანტების ნაცვლად, ❹-ს გამოვლენა ქართული სალიტერატურო ენის გავლენას მიეწერება (არნ. ჩიქობავა).

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა იმ პოზიციაში, რომლებშიც პირველი პირის ნიშნად ❷ ❸ ან ❹ გვივლინება, ❶-ც შეიძლება გვქონდეს, მაგრამ — არა პირიქით: ❷ ❸ და ❹ არ გვხვდება ჩქამიერი მულერების წინ (ისინი მხოლოდ მათთვის შესაფერ პოზიციაში გვაქვს — პომოგენურობის წესის დაცვით).

ცნობილია, რომ, თუ ზმანს მეგრულში ვნებითი გვარისა და ქცევის ❺-პრეფიქსი დაერთვის, პირის ნიშანმა შეიძლება მის მომდევ-

ნო პოზიციაში გადაინაცვლოს (და მომდევნო თანხმოვნის შესაბამისად გარდაიქმნას (მაგ., ვიგარე „იბგარე „ვთხრი“, ვითხორუნე „იფ-თხორუნე „ვთხრი“, ვიტახუნე „იპტახუნე „ვიტე“).

ყურადღებას იქცევს ის შემთხვევები, როდესაც პირის ნიშნის გადასმის შემთხვევაში ზმნას ი- პრეფიქსის წინ კვლავ დაერთვის პირველი პირის ფორმანტი და ვიღებთ პირველი პირის ორმაგ ნიშანს: ი-ს წინ — ვ-ს და მის მომდევნოდ — პ-ს:

**ვიზი || იბუ || ვიბუ || → || ვიბი || „ვიქნები“,**

**ვიზიდი || იბუდი || ვიბიდი || → || ვიბი || „ვიყიდე“,**

**ვიზვილგნე || იბულგნე || ვიბილგნე || → || ვიბილგნე „თავს ვიკლავ“,**

**ვიზდენე || იბუდენე || ვიბიდენე || → || ვიბიდენე „ვიყიდი“,**

**ვიზოთანე || იბუთანე || ვიბითანე || → || ვიბითანე „ჩემ თავს ვევრი“ და სხვ.**

ორმაგი აფიქსაცია შეიძლება გვქონდეს მაშინაც, როდესაც ბაგისმიერი თანხმოვნით დაწყებულ ზმნურ ფუქებში პირველი პირის ნიშანი ფუქის შიგნით გადაისმის (ინფაქსად იქცევა) და მომდევნო თანხმოვანს მულერობა-სიყრუის მიხედვით შეეწყობა; გვექნება პარალელური ფორმები:

**ვბარგნე || ბაბრგნე || ვბაბრგე „ვბარავ; ვბერავ“,**

**ვმანგნე || მამანგნე || ვმამანსა „ვტრუსა“,**

**ვფიქრენე || ფიფქრენე || ვფიფქრენე „ვფიცულობ“,**

**ვპუტორგნე || პუპტორგ || ვპუპტორგნე „ვგლევ; ვპუტავ“**

და სხვ.

პირველი პირის სუბიექტის ორმაგი აღნიშვნა, რასაკვირველია, ახალი მოვლენაა და იმის მიმანიშნებელია, რომ გადასმული ნიშნის ფუნქცია ერთგვარად დაჩრდილულა და ამიტომ ხდება პირის პრეფიქსისათვის ბუნებრივ ადგილს (ზმნის თავკიდულ პოზიციაში) ვ-ს ხელდახელ დართვა.

## ნინო ჯორგენაძე

### „ურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“

ბოლო პერიოდში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურმა პროცესებმა და ამის შედევად ახალი, უცხოური ლექსიკის შემოსვლა-დამკვიდრებამ; თანამედროვე, ახალი ტერმინოლოგიის შექმნის აუცილებლობამ მწვავედ დასვა მართლწერისა და მართლმეტყველების მოგვარების საჭითხები. სწორედ ამიტომ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებამ საჭიროდ მიიჩნია „ურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონის“ შექმნა, სადაც „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ უკვე დაფიქსირებულ ყველაზე ხშირად ხმარებულ სიტყვებთან ერთად შეტანილ იქნა ახლად შემოსული ლექსიკაც.

გარდა ამისა, „ურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“ მთელ რიგ სიახლეებს გვთავაზობს (რომელთაგან ზოგიერთი ნაწილობრივ ასახულია 2002 წელს გამოცემულ „ურნალისტის სტილისტიკურ ცნობარში“). მაგ.:

1. გარდა ორთოგრაფიულ-მორფოლოგიურისა, ლექსიკონში ასახულია სინტაქსურ-სტილისტიკური ხასიათის შეცდომებიც; მაგ.: **განლაგდება** - ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის... ამ პოზიციაზე **განლაგდება** სხვა ფეხბურთელი... უნდა იყოს: ... დაიკავებს ადგილს...
2. უცხოურ, განსაკუთრებით, ახლად შემოსულ სიტყვებთან, რომელთა შინაარსიც ბუნდოვანია და რომელთა გამოყენებაც ხშირად კონტექსტურად არასწორად ხდება, მოცემულია განმარტებებიც. ლექსიკონს არა აქვს პრეტენზია, გამარტებითი ხასიათისა იყოს - აღნიშნული სიახლე ხელს შეუწყობს სიტყვის მართებულ კონტექსტში გამოყენებას (განმარტება მიწერილია მაშინაც, როდესაც სიტყვის მხოლოდ ერთ-ერთი მნიშვნელობაა უცნობი); მაგ.:

**პრეისკურანტი:** გასაყიდი საქონლის ფასების ცნობარი

3. საჭიროების შემთხვევაში სალექსიკონო ერთეულთან მოცემულია მოკლე კომენტარიც; მაგ.:

**ჭდება** (ის), მაგრამ: **სხდებიან** (ისინი): სუბიექტის რიცხვის მიხედვით ფუქემონაცვლე ზმნებია

4. ლექსიკონის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს პარონიმებს შესაბამისი განმარტებებითა და კონტექსტების გათვალისწინებით; მაგ.:

**საცოლე** (ვინც ცოლად უნდა ითხოვონ) - **საცოლო** (ვისაც ცოლის შერთვა შეჰქონის)

სახლებია ტექნიკური მხრივაც. უკვე არსებულ და ფართოდ აპრობირებულ ნიშნებთან ერთად ([...კი არა], [და არა...]) და ა. შ.) გამოყენებულია შემდეგი პირობითი ნიშნებიც:

1. ნათესაობითი ბრუნვის ფორმა მოცემულია **o** (ასევე, **a**) დაბოლოებით, რომელიც კავებშია ჩასმული. ამან საშუალება მოგვცა, თავიდან აგვერიდებინა ბრუნვის სახელშოდების მითითების აუცილებლობა და სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ორივე შესაძლო ვარიანტიც (სავრცობით თუ მის გარეშე) ნაჩვენებია;
2. **o-ზე** დაბოლოებული სახელების ბოლოკიდური ხმოვანი გახაზულია, რაც მის ფუძისეულობაზე მიგვითითებს. ამავდროულად, იგულისხმება (და არის კიდეც მიწერილი ფრჩხილებში), რომ ეს **o** ბრუნვისას არ უნდა შევკვეცოთ;
3. ლექსიკონი რომ არ გადატვირთულიყო, კომენტარი მოცემულია ყველაზე გავრცელებულ (ან ანბანის მიხედვით პირველ ადგილას მყოფ) სიტყვასთან. დანარჩენ ფორმებთან მითითებულია ერთეული, რომელთანაც კომენტარია დამატებული; მაგ.:  
**მრავალი საქმე, წერილი...** [და არა მრავალი საქმეები, წერილები...]; იხ. **ბევრი**
4. იმ ფორმებთან, რომელთა პარონიმებად მიჩნევაც გაჭირდა, მაგრამ რომელთა არევის ალბათობაც არსებობს, გამოყენებულია პირობითი ნიშანი **შდრ.**: მაგ.:

**სალტე**.... ლითონის რკალი... **შდრ.**: **სალტო**: 1. აკრობატული ნახტომი... 2. ... სახითათო ნაბიჯი ყოველივე ზემოხამოთვლილი ლექსიკონის მოხმარების გაადვილებისა და სრულყოფისაკენ იყო მიმართული. იმედია, „**უურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი**“ დამარებას გაუწევს როგორც უურნალისტებს, ასევე, ენის სიწმინდით დაინტერესებულ ყველა სხვა პირს. ივარაუდება წიგნის მეორე ნაწილის გამოცემაც.